

თქვენ ჰაბიშკინი

ლესია
შპრანცხა
საქართველოში



საბჭოთა მწერალი
თბილისი
1957

თარგმანი რ. ქეზულაძისა

შესავალი

1

დიდმა უკრაინელმა პოეტმა ქალმა, გამოჩენილმა მოაზროვნემ და კრიტიკოსმა ლესია უკრაინკამ მთელი თავისი ცხოვრება და შემოქმედება ხალხის სოციალური და ნაციონალური განთავისუფლების ბრძოლას შესწირა. მის ნაწარმოებებში, რომლებიც რევოლუციამდე იქმნებოდნენ, პირველად მთელი სისრულით აისახა უკრაინელი ხალხის კულტურის არა მარტო დემოკრატიული, არამედ სოციალისტური ელემენტებიც.

ლესია უკრაინკა (ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი) დაიბადა 1871 წლის 25 თებერვალს ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში, ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. ათი წლის იყო ლესია უკრაინკა, როცა განუქურნებელი სენი—ძვლის კლექი აღმოაჩნდა, ამან მძიმე დაღი დაასო მთელ მის ცხოვრებას. შემდეგში კლექი ფილტვებსა და თირკმელებზეც გადაუვიდა. ყმაწვილი ქალი ძლიერ დასტანჯა სენმა—გადაიტანა რამდენიმე მძიმე ოპერაცია. დიდხნობითაც იყო ხოლმე ლოგინად ჩაგარდნილი. მაგრამ ავადმყოფობამ მაინც ვერ მოტეხა, უკანასკნელ წუთამდე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სიცოცხლე ვერც კი წარმოედგინა ამ ბრძოლის გარეშე. ერთადერთი იარაღი, რაზედაც ხელი მიუწვდებოდა, პოეზია იყო და ისიც თავგანწირვით იბრძოდა ამ იარაღით.

ლესია უკრაინკამ შინ შესანიშნავი, ყოველმხრივი განათლება მიიღო. სიყრმიდანვე ეზიარა ათეისტურ შეხედულებებს. ადრევე იხსნა თავი დედის ნაციონალისტური განწყობისა, ბიძის—პ. პ. დრაგომანოვის ლიბერალურ-ბურჟუაზიული

შეხედულებებისაგან და რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით განიმსკვალა. ჩერნიშევსკის, შევჩენკოსა და დობროლუბოვის რევოლუციურმა მოწოდებებმა გადამწყვეტი გავლენა იქონია 80-იანი და 90-ანი წლების დასაწყისში პოეტი ქალის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

ლესია უკრაინკამ წერა ადრე დაიწყო. ცხრა წლისა იყო, როცა პირველი ლექსი „იმედი“ დაწერა. ეს ლექსი მის თხზულებათა ყველა კრებულშია შესული და საბჭოთა კომპოზიტორმა დოლუხანიანმა მუსიკაზეც გადაიტანა. თოთხმეტი წლის ლესია უკრაინკამ და მისმა ძმამ მიხაილმა ნ. ვ. გოგოლის „სალამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“ უკრაინულ ენაზე თარგმნეს და გამოსცეს კიდევ. ახალგაზრდა მწერალი ქალის ლექსები და მოთხრობები მეტწილად გალიციაში (ლვოვში) და ჩერნოვცში იბეჭდებოდა, რადგან მეფის რუსეთში აკრძალული იყო უკრაინულ ენაზე წერა და ბეჭდვა. 1893 წლის დამლევს გამოვიდა ლესია უკრაინკას ლექსების პირველი კრებული „სიმღერების ფრთებზე“. შევჩენკოს პოეზიის შემდეგ უკრაინულ ლიტერატურაში ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა გახლდათ. რამდენიმე წლის შემდეგ, ლესია უკრაინკას შემოქმედების მთელი პერიოდის განხილვისას, ივანე ფრანკომ ასე დაახასიათა პოეტი ქალის შეხედულებები პოეზიის და პროზის ადგილის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში: „მისი აზრით, პოეზია მუშა ხალხისათვის გაქირავების ტალკვესი, დასვენება იყო, ყოველი კაცისთვის—გალვიძებული გრძნობებისა და დიადი მისწრაფებების ბუნებრივი გამოხატულება, მთელი საზოგადოებისათვის კი ბრძოლისაკენ მოწოდება და უმაქნისობის დაგმობა; ჩაგრულთის თავისუფლებისა და ადამიანური უფლებებისათვის საბრძოლველად მოუწოდებდა, მჩაგვრელთ კი მრისხანე შურისძიების ზარსა სცემდა“. * ქეშმარიტად ასეთი გახლდათ ლესია უკრაინკას პოეზია.

მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ლესია უკრაინკა პირველად გაეცნო მარქსისა და ენგელსის

* Иван Франко, Леся Українка. „Літературно-науковий тиждень“, 1898, № 8.

ნაწარმოებებს. ჯერ სულ ყმაწვილი იყო, როცა მეშათა განათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაება, დაუახლოვდა კიევის პირველადს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებსა და წრეებს, შემდეგში კი—კიევის „მეშათა განათავისუფლების კავშირს“. ის უშუალო მონაწილეობას იღებდა არალეგალურ მუშაობაში. 1894-95 წლებში საზღვარგარეთ ყოფნისას გაეცნო რუსეთში აკრძალულ ვრცელ სოციალისტურ ლიტერატურას. მეცნიერული სოციალიზმის იდეებმა დიდი გავლენა იქონია პოეტი ქალის მსოფლმხედველობის საბოლოო ჩამოყალიბებაზე. მარქსიზმის იდეების შესწავლის შემდეგ ლესია უკრაინკა მარქსიზმის პროპაგანდაზე გადავიდა, ჯერ პოლიტიკურ დისკუსიებში იღებდა მონაწილეობას, მერე მეშათა არალეგალურ გაზეთში თანამშრომლობდა, ხოლო 1900 წლიდან მეცნიერული სოციალიზმის ნაწარმოებებსა და პოპულარულ სოციალისტურ ბროშურებს თარგმნიდა და აქვეყნებდა.

ლიკშტეინის წიგნის „ვინ რითი ცხოვრობს“ ბოლოსიტყვაობაში პოეტი ქალი პროლეტარიატის დიადი მასწავლებლების მარქსისა და ენგელსის ცხოვრების მიმოხილვის შემდეგ პროლეტარიატს მოუწოდებდა, მიუხედავად ეროვნებისა, დარაზმულიყო ერთი ლოზუნგის ქვეშ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩაია პრავდა“, რომელმაც პოეტ ქალს მეშათა მეგობარი უწოდა, აი რას წერდა მასზე: „ლესია უკრაინკა, ახლოს იდგა რა საერთოდ გამანათავისუფლებელ მოძრაობასთან, კერძოდ კი პროლეტარიატის ბრძოლასთან, მთელ თავის ძალას ახმარდა მას, თესდა სიკეთეს, გონიერებას“. *

ლესია უკრაინკას თემატურად და ჟანრობრივად მდიდარი შემოქმედება შთაგონებულია მოახლოებული რევოლუციის იდეით. პოეტს სწამდა, რომ ახალი წყობილება გაიმარჯვებს და ამბოხებული ხალხის მიერ დანგრეულ ძველ სამყაროს შესცვლის. ყველა მის ნაწარმოებში, რა დროსა და რა ხალხზე არ უნდა ყოფილიყო ის დაწერილი, მკაფიოდ იგრძნობა მხურვალე მისწრაფება მშრომელი ხალხის პოლი-

* „Рабочая правда“, 1913, № 15.

ტიკური, ეკონომიური და სულიერი განთავისუფლებისა ექსპლოატაციისა და მონობის უღლისაგან.

80-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნდა ლესია უკრაინკას ნაწარმოები „შრომანი“, სადაც ნაამბობია მუშა ქალების აუტანელი შრომის ამბავი. ეს ნაწარმოები დამახასიათებელია პოეტი ქალის შემოქმედების ადრინდელი პერიოდისათვის, როცა ის ჯერ კიდევ არ იცნობდა მეცნიერული სოციალიზმის იდეებს. მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში ლესია უკრაინკა უკვე აღიღებს განთიადის მომასწავებელ შუქს, რომელიც „მუშა ადამიანებმა“ დაანთეს, და ყველას მოუწოდებს, თავისუფალი ცხოვრებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადექითო.

ბატონების მოძულე მუშის დანახვისას პოეტ ქალს აღეძვრება ფიქრი მომავალი რევოლუციის წითელი დაფიონის შესახებ. ის დარწმუნებულია, რომ რევოლუცია დათრგუნავს პარაზიტულ კლასებს („ზღვაზე“).

1903 წელს ლესია უკრაინკა წერს ცნობილ ლექსს „კვამლი“. გენუის შებოლილი ცა პოეტ ქალს აგონებს დნეპრისპირა ქალაქების ასევე უღიმღამო სურათებს, სადაც ასევე იტანჯებიან მისი თანამემამულე მუშები. თუ 80-იანი წლების მიწურულს ლესია უკრაინკას მხოლოდ აღონებდა, სტანჯავდა მშრომელთა მძიმე ხვედარი და თანაუგრძნობდა მათ, მე-20 საუკუნის დამდეგს მას უკვე ესმის მუშათა საერთაშორისო რევოლუციური სოლიდარობის იდეები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეები.

თავის საუკეთესო, ღრმა ფილოსოფიური აზრებით სავსე ნაწარმოებებში—უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის შედევრებში, ლესია უკრაინკამ დასვა და გადაწყვიტა კიდევ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და პროლეტარიატის, ანუ, როგორც თვითონ ამბობდა „თავიანთი მღგომარეობის“ შემგნებელი მუშების“ თვალსაზრისს მიუახლოვდა. მეტად განათლებულმა, მახვილი გონების პატრონმა ლესია უკრაინკამ მუშათა კლასში დაინახა არა მარტო მოწინავე სოციალური ძალა, არამედ ჰუმანიზმისა და ახალი ეთიკის უმაღლესი პრინციპების მატარებელიც. პოეტი ქალის შეხედულებები ყალიბდებოდა შეფჩენკოსა და ჩერნიშევსკის გავ-

ლენით. ჩერნიშევსკის შესახებ ლესია უკრაინკა წერდა: „იგი იყო მე-19 საუკუნის სოციალისტური იდეების პირველი პოპულიზატორი, რომელმაც სისტემატური ფორმით გადმოგვცა ეს იდეებიო“. ჩერნიშევსკისა და შევჩენკოს ესთეტიკურმა იდეებმა გავლენა მოახდინეს ლესია უკრაინკას შეხედულებაზე მშვენიერების შესახებ. მშვენიერების საზომი მისთვის შრომა იყო. ცხოვრების სილამაზე შემოქმედებითს შრომაში იშლება და იფურჩქნება. ტირანები კვდებიან, შრომა კი—ხალხთა შემოქმედება—საუკუნეებს უძლებს („წარწერა ნანგრევზე“).

მშრომელთა მასების, როგორც ერთადერთი ცხოველმყოფელი ძალის ასახვისას, რომელიც მსოფლიოს გარდაქმნის და თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებას შექმნის, ლესია უკრაინკა ნიღაბს ხდის გაბატონებულ ექსპლოატატორულ კლასებს. პოეტი ქალი დიდი სიძულვილით აღწერს მათ.

ჯერ კიდევ 1893 წელს ლესია უკრაინკამ დაწერა პოემა შოტლანდიელ რაინდ რობერტ ბრიუსზე. რობერტ ბრიუსი მეთაურობდა შოტლანდიელი ხალხის ბრძოლას ინგლისელი დამპყრობლებისა და მათი დამკავშირების—„საკუთარი ბატონების“ წინააღმდეგ. ლესია უკრაინკა ამტკიცებდა, რომ ხალხი უძლეველია, თუკი ის სამართლიანი საქმისთვის, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

ლესია უკრაინკას შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია პოეტის მოწოდების თემას. პოეტის როლი, ვის უნდა ემსახუროს მისი მუზა, ვისთან უნდა იყოს პოეტი შეიარაღებული ბრძოლის დღეებში—აი ამ საკითხებს სწყევტს ლესია უკრაინკა თავის ლექსებსა, პოემებსა და კრიტიკულ წერილებში. 1893 წელს დაწერილი „ძველი ზღაპარი“ მიმართული იყო რუს დეკადენტთა წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ ლიტერატურა ხალხის სამსახურის საქმისათვის ჩამოეშორებინათ. ლესია უკრაინკა გამოვიდა მერეეკოვსკის დეკადენტური ცდის წინააღმდეგ, როცა უკანასკნელმა განაცხადა, რუსული რევოლუციური დემოკრატიის მიერ წამოყენებულ „ძველ თემებზე“ უარი ეთქვათო. „ძველ ზღაპარში“ დახატული პოეტი ხალხს გამანთავისუფლებელ ბრძოლას ჩააგონებს.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოიცნო ლესია უკრაინკამ „ამერიკული ყაიდის ცხოვრების“ კეშმარიტი სახე. „მეტიჩარა საქმოსანი, რომელსაც უყვარს იმის გამეორება, „ხალხის შვილი“ ვარო და ამაყობს კიდევ ამით, რომელიც სცემს რესპუბლიკურ-დემოკრატიულ გაზეთს და დროს რესპუბლიკური კალენდრით ანგარიშობს, ამასთან ერთად პოლიტიკაში და პირად ცხოვრებაშიც არც მთლად სპეტაკი, ნამდვილი ტიპია პოლიტიკოს „ინტრიგანისა“. ასეთი გამანადგურებელი სარკაზმით ხატავს პოეტი ქალი ამ „ყაიდის ცხოვრების“ გმირებს,—ახლანდელი ამერიკელი ბიზნესმენების პაპებსა და მამებს, რომლებმაც ქონება სისხლღანი ავანტიურებით შეიძინეს. ლესია უკრაინკა ამბობს, რომ ასეთი ტიპები ცნობილნი არიან „self-made man“-ის სახელით (კაცი, რომელმაც თვითონ გაითრია თავი საზოგადოებაში), ლესია უკრაინკა მოსწრებულად ახასიათებს ამერიკელი ბიზნესმენების ბუნებას: „ამერიკელ ობროდს მუდამ რაღაც გარკვეული მიზანი აქვს დასახული“, ის „თავდაჯერებულია, საკუთარი თავის დიდი რწმენა აქვს და თვითკმაყოფილებით სავსეა, ის self-made man გახლავთ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“, მას და მისთანებს „სინდისი არ აწუხებთ“. მწერალი ქალი უკვე მაშინ მიუთითებდა, რომ ამერიკელი იმპერიალისტები ხალხთა ნაციონალური დამოუკიდებლობის დათრგუნვისაკენ, ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისაგან დამოუკიდებელი საერთაშორისო კაპიტალისტური მონარქიის შექმნისკენ მიისწარფვიან. 1898 წელს პოეტი ქალი მუშაობდა დრამაზე „ულრან ტყეში“ (1909 წელს დაამთავრა საქართველოში). სადაც ისტორიული მასალის ფონზე ნილაბი ახადა ამერიკულ კაპიტალისტურ საზოგადოებას, პურიტანთა საზოგადოებას, რომელიც ულრან ტყესავით ახშობს ადამიანის თავისუფლებისმოყვარე მისწრაფებებსა და კეშმარიტ ხელოვნებას კლავს.

ლესია უკრაინკა კეშმარიტი ნაციონალური პოეტი და მოაზროვნეა. მისი ლექსები, პოემები, დრამატული ნაწარმოებები გამოთქვამენ თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხის მოწინავე აზრებს, ხალხისა, რომელიც ვერ შეურიგდება ვერავითარ ჩაგვრასა და ძალადობას.

ლესია უკრაინკას მრავალი ნაწარმოები დაწერილია ეგვიპტის, საბერძნეთის, რომისა და სხვა ქვეყნების ძველი ისტორიის მასალაზე. მართალია, ის ისტორიულ სიმართლეს ერთგულად მისდევს, მაგრამ ამასთან ერთად ეს ნაწარმოებები გამსჭვალულია უკრაინელი ხალხის ინტერესებით, სურვილებით და თავისუფლებისადმი მისწრაფების იდეებით. პოეტი ქალი არც მაღავედა ამას, პირიქით, ყველგან ხაზს უსვამდა, რომ ნამდვილად თავის ისტორიულ ნაწარმოებებში თანამედროვეთა საქმეებზე წერდა. ამ მხრივ მასზე შეიძლება ის ვთქვათ, რასაც გოგოლი წერდა პუშკინზე: „... ქემმარიტი ნაციონალურობა სარაფანის აღწერა კი არ არის, არამედ თვით ხალხის სულის ასახვაა. პოეტი მაშინაც კი შეიძლება ნაციონალური დარჩეს, როცა სულ სხვა ქვეყანას აღწერს, მაგრამ თავისი ნაციონალური სტიქიის თვალთ უყურებს, თავისი ხალხის თვალთ უცქერს, როცა გრძნობს და ლაპარაკობს ისე, რომ თანამემამულეებს ჰგონიათ, თითქო ისინი გრძნობენ და ლაპარაკობენ“.*

ქემმარიტი ნაციონალური პოეტი და დამონებული ხალხის იდეებისა და სულისკვეთების გამომხატველი ლესია უკრაინკა მრავალნაციონალური რუსეთის ყველა ხალხისათვის ახლობელი და მშობლიური იყო.

ლესია უკრაინკას სძულდა მეფის თვითმპყრობელობა და მთელი სიცოცხლე იბრძოდა მის წინააღმდეგ. მაგრამ დიდი რუსი ხალხი კი ძალიან უყვარდა, დიდად აფასებდა მის კულტურას და აღტაცებული იყო მის რევოლუციური ენერგიით. ის თავყვანს სცემდა ჩერნიშევსკის რევოლუციურ თანამიმდევრობას, აღნიშნავდა დიდი რუსული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობას, თარგმნიდა რუსი მწერლების ნაწარმოებებს უკრაინულად. მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ლესია უკრაინკა აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული წრეების მუშაობაში. დიკმტეინის ბროშურის „ვინ რითი ცხოვრობს“ ბოლოსიტყვაობაში უკრაინელ მუშებს მოუწოდებდა მაგალითი აეღოთ რუსეთის მუშათა კლასის

* Н. В. Гоголь. Собрание сочинений, т. VI, ГИХЛ, М., 1950, стр. 34, „Несколько слов о Пушкине“.

გმირი წარმომადგენლებიდან. 1900-1901 წლებში ლესია უკრაინკა ჟურნალ „ქიზნის“ გორაკისეულ ჯგუფში შედის, ბეჭდავს თავის ცნობილ კრიტიკულ ნაწარმოებებს, რომლებსაც დღესაც კი არ დაუქარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა. იტალიური ლიტერატურის მაგალითზე დამაჯერებლად დაანახა თანამედროვეთ, რომ ყოველ ლიტერატურაში ორი მთავარი, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებაა. მიუთითა რა დემოკრატიული მიმართულების ხალხურ ხასიათზე, მან გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა არისტოკრატიული მიმართულება, როგორც რეაქციული, ანტი-ხალხური, ლიტერატურის გამხრწნელი და დამაქვეითებელი მიმართულება.

1905 წლის ოქტომბერში ლესია უკრაინკამ პეტერბურგში დასთან სამი კვირა გაატარა. ის აქ მოწმე გახდა თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ რუსი პროლეტარიატის მძლავრი რევოლუციური გამოსვლებისა.

2

ლესია უკრაინკას პირველი ნაცნობობა ქართველ ხალხთან წმინდა ლიტერატურული იყო. სიყმაწვილეში ლესია უკრაინკა დაწვრილებით სწავლობდა ძველ ისტორიას, კერძოდ კი ძველი აღმოსავლეთის ისტორიას. მოგვიანებით, როცა ლესია თავის დას ასწავლიდა, დაუწერა სახელმძღვანელო „აღმოსავლეთის ხალხების ძველი ისტორია“, სადაც საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო კავკასიის ისტორიასაც, კერძოდ იმ ძველი სახელმწიფოებისა, რომლებიც თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენდნენ.

საქართველოს ისტორიის შესწავლისას პოეტი ქალი განსაკუთრებით აღაფრთოვანა არგონავტების მშვენიერმა მითმა, რომლებიც კოლხიდაში ოქროს ვერძს ეძებდნენ. იაზონის სახელი არა ერთხელ გვხვდება მის წერილებში.

დიდი გავლენა იქონია ლესია უკრაინკაზე ტარას შევჩენკოს რისხვით სავსე პოეზიამ. მან თითქმის ზეპირად იცოდა მთელი „კობზარი“ და, რა თქმა უნდა, ცნობილი პოემაც „კავეასია“. პრომეთეს სახე საყვარელი სახეა ლესია უკრაინ-

კას შემოქმედებაში. მეტად საინტერესოა, რომ ამ თემას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა 900-იან წლებში, როცა ლესია უკრაინკა უკვე საქართველოში ცხოვრობს.

ლესია უკრაინკა მშვენიერად იცნობდა რუსულ ლიტერატურას და, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა საქართველოსადმი მიძღვნილ ლერმონტოვის ნაწარმოებებს. „ჩვენი ქვეყნის გმირის“ მიხედვით ის გაეცნო ქართული ლარიბული ქოხის სურათს, რაც ი. ანდრონიკაშვილის სამართლიანი თქმით „ყველაზე პირველი და ყველაზე ძლიერი აღწერა იყო ლიტერატურაში იმდროინდელი ქართველი გლეხების უუფლებო ცხოვრებისა“.*

„მწირმა“ და „დემონმა“ ლესია უკრაინკას გააცნო ქართველი ხალხის ლეგენდები და თქმულებები, ხალხური შემოქმედება, რაც საფუძვლად დაედო ლერმონტოვის პოემებს. „ლერმონტოვის პოეზიამ გზა გაუხსნა რუსეთის საზოგადოებას კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის, მისი ხალხის ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების, მისი მდიდარი ხალხური შემოქმედებისა და ამ მშვენიერი ქვეყნის ბუნების შესასწავლად“.**

ლესია უკრაინკას მიერ აღწერილი კახეთის სურათები გვაგონებს რუსი პოეტების ცნობილ სურათებს. დიდი რუსული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი პუშკინისა და ლერმონტოვის ნაწარმოებები, იყო ის პირველი წყარო, რომლის მეშვეობით პოეტი ქალი დაეწაფა ცნობებს საქართველოს ბუნების, მისი ხალხის, ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ..

მაგრამ ეს მხოლოდ ლიტერატურული წყაროები იყო, ხოლო იქ ასახული გმირები და სურათები თუ ზღაპრულ დროს არა, ყოველ შემთხვევაში ძველ დროს განეკუთვნებოდა. უფრო მეტი რამ შეეძლოთ ეამბნათ საქართველოზე ლესია უკრაინკასთვის ქართველ სტუდენტებს, რომლებიც კიევის უმაღლეს სასწავლებელთა მსმენელების საკმაოდ მნიშვნელოვან ხაწილს შეადგენდნენ.

* Е. Андроникоп. Лермонтов. М., 1951, стр. 184.

** Ваво Шадурц. Грузия в русской литературе. В книге „Русские писатели о Грузии“, т. I, Тбилиси, изд. „Заря Востока“, 1948, стр. XXIX.

ნეფის ხელისუფლება უფლებას არ აძლევდა რევოლუციურ მოღვაწეებს, ან თუნდაც „თავისუფალ აზროვნებაში“ თუ თვითმპყრობელობისადმი ოპოზიციურ დამოკიდებულებაში ექვემდებარებულ ქართველ სტუდენტებს ესწავლათ სატახტო ქალაქების უნივერსიტეტებში.

1895-1896 წლებში კოსაჩების ოჯახში (კიევი, ნაზარიევის ქუჩა, №21), მდგმურად იღვა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი ნესტორ გრიგოლის ძე ლამბარაშვილი. ნ. ლამბარაშვილი პირველად მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ მოსკოვიდან სამშობლოში, გორში იყო გადმოსახლებული მეფის ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ სტუდენტთა ნებადაურთველ შეკრებაში მონაწილეობისათვის. შემდეგ ნ. ლამბარაშვილმა ნებაართვა მიიღო კიევის უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა და რამდენიმე ხანს კოსაჩების ოჯახში ცხოვრობდა. მან გააცნო ლესია უკრაინკას ქართველი ხალხის ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, ლიტერატურა და მდიდარი ისტორია.

„ერთხელ, ჩემთან რომ მოვიდა,—წერს თავის მოგონებებში ლესია უკრაინკაზე ნ. ლამბარაშვილი,—მან მაგიდაზე შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დაინახა, ზიჩის ილუსტრაციებით გამოცემული. ის მეტად გაახარა და გააკვირვა ქართული ლიტერატურის მე-12 საუკუნის ამ შედევრმა. კითხვები მომაყარა საქართველოს, მისი ბუნების, ძველი კულტურის, პოეტების, მწერლების, მხატვრების, თეატრების და სხვათა შესახებ. დიდხანს უსმენდა ყურადღებით ჩემს ნაამბობსა და ბოლოს მითხრა: „რა საინტერესო და საოცარი კუთხეა საქართველო! რამდენი ვაჟკაცობა და სიმხნევე უნდა ჰქონოდა ამ ერთი მუქა ხალხს, რომ გადაურჩა იმდენ უბედურებასა და კირს, რაც ბედმა არგუნა! უკრაინელი რომ არ ვყოფილიყავი, ქართველობას ვინატრებდიო“*.

ლესია უკრაინკას ქართველი ხალხის ისტორიაში განსაკუთრებით იზიდავდა მისი გმირული ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომლებიც მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე ნაწილ-ნაწილ გლეჯდნენ და ფლეთდნენ საქართვე-

* ნ. გ. ლამბარაშვილი. „ჩემი მოგონებანი ლესია უკრაინკაზე“.

ლოს. ლესია უკრაინკა არ შეიძლება არ დაინტერესებულყო საქართველოსა და უკრაინის ბედის მსგავსებით — ორივე ქვეყანა ხომ თავისი ხალხის გადასარჩენად ერთმორწმუნე რუსეთს შეუერთდა. ლესია უკრაინკა იმდენად დაინტერესდა საქართველოთი, რომ ნ. ლამბარაშვილს სთხოვა, ქართული ენა შემასწავლო. „მე დავუწყე ლესია უკრაინკას ქართული ანბანის, ქართული ლაპარაკის სწავლა, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი ბგერების (ხორხისმიერი, დიფტონგების) გამოთქმა ძალიან უჭირდა... ლესია უკრაინკას ძალიან მოსწონდა ქართული სიმღერები, მელოდიები. ისმენდა გუნდურ სიმღერებს, როცა ჩემი ამხანაგები — ქართველი სტუდენტები: ვასო წერეთელი, მიხა ჩხენკელი, შიო ჩიტაძე და სხვები ჩემთან მოდიოდნენ საღამოს დროს გასატარებლად“. *

ლესია უკრაინკა ნ. ლამბარაშვილს აცნობდა რუსული რევოლუციური აზროვნების ნაწარმოებებს, საკითხავად აძლევდა გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, სტეპნიაკ-კრავეჩინსკისა და სხვების აკრძალულ წიგნებს. ** მთავარი საკითხი, რაც მას აინტერესებდა, ეს თვითმპყრობელობის დამხობა იყო. ეს საკითხი იმდენად ფლობდა მის გონებას, რომ თავის ნაცნობს ნაჩუქარ ფოტოგრაფიაზეც ასე წაუწერა: „ემსახურეთ სულით და გულით თქვენს მშვენიერ სამშობლოს“. ამ სიტყვებში ის რომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობდა, ეს ჩანს იმ თხოვნიდანაც, რითაც მიმართა არდადეგებზე საქართველოში მომავალ ნ. ლამბარაშვილს: „მე ვკითხე ლესია უკრაინკას, რა ჩამოგიტანოთ მეთქი საქართველოდან. მიპასუხა: „ბასრი ხანჯალი, როგორც ემბლემა მძლავრ მტერთან ბრძოლისათ... ეს ხანჯალი ლესია უკრაინკას 1896 წლის შემოდგომაზე კიევეში არდადეგებიდან ჩამოსვლის შემდეგ მივართვი“. ***

ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ ნ. ლამბარაშვილის ნაცნობობამ გარკვეული როლი ითამაშა ლესია უკრაინკას ცოდნის გამდიდრებაში საქართველოსა და მისი ხალხის შე-

* ნ. ლამბარაშვილი. „ჩემი მოგონებები ლესია უკრაინკაზე“.

** ნ. ლამბარაშვილთან პირადი საუბრიდან. 2. III, 1951.

*** ნ. ლამბარაშვილი. „ჩემი მოგონებანი ლესია უკრაინკაზე“.

სახეზე, დიდი სიმპათიით აღუძრა პოეტ ქალს ამ ქვეყნისადმი, რომლის ბედიც ასე ჰგავდა უკრაინის ბედს.

კიევში ლესია უკრაინკა გაეცნო შიო ჩიტაძესაც, შემდეგში ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი სტატია ქართული და რუსული ლიტერატურის შესახებ. კიევში სწავლის დროს შიო ჩიტაძე კოსაჩების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. ალბათ შიო ჩიტაძე ბევრს უამბობდა პოეტ ქალს თავისი ძმის რევოლუციონერ გოგა ჩიტაძის შესახებ, მის რევოლუციურ ბრძოლაზე, მაქსიმ გორკისთან ნაცნობობაზე. ეს სრულიად დასაშვებია თუნდაც იმიტომ, რომ იმხანად ლესია უკრაინკა დიდად იყო დაინტერესებული მაქსიმ გორკით, რომლის სახელს უკვე იცნობდა მთელი კიევი.

ლესია უკრაინკასა და შიო ჩიტაძის მეგობრობა თბილისშიაც გრძელდება, 900-იანი წლების დასაწყისში. ლესია უკრაინკა იმ დროს ძალზე დაუახლოვდა ქართველი საზოგადო მოღვაწის ოჯახსაც.

ლამბარაშვილისა და ჩიტაძის წყალობით პოეტი ქალი გაეცნო მათ სამშობლოს და გასაგებია, რატომაც აირჩია ლესია უკრაინკამ თავის საცხოვრებელ ადგილად საქართველო, როდესაც მისთვის აუცილებელი გახდა რომელიმე თბილ ქვეყანაში დასახლებულიყო სამუდამოდ.

ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედების უკანასკნელი ათი წელი (1903-1913) საქართველოსთანაა დაკავშირებული. აქ გაატარა მან მეტი დრო ამ ათი წლიდან, აქ დაწერა თავისი საუკეთესო დრამატიული ნაწარმოებები, რამაც მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეთა რიგში ჩააყენა.

საქართველოში, სურამში, დაამთავრა მან მრავალტანჯული, მაგრამ გმირული სიცოცხლე, რაც მაგალითი იყო თავისი ხალხის კაპიტალისტური მონობიდან განთავისუფლების საქმისათვის თავდადებული სამსახურისა.

ლესია უკრაინკას საქართველოში ყოფნა პირობითად შეიძლება სამ პერიოდად დავეყოთ. პირველი (1903-1905) დაკავშირებულია თბილისთან, მეორე (1908-1910) თელავთან, მესამე (1910-1913), პოეტი ქალის სიცოცხლის უკანასკნელი ათი დღის გამოკლებით, ქუთაისთან და ხონთან.

ლესია უკრაინკა თბილისში

1

ლესია უკრაინკამ ორი ზამთარი იტალიის კურორტ სან-რემოში გაატარა, მაგრამ უკეთესობა მაინც ვერ დაეტყო. სენმა უფრო მაგრად მოჰქიდა ხელი, ისე რომ ექიმებმა და-ქინებით ურჩიეს შემოდგომა და ზამთარი ისეთ ადგილას გაეტარებინა, რომელიც კლიმატურად კიევის საკმაოდ ცივ ზამთარზე უფრო შესაფერისი იქნებოდა. გადაწყდა კავკასიაში, საქართველოში წასულიყო...

პირველი ცნობები, რომ ლესია უკრაინკამ კავკასიაში ჩამოსვლა დააპირა, 1903 წლის აგვისტოს დამდეგს ეკუთვნის. მეგობარს—ცნობილ უკრაინელ მწერალ ოლგა კობილანსკაიას ლესია უკრაინკა ასე აცნობდა წერილში თავის გეგმებს: „ვილაც * აპირებს ზამთარში კავკასიაში წასვლას. მაგრამ დედისთვის არაფერი უთქვამს, ცოტა არ იყოს, ოპოზიციისა ეშინია...“ პოეტმა ქალმა გადაწყვიტა უარი ეთქვა საზღვარგარეთის კურორტებზე: ვილაც „შორს ვერ წავა, რადგან თვითონვე ასე გადაწყვიტა და ფულიც ექნება (ცოტას მამა მისცემს, ცოტაც თვითონ იშოვა და კიდევ იშოვის კალმით)“.

ოდესაში ლესია უკრაინკას დახვდა ერთი ნაცნობი კ. ვ. კვიტკა (შემდეგში მისი მეუღლე). ზღვაზე მგზავრობა, განსაკუთრებით პირველ დღეს, მეტად მძიმე გამოდგა ავადმყოფი ქალისთვის. მაგრამ მან ჩვეულებრივი სიმბნევიტ გადaiტანა მომქანცველი გზა. სოჭაში მათ შეუერთდა ლესია უკრაინკას

* ურთიერთმიმოწერაში მწერალი ქალები ჩვეულებრივ საკუთარ თავს მესამე პირში ასახელებდნენ — „ვილაც“, ზოგჯერ „ვილაც თეთრი ქალი“ (ლესია უკრაინკა), „ვილაც შავგვრემანი ქალი“ (ო. კობილანსკაია).

კარგი ნაცნობი, იმ დროს უკვე არაბული ენის ცნობილი პროფესორი და პოეტი-მთარგმნელი ა. ე. კრიმსკი, რომელმაც ბათუმამდე ჩამოაცილა პოეტი ქალი.

თბილისიდან გამოგზავნილ, 13 სექტემბრით დათარიღებულ პირველ წერილში ლესია უკრაინკა თავის დას ლილიას სწერს: „ჩვენ უკვე აქა ვართ“. ამავე წერილში აცნობებს აგრეთვე, რომ 14 სექტემბერს სოჭაში მიემგზავრება ა. ე. კრიმსკი, რომელმაც სამი დღე გაატარა საქართველოს დედაქალაქში, რაკი ა. ე. კრიმსკი ლესია უკრაინკას ბათუმიდან აღარ გამოჰყოლია და მასზე უფრო გვიან ჩამოსულა, ლესია თბილისში 1903 წლის 10 სექტემბერზე ადრე ვერ ჩამოვიდოდა.

13 სექტემბერი ლესია უკრაინკამ ა. ე. კრიმსკისთან ერთად გაატარა. კრიმსკი ჩინებულად იცნობდა აღმოსავლეთს და პოეტ ქალს გააცნო თბილისის ისტორიული ძეგლები, კერძოდ ციხე-სიმაგრის ნარიყალას ნანგრევები.

პირველ ხანებში ლესია უკრაინკა გოლოვინის პროსპექტზე სასტუმროში ცხოვრობდა. მთელი დრო ბინის ძებნაში მიუდიოდა, სასტუმროში ყოფნა ფრიად ძვირი ჯდებოდა. „ბინის ძებნით ვარ გართული და დრო ველარ გამოვნახე, რომ წერილი დამემთავრებინა. ახლაც მეჩქარება, რადგან კუთხე ამდენი ხანია ვერ იქნა და ვერ ვიშოვე, ეს კი აქ არც ისე იოლი საქმეა. ჯერჯერობით სასტუმროში ვარ. ძალზე ძვირი მიჯდება და საჩქაროდ უნდა გავეცალო აქაურობას“, — სწერს თავის დას ლილიას.

ბინა ლესია უკრაინკამ ტერ-გუკასოვის ქუჩაზე იშოვა, № 2, ხითაროვის სახლში. ახალი ბინიდან გამოგზავნილი პირველი წერილი დათარიღებულია 1903 წ. 6 სექტემბრით. პოეტი ქალი მძიმედ განიცდის ხარკოვში უდროოდ გარდაცვლილი საყვარელი ძმის მიხაილის სიკვდილს. ამ პერიოდის წერილებიდან ცხადი ხდება, რომ პოეტი ქალისთვის საკირო ყოფილა მკაცრი სანატორიული პირობები, მაგრამ რაკი საამისო საშუალება არა ჰქონია, იძულებული გამხდარა თვითონვე მომსახურებოდა საკუთარ თავს. მართალია, თავს უკეთ გრძნობდა, მაგრამ ნერვები კი აშლილი ჰქონია.

ლესია უკრაინკამ საქართველოში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე გამოიჩინა დიდი ინტერესი ქართველი და სო-

ნები ხალხის ცხოვრებისა და კულტურისადმი. როცა თბილისის ღირსშესანიშნავ ძეგლებს გაეცნო, ლესია უკრაინკა ქართული და სომხური ლიტერატურითაც დაინტერესდა, რაც კი რუსულად იბეჭდებოდა, ყოველივეს კითხულობდა. პოეტი ქალი დიდ სიწინაშულს გამოთქვამდა „კავკაზსკი ვესტნიკის“ დახურვის გამო, სადაც ქართველი და სომეხი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები იბეჭდებოდა. 1903 წლის 2 დეკემბერს ა. ე. კრიმსკისადმი მიწერილი წერილი ცხადყოფს, თუ როგორ სისტემატურად კითხულობდა ლესია უკრაინკა ქართველ და სომეხ მწერლებს. „რუსულად გადმოთარგმნილი ქართული და სომხური ბელეტრისტიკის კითხვამ... ოპტიმისტური აზრი ჩამაგონა ჩვენი ლიტერატურის შესახებ...“ — წერს იგი.

ამავე დროს პოეტ ქალს აინტერესებს მთიელი ხალხის შემოქმედებაც. იმავე წერილიდან ირკვევა, რომ მან მუსიკალური ფოლკლორის შესანიშნავ მცოდნე კ. ვ. კვიტკასთან ერთად ინახულა ეთნოგრაფი და კომპოზიტორი ზავადსკი. მის სახლში მოისმინა ფონოგრაფზე ჩაწერილი დალესტნური სიმღერები. ლესია უკრაინკა კ. ვ. კვიტკას სახელით დიდ მადლობას უთვლის კრიმსკის „ბატონ ზავადსკის წინაშე რეკომენდაციის გაწევის თაობაზე (ფონოგრაფზე ჩაწერილი დალესტნური სიმღერების სეანსების მოსასმენად)“.

ამავე წერილიდან ნათელი ხდება, რომ ლესია უკრაინკა მოკლე ხანში დაუახლოვდა თბილისის მოწინავე მუსიკალურ მოღვაწეთა წრეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ამბავი, რომ წერილში ნახსენებია „აქაური მუსიკოს-ეთნოგრაფი ფალიევი“. ფალიევი ეს გამოჩენილი კომპოზიტორი, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი ზაქარია ფალიაშვილი გახლავთ. წერილის ტექსტიდან ჩანს, რომ ლესია უკრაინკა და კვიტკა კარგად იცნობდნენ ფალიაშვილს. ლესია უკრაინკა უსაყვედურებს ფალიაშვილს, რომ მან პირობა არ შეასრულა და ფონოგრაფიდან დალესტნური სიმღერები „ერთ სეანსზე არ ჩაიწერაო“, თუმცა თვითონვე ამბობს: „არ ვიცი, შემთხვევის ბრალი იყო, თუ ძნელი იყო და იმიტომო“. ეს პატარა ფაქტიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა წრეს დაახლოვებია ლესია უკრაინკა თბილისში. სამწუხაროდ, ჩვენ 2. ლესია უკრაინკა.

უფრო დაწვრილებითი ცნობები არ გაგვაჩნია პოეტი ქალისა და ქართველი კომპოზიტორის ნაცნობობის შესახებ; ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოს საარქივო მასალების შესწავლამ მეტი შუქი მოჰფინოს ამ საკითხს.

პოეტი ქალი დიდ ინტერესს იჩენს თბილისის პეიზაჟისადმი: „აქ თოვლი მოვიდა... უცნაური სანახავეა გადათეთრებული თბილისი“.* ლესია უკრაინკა განსაკუთრებული სიციხველით გრძნობს გაზაფხულის მოახლოებას. „გუშინ გაზაფხულის დამდეგი იყო,—სწერს დედას,—თოვლს დნობა შეეპარა, წყლად იქცა და მზეც გაზაფხულივით აცხუნებდა“.

მაგრამ გაზაფხულით აღტაცება ნაადრევი გამოდგა. ლესია უკრაინკა გაცივდა და რამდენიმე დღე შინიდან აკლარ გამოდიოდა. „მე „გაზაფხულის მოსვლამ“ გამიტაცა იანვრის თვეში,—ეკითხულობთ მის ერთ წერილში,—ჰოდა, მტკვრის ხილზე გავიბრინ-გამოვიბრინე რამდენჯერმე, თანაც ცოტა, ხანს კიდევ შეეგრძო და ვუცქერდი, როგორ მოჰქონდა წყალს ყინული. თბილისთან მტკვარი არასოდეს არ იყინება, დიდი-დიდი, ნაპირებთან შეიყინოს, შუაში კი ისეთი სისწრაფით მოსჩქეტეს, თითქო აღუღებული დინებააო. ჰოდა, ამ დინებამ მთებიდან ყინული ჩამოიტანა თბილისში. ლამაზი კი იყო: ვერცხლისფერი ყინული, მოლურჯო-მომწვანო წყალი და თითქო საგაზაფხულო ლურჯი ცა. რა ხანია არ მინახავს ზამთრის ოინები და დავყოვნდი. მტკვართან გაჩერება კი ჩემთვის არ შეიძლებოდა“.

თებერვალში ლესია უკრაინკამ ბოტანიკური ბაღი ინახულა. მცენარეების მრავალფეროვნებამ და ლამაზმა ადგილებმა ისე მოხიბლეს პოეტი ქალი, რომ თავის დას ბოტანიკური ბაღის სურათიც კი გაუგზავნა ასეთი წარწერით: „აი, თბილისის ულამაზესი ადგილი, აქ უკვე გაზაფხული დაიწყო“.

ლესია უკრაინკა ბევრს მუშაობს. „საჩქარო სამუშაო მაქვს“,—სწერს იგი თავისიანებს. მართალია, პოეტი ქალი იძულებულია ფულის გამო სხვა სამუშაოც აკეთოს, მაგრამ დროს მაინც პოულობს შემოქმედებისთვისაც. ნოემბერში მან დაამთავრა დრამატიული პოემა „რა მოგვეცემს ძალას“, რაც

* წერილი ა. სუდოვშიკოვას, 25.11—1903 წ.

შემდეგ ივანე ფრანკოსადმი მიძღვნილ „ტრიპტიხში“ შემადგენელ ნაწილად შევიდა. მამაცი და გაბედული ბუნება, ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობა უფრო უღვივებდა შემოქმედებითს ძალას. „დაე, რაც უნდა ისა თქვან, მაგრამ მე შევეცდები დავამტკიცო, რომ ჯერ მთლად ხეიბარი არა ვარ და დავამტკიცებ კიდევ—უ ს ი ტ ყ ვ ო დ დავამტკიცებ! თუკი ცოცხლობ, უნდა იცოცხლო და არა იღონდილო“.—გადაქართ აცხადებს ის დისადმი მიწერილ წერილში. პოეტი ქალი განაგრძობდა კიდევ მუშაობას. თებერვალში დაწერა ლექსები: „ვიცოდი, არ ამცდებოდა ცრემლი, წამება“ და „იეფაის ქალი“, აპრილში კი პოემა „თქვენ იკითხეთ მათი ამბავი“.

ყველაზე უფრო მძიმე დრო ლესია უკრაინკას ცხოვრებაში 1903-4 წლების ზამთარი იყო. საყვარელი ძმის სიკვდილი და მძიმე სენის შეტევა მხოლოდ იმან გადაიტანინა, რომ თბილისში მის გარშემო ახლობლები და მეგობრები იმყოფებოდნენ. აი, რას ამბობს პოეტი ქალი იმ დროის შესახებ: „ვილაც ჩამოვიდა კავკასიაში მეტად მძიმე ავადმყოფი... ის იყო ვილაცამ მოიკეთა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, რომ ძმის ამბავი მოვიდა და ისევ მოტეხა წელში. ვილაც რომ მარტო ყოფილიყო იტალიაში ან სადმე კურორტზე, იქნებ ვერც გადაეტანა ეს.“

მაგრამ თბილისში იყო ერთი ძველი მეგობარი*, ვილაც და ბ. კვიტკა, ისე რომ იმათ მიშველეს***.

ლესია უკრაინკას ძალიან უნდოდა ზღვაზე წასვლა, აპირებდა კიდევ ბათუმში ან სოქაში გადასვლას, მით უმეტეს, რომ მისიანებმა იმედი მისცეს, შეიძლება აგარაკიც ვიყიდოთ. ოცნებობს, სადმე ზღვის პირას მექნება მუდმივი ბინაო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბათუმში მაღარია იყო გავრცელებ-

* ლესია უკრაინკას სიყრმის მეგობარი მარია ბელიაევა, ქალიშვილობაში ბიკოვსკაია, 1903-1904 წლებში თბილისში ცხოვრობდა, სადაც მამამისი ექიმად მუშაობდა. ამ ცნობისათვის დიდ მადლობას ვუხდით ტ. შვეჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალი წლის მკვლევარს მარია დემიანის ასულ დერკაჩს.

** წერილი ო. ი. კობილიანსკაიას, 22.6. 1904. წ. მწვანე გაიდან.

ბული და საცხოვრებლად არ გამოდგებოდა, ვერც აგარაკის-
თვის იშოვნეს მშობლებმა ფული. ლესია უკრაინკას ოცნება
არ გაუმართლდა.

ამასობაში ლესია უკრაინკამ მოაგვარა თავისი საქმეები.
„ძველი ბინა დავტოვე, მსახურიც გავუშვი, როგორც ნამადი,
ისე ვცხოვრობდი ეს ხანები იმ ნაცნობ ქალთან*, რომე-
ლიც ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყო. მერე ამ „ნომრებ-
ში“ გადმოვედი, რადგან კარგი ბინის შოვნა ერთი თვით
ძნელიცაა და ასე მოკლე ხნით არც ოჯახის მოწყობა ღირ-
და“, — წერს 1904 წლის 9 აპრილს თბილისიდან. ამჯერად
ყოფილ სასახლის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ვიქტორიას“
ნომერში ცხოვრობდა. ამგვარად, მარტის შუა რიცხვებში
ლესია უკრაინკამ დატოვა ბინა ტერ-გუკასოვის ქუჩაზე. „სულ
ერთია, მაინც გადმოსვლა მომიხდებოდა, რადგან იქ რემონ-
ტი დაიწყესო“, — უხსნის ის თავის დას.

ასეთი მოხეტიალე ცხოვრების მიუხედავად, ლესია უკრა-
ინკა მთელი ენერგიით მუშაობს. ჯერ კიდევ აქ. თბილისში,
1904 წლის გაზაფხულზე, გადაწყვიტა დაეწერა მოთხრობა
ჟურნალ „კიევესკაია სტარინას“ მიერ გამოცხადებული კონ-
კურსისათვის.

ლესია უკრაინკას ყოველივე აინტერესებს, რაც მის სამ-
შობლოში ხდება. ის ღებულობს კიევისა და ლვოვის უკრა-
ინულ ჟურნალებს; ძალიან წუხს, რომ „არ ვიცი, საროდოდ
იყო დანიშნული ნიკოლაი ვიტალიევიჩის (გამოჩენილ კომ-
პოზიტორ ლისენკოს) იუბილეო**“. დადგა თუ არა გაზაფხუ-
ლის თბილი დღეები, გულმა სამშობლოში გაუწია. „იცი, —
სწერს იგი დას, — არა მგონია, 10 მაისზე აღრე მოვხვდე ოდე-
საში, რადგან აქედან 5 მაისს უნდა გამოვემგზავრო, გზას
კი 5 დღე მაინც მოუნდება, თუ მეტი არა, რადგან ერთი
დღე ბათუმში მინდა გავეჩერდე და ერთი დღე კიდევ სოქაში“.

1904 წლის მთელი ზაფხული ლესია უკრაინკა დედის მა-
მულში მწვანე გაიში ცხოვრობდა, პოლტავის გუბერნიის გა-
ლიაჩის მაზრაში. ზამთარში კი კვლავ აპირებს საქართველო-

* წერილში ნახსენები ნაცნობი ქალი მ. ბელიაევა.

** წერილი დედას თ. პ. კოსაჩს, 5. 1, 1904 წ.

ში წასვლას. პირველად განზრახული ჰქონდა ცხინვალში (ახლანდელ სტალინირში) ეცხოვრა: „იქნებ ეს ზამთარი თბილისში არ დავრჩე, არამედ გორის მახლობლად პატარა ქალაქში ვიცხოვრო (თუ იცი, ღამბაროვის სამშობლო ქალაქია), იქ შესაძლოა ბიბლიოთეკა არ დამხვდეს, ისე რომ ლიტერატურით უნდა მოემარაგდე. იქნებ კლიონია* თბილისიდან მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე გადაიყვანონ იმ პატარა ქალაქში (ცხინვალი ჰქვია), მაშინ მეც აღარ მინდა თბილისში დარჩენა, მით უმეტეს, რომ ცხინვალის ჰაერი ნაკლები არაა და ცხოვრებაც უფრო იაფია. ისე რომ, აზრი არაა აქვს მაინცადამაინც თბილისის დაჩემებას. მაგრამ ეს ჯერჯერობით გაურკვეველია...“**

როგორც ჩანს, კ. კეიტკა ცხინვალში არ გადაუყვანიათ და პოეტი ქალიც ერთი თვის შემდეგ სწერს დას თბილისში გამგზავრების შესახებ: „მე ზეგ, 12/X ვაპირებ გამგზავრებას, თუკი, (ახდია, რაიმე მოულოდნელმა ამბავმა არ დაგვაკავა. ყველა ჩემი საქმე ზეგისთვის უკვე მოგვარებული იქნება. ოდესაში ცოტა ხნით დავრჩები, რადგან ისედაც უკვე დამაგვიანდა: ალბათ 16-17-ში გავალ ზღვაში (ამ დღეებში ჩქარი გემი გადის), 20-21-ში კი თბილისში ვიქნები“.

17 ოქტომბერს გემი ოდესიდან არ გასულა. ლესია უკრაინკა ოდესიდან ოთხშაბათს, 18-ში, გაემგზავრა, ბათუნიდან კი 22 ოქტომბერს გავიდა. მეორე დღეს, ხუთი დღის მგზავრობის შემდეგ, უკვე თბილისში იყო. კ. კეიტკას მშობლებმა, რომლებიც მაშინ თბილისში ცხოვრობდნენ, შესაფერიის ბინა აშოვნინეს. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გაგზავნილ პირველსავე წერილში ლესია უკრაინკა დიდ სიხარულს გამოთქვამს კარგი ბინის შოვნის გამო: „მშვენიერი ბინა მაქვს. ქალაქის ლამაზსა და ჯანმრთელ უბანში. და საერთოდ თავსაც ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში“. ორი კვირის შემდეგ ლესია უკრაინკა ისევ თავის ბინის შესახებ წერს: „ისეთი იდეალური სადგომი, როგორიც ესაა, იშვიათად შეხვდება კაცს“. პოეტი ქალი ახლა დავითაშვილის ქუჩაზე (№ 23,

* კლიონია კ. ვ. კეიტკაა.

** წერილი დას, 6.IX, 1904 წ.

ბინა 4) გამრეკლის სახლში ცხოვრობდა: „სამსართულიანი სახლია (მაშინ ერთადერთი სამსართულიანი სახლი იყო ამ ქუჩაზე) მარცხენა მხარეს, თუკი პირით მთაწმინდისაკენ დადგები“.*

ლესია უკრაინკა ყოველ შესაძლებლობას იყენებდა, რათა ქალაქის ნაცნობი კუთხეები კვლავ მოეწყო. ხანდახან კ. კვიტკასთან ერთად მთებში სასეირნოდ მიდიოდა. „გუშინწინ მე და კლიონია შებინდებამდე დავეხეტებოდით მთებში. ისეთი მშვენიერი სანახაობა იყო, რომ დალლა ვერ ვიგრძენით. ისეთ ადგილზე ავედით, სადაც ჯერ არ ვყოფილვართ. გავიარეთ რაღაც ღელეები, ბასეინები, უფსკრულები, მეტად საინტერესო იყო“**. მის წერილებში განსაკუთრებული სიხარული ჩანს. ეტყობა, თავსაც უკეთ გრძნობს. ლესია უკრაინკამ მოიხარა უცნობი ადგილები, ერთ ნაცნობ გოგონას წერა-კითხვას ასწავლის, აპირებს (ვინმე „თბილისელი კეთილმოსურნის“ წყალობით) წიგნები გაუგზავნოს ტ. შეფჩენკოს სახელობის ლვოვის სამეცნიერო საზოგადოების ბიბლიოთეკას, ფიქრობს „პატარა კრებული გამოსცეს ხალხური სიმღერებისა ხალხისათვის“. კ. კვიტკა აქტიურ მონაწილეობას იღებს ქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობის ორგანიზაციაში. მისი ინიციატივით მუსორგსკის ოპერის „ბორის გოდუნოვის“ საკონცერტო შესრულება მზადდება. კონცერტზე მთელ მუსიკალურ ნაწილს კ. კვიტკა ასრულებდა როიალზე.

რითი აინხნება ცხოვრების ამ პერიოდში ლესია უკრაინკას სულიერი აღტკინება? ამ კითხვის პასუხი რუსეთის საერთო რევოლუციურ აღმავლობაში უნდა ვეძიოთ. გლეხობის განუწყვეტელი მღელვარებანი უკრაინასა და გურიაში, მუშათა კლასის გაფიცვებისა და პოლიტიკური გამოსვლების ზრდა რევოლუციის მოახლოებას წინასწარმეტყველებდა. როდესაც გაზაფხულზე თბილისის მუშებმა თავიანთი ძმები იაპონიის ფრონტზე გააცილეს, ისინი სასტიკად დაარბიეს დიდუბის რკინიგზის სადგურზე: ეანდარმების ხროვამ შეგროვილ უამრავ ამხანაგებიდან მხოლოდ პატარა ჯგუფი გაუშვა რკინი-

* კ. კვიტკას წერილი (1946) ლესია უკრაინკას დაბადებიდან 75 წლის-თავის სახეიმა საიუბილეო კომიტეტს.

** ლესია უკრაინკას წერილი დას—ო. პ. კოსაჩს, 1904 წ. 9.IX.

გზის ბაქანზე და ნამდვილი სასაქლო მოაწყო. მეფის მონა-
მორჩილი მსახურების სიმხეცეს საზღვარი არა ჰქონდა. მახე-
ში მომწყვდეულ ხალხს დაშლის საშუალება არ მისცეს, უი-
არლო აღამიანებს თავს დაესხნენ, ხმლებით სცემეს, მათრა-
ხები დაუშინეს და ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს
ყველა—მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ ბავშვი, მოსწავ-
ლე ახალგაზრდები—გიმნაზისტები, სახელოსნო სასწავლებ-
ლის მოწაფეები და სხვები*.

იმ ხანად ლესია უკრაინკას ახლო ნაცნობები ჰყავდა ქართ-
ველებში: ზ. ფალიაშვილი, შიო ჩიტაძე და სხვები. ამიტომ
არ შეიძლება არ შეეტყო ჯანდარმერიის პროვოკაციული საქ-
ციელი. მაგრამ აი, დადგა 1905 წელი და პოეტი ქალი თვით
გახდა მოწმე პროლეტარიატის მძლავრი რევოლუციური აღ-
მაგელობისა.

9 იანვარს პეტერბურგში მეფემ დახვრიტა მუშათა დე-
მონსტრაცია. როგორც ცნობილია, დემონსტრანტებმა მეფეს
პეტიცია მიართვეს, რომელშიც აღწერილი იყო მუშათა აუტა-
ნელი მდგომარეობა. 9 იანვრის ამბებმა მთელ მუშათა კლასს
დაანახა, რომ მეფის მოწყალების იმედი სულ ტყუილია, რომ
ერთადერთი გამოსავალი ის არის, საკუთარი ძალებით დაამ-
ხონ თვითმპყრობელობა და გაიუმჯობესონ ცხოვრება.

გაფიცვებისა და მუშათა რევოლუციური გამოსვლების
ტალღა მთელ რუსეთს მოედო.

18 იანვარს გაფიცვა თბილისშიც დაიწყო. ამ დღეს გაი-
ფიცნენ აზიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოები, მექანიკუ-
რი ქარხნები, ადელხანოვის ტყავის ქარხანა, თუთუნის ფაბ-
რიკა „მირ“ და ყველა კერძო სტამბა. გაფიცვათა მოწყობის
საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თბილისის სოციალ-
დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

19 იანვარს დიდუბეში მუშათა მრავალათასიანი მიტინგი
მოეწყო. გაფიცვა გამოაცხადეს მთელ რიგ სხვა საწარმო-
თა მუშებმაც. 1905 წლის 23 იანვრისათვის დანიშნული იყო
პოლიტიკური დემონსტრაცია. რსდმპ თბილისის კომიტეტმა

* რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია
1904 წლის 11 აპრილს თბილისში მოწყობილი დემონსტრაციის მონაწი-
ლეების სისხლიანი დარბევის თაობაზე.

პროკლამაცია გამოუშვა და მოუწოდა ყველას მონაწილეობა მიეღო დემონსტრაციაში. პროკლამაციაში ეწერა: თვით-მპყრობელობა შეირყა. მას თვითონაც აღარ სჯერა საკუთარი ძალების. ომმა რწმენა დაუკარგა ფართო მასებს თვით-მპყრობელობის ძალაში. მხოლოდ ხმამაღლა უნდა განაცხადოთ, რომ ჩვენ უკვე ვეღარ მოვითმენთ მეფესა და მის ხრევას. ჩვენთვის აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ ისეთი კი არაა, როგორც ლიბერალებსა და ბურჟუზებს უნდათ. არა, ჩვენ გვინდა დემოკრატიული რესპუბლიკა! რაც უფრო ხმამაღლა და დაჟინებით განაცხადებს მუშათა კლასი: „ძირს თვითმპყრობელობა!“, მით უფრო ჩქარა აღმოებრწყინდება ჩვენთვის უკეთესი ცხოვრების მზე!“

23 იანვარს მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაციები თბილისის სხვადასხვა ადგილებშიც მოეწყო. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გამოვიდა გოლოვინის პროსპექტზე. დემონსტრანტებს წითელი დროშები და ლოზუნგები მოჰქონდათ: „ძირს თვითმპყრობელობა!“ პოლიციელებმა და მეეზოვეებმა 20-ზე მეტი მუშა-დემონსტრანტი დასჯრეს.

„სისხლის გუბეები ტროტუარებზე საღამომდე იდგა“, — წერდა ლესია უკრაინკა ცარიზმის ამ ბოროტმოქმედების შესახებ.

25 იანვარს სამი უფროსი კლასის მოწაფეებმა უარი განაცხადეს სწავლაზე და დირექტორის გადაყენება მოითხოვეს. მეორე დღეს მოსწავლეები გიმნაზიაში არ გამოცხადდნენ. მეტწილ გიმნაზიებში სწავლა არ შედგა; მოსწავლეებმა ზოგად-დემოკრატიული მოთხოვნები წამოაყენეს. აი, რასა წერს ამის შესახებ ლესია უკრაინკა:

„აქ ყველა საშუალო სკოლაში ამბოხი იყო, მათ შორის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში (horribile dictu), ეპარქიულ სასწავლებელშიც. ვაჟთა გიმნაზიაში შეკრებებს აწყობდნენ, ფანჯრებს ამსხვრევდნენ, გააგდეს (გადააყენეს) რამდენიმე მასწავლებელი და ერთი დირექტორი, ქართულ სა-

* რსდმპ-ის კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაცია ყველა მუშისადმი მოწოდებით მიეღოთ მონაწილეობა 1905 წლის 23 იანვრის პოლიტიკურ დემონსტრაციაში.

თავადაზნაურო სკოლაში (სადაც ჩიტაძეა) ახალი წესდება გა-
მოიმუშავეს. ამ წესდებას მოსწავლეთათვის მასწავლებელთა
თანდასწრებით შეკრებებისა და პედაგოგიურ საბჭოზე თავიან-
თი წინადადების შეტანის უფლება უნდა მიეცა. დირექტორის
ტაქტის წყალობით ამას ფანჯრების მსხვერვისა და სხვა უწე-
სოების გარეშე მიაღწიეს. მხოლოდ 12 მოწაფე წავიდა სკო-
ლიდან. ამათ განაცხადეს, როგორიც უნდა იყვნენ უფროსე-
ბი, მაინც უფროსები არიან, ჩვენ კი არავითარი უფროსები
არ გვინდაო; თუმცა ამ პროტესტანტების ნახევარი უკანვე
დაბრუნდა საკუთარი ნებით, ყოველგვარი სასჯელისა და ჯა-
რიმის გარეშე. ქალთა ინსტიტუტში ამბოხი იმიტომ ატყდა,
რომ ერთი მოსწავლე ქალი უფროსი კლასიდან უმცროსში
გადაიყვანეს, რათა მაზრის უფროსის ქალისთვის ვაკანსია
მოეხერხებინათ. ერთმა მასწავლებელმა ამაზე პროტესტი გა-
ნაცხადა, რის გამოც დაითხოვეს. ქალიშვილებმა ერთი ამბა-
ვი ატეხეს ამხანაგისა და მასწავლებლის გამო, პროტესტის
ნიშნად ფანჯრები ჩალეწეს, ხოლო მათ დასაწყენარებლად მო-
სულ სასწავლებლის უფროს ქალს ფეხსაცმელები ესროლეს,
სცემეს და გააგდეს. სასწავლებლის უფროსი გადადგა, ინს-
ტიტუტი კი ჯერჯერობით დახურეს. ეპარქიელებმა ანტი-
რელიგიური ამბოხი მოაწყეს, ხმები დადის, იმ სკოლაში დი-
დი უწყესობა და არეულობააო; ასეა თუ ისეა, სკოლა დახუ-
რულია. აი ასეთი ამბებია*.

31 იანვარს მთელმა რიგმა საწარმოებმა მუშაობა დაიწყო.
*გაფიცვები აქ უკვე წყდება, კონკები დადის... საზოგადოებ-
რივი განწყობილება ქაოტიურია, თუმცა რუსეთშიც ყველგან
ასეა. ჩვენ აქ, გარდა თბილისისა, მოსკოვის, პეტერბურგისა
და კიევის გაზეთებსაც ვკითხულობთ...”—სწერდა ლესია უკ-
რაინკა დედას.

ბაქოში ცარიზმის მიერ პროვოკაციულად მოწყობილ სო-
მეხ-თათართა ელექტის პასუხად რსდმპ კავკასიის კომიტეტმა
თბილისში მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაცია ჩაატა-
რა. სალდათის ბაზარში დემონსტრანტებმა პროკლამაციები
დაჰყარეს, იმპროვიზირებულ ტრიბუნებზე სიტყვებითა და

* ლესია უკრაინკას წერილი დედასთან 6. II, 1905 წ.

ლოზუნგებით გამოდიოდნენ: „ძირს თვითმპყრობელობაო!“ მეორე დღეს, 14 თებერვალს, დემონსტრაცია კიდევ უფრო გაიზარდა. აი, რას გვიაშობს ამის შესახებ ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია: „მასის განწყობილება სულ უფრო და უფრო ძლიერდება. დაგროვილი რევოლუციური ენერგია ლაშობს გადმოხეტქოს. მასა ადგენს, დემონსტრაციულად გაიაროს სასახლის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი და მხოლოდ შემდეგ დაიშალოს. ჩვენი კომიტეტი მომენტივთ სარგებლობს და დაუყოვნებლივ აწყობს მცირე ხელმძღვანელ ჯგუფს. ეს ჯგუფი მოწინავე მუშების მეთაურობით ცენტრალურ ადგილს იკავებს,—და სწორედ სასახლის წინ აღიმართება სახელდახელოდ გაკეთებული წითელი დროშა. მედროშე, რომელიც მაღლა უჭირავთ დემონსტრანტებს, მკაფიო პოლიტიკურ სიტყვას ამბობს, სადაც უწინარეს ყოვლისა სთხოვს ამხანაგებს არ შედრკენ იმით, რომ დროშაზე სოციალ-დემოკრატიული მოწოდება არ არის. „არა, არა—უპასუხებენ დემონსტრანტები,—იგი ჩვენ გულის ფიცარზე გვაწერია“. შემდეგ იგი ხსნის წითელი დროშის მნიშვნელობას, აკრიტიკებს წინა ორატორებს სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით, ამხელს მათი სიტყვების უნიათობას, აღნიშნავს ცარიზმისა და კაპიტალიზმის მოსპობის აუცილებლობას და მოუწოდებს დემონსტრანტებს იბრძოლონ სოციალ-დემოკრატიის წითელი დროშით. „გაუმარჯოს წითელ დროშას!“—უპასუხებს მასა. დემონსტრანტები წინ მიდიან ვანქის ტაძრისკენ. გზადაგზა სამჯერ ჩერდებიან, რომ მედროშეს მოუსმინონ. ეს უკანასკნელი კვლავ მოუწოდებს დემონსტრანტებს ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და სთხოვს ფიცი დასდონ, რომ ისევ ერთსულოვნად გამოვლენ აჯანყებაზე, როგორც ახლა დემონსტრაციაში, „ფფიცავთ!“—უპასუხებს მასა. შემდეგ დემონსტრანტები ვანქის ტაძრამდე მიდიან და, იქ კაზაკებთან მცირე შეტაკებების შემდეგ, იშლებიან.

ასეთი იყო „თბილისის 8000 მოქალაქის დემონსტრაცია“*.

დემონსტრაციამ დიდი გამარეგოლუციონერებელი გავლენა მოახდინა ქართველ ხალხზე. სულ უფრო და უფრო გაძ-

* ი. სტალინი. თხზულებანი, ტომი I, გვ. 85—88.

ლიერდა რევოლუციის ხანძარი გურიაში. რუსეთიდან და უკრაინიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატები აწყო-ბენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა შეაგროვონ ფული და აჯანყებულებს მიეხმარონ. ლესია უკრაინკა აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ ღონისძიებებში. მონაწილეობს კონცერტებში. ამ კონცერტებით შეგროვილი ფული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საკუთრებაში გადადის. სამწუხაროდ, ლესია უკრაინკას შინაურებთან მიწერ-მოწერას ბევრი ისეთი წერილი აკლია, რომელიც 1905 წლით თარიღდება. 1905 წლის 5 მარტის წერილში პოეტი ქალი იტყობინება: „მალე მოგწერთ წერილს და აგიწერთ თბილისის მთელ ამბებს“. 1905 წლის 20 მარტის შემონახულ წერილიდან ვტყობილობთ, რომ ლესია უკრაინკას უკვე მიუწერია შინაურებისათვის წერილი, სადაც აღწერილი ყოფილა „თბილისის მთელი ამბები“. 1905 წლის 22 მარტის გადარჩენილ წერილში ლესია უკრაინკა წერდა:

„თბილისში კიდევ ერთი გაფიცვაა—ნოქრებისა. ნოქრები თავს იყრიან დაშვებულ თუ აკრძალულ კრებებზე, თავიანთ მოთხოვნებს აყენებენ და იმუქრებიან, ძვირფას ვიტრინებს ჩავამტვრევთ, თუ პატრონები თვითონ ივაკრებენო. გურიაში კვლავ გრძელდება აჯანყება და უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს. ჯერ ადმინისტრაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ახლა კი უკვე ჯერი სასამართლოზე დადგა. (მოითხოვენ მოსამართლეების არჩევითობას და პროცესებზე ადგილობრივ ენას), ისე რომ რამდენიმე მომრიგებელმა მოსამართლემ, პროკურორმა და გამომძიებელმა სამსახურის ადგილს თავი დაანებეს და წამოვიდნენ, რადგან საშუალება არ ჰქონდათ თავიანთი მოვალეობა შეესრულებინათ. კავკასიაში სამსახური უფრო და უფრო არასასიამოვნო ხდება პრინციპიალური მხრით“. თუმცა მომრიგებელ მოსამართლეებს (ე. კვიტკა ნომრიგებელი მოსამართლის თანაშემწედ მუშაობდა) პოლიტიკური პროცესები არ მიჰყავდათ, მხოლოდ სასოფლო დავის გარჩევას აწარმოებდნენ, მაგრამ ხალხის თვალში ისინიც საძულველი თვითმპყრობელობის, ცარიზმის წარმომადგენლები იყვნენ. პოეტმა ქალმა ამ მრისხანე დღეებში განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნო, რომ რევოლუციის დროს არა მარტო

აუცილებელია ხალხთან იყო შენი აზრებით და შეხედულებებით, არამედ კონკრეტული მონაწილეობაც უნდა მიიღო გამანთავისუფლებელ ბრძოლაში. მაგრამ ქართული ენის უცოდინარობა, ამის შედეგად კი აჯანყებულ მასებთან სრული კონტაქტის დამყარების შეუძლებლობა. აგრეთვე კ. კვიტკას ოფიციალური მდგომარეობა, რომელიც იუსტიციის სამინისტროში ირიცხებოდა, აბრკოლებდა პოეტი ქალის მისწრაფებას, კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღო კავკასიის პოლიტიკურ ბრძოლაში. ამიტომ პოეტი ქალი ისწრაფვის სამშობლო მხარისაკენ, სადაც ამ დროს განსაკუთრებული ძალით იფეთქა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლმა. ის სერიოზულად ფიქრობს უკრაინაში დაბრუნებაზე.

1905 წლის 24 მაისს ლესია უკრაინკა თბილისიდან გაემგზავრა, 30 მაისს უკვე ოდესაში იყო, ხოლო დაახლოებით 5-6 ივნისისათვის მშობლიურ კიევიში დაბრუნდა. ამით დამთავრდა გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ქალის ცხოვრების თბილისური პერიოდი, რომელიც 1903 წლის სექტემბრიდან 1905 წლის მაისამდე გრძელდებოდა, 1904 წლის ზაფხულის გამოკლებით. საქართველოში ლესია უკრაინკა მხოლოდ სამნახევარი წლის შემდეგ, 1908 წლის დეკემბერში დაბრუნდა.

1903-1905 წწ. პერიოდში საქართველოში ლესია უკრაინკა მოწმე იყო გურული გლეხების აჯანყებისა, თბილისის პროლეტარიატის მძლავრი რევოლუციური ბრძოლისა. ამას კი არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მის შემოქმედებაზე, მის დამოკიდებულებაზე რუსეთის ხალხთა დიდ გამანთავისუფლებელ ბრძოლასთან მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. სწორედ საქართველოში იყო დაწერილი ლესია უკრაინკას ყველაზე რევოლუციური ნაწარმოებები.

თბილისში ლესია უკრაინკა ახლო გაეცნო ქართველი ხალხის ლიტერატურას. მის თბილისელ ნაცნობ-მეგობართა რიცხვში იყო გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატი შიო ჩიტაძე. მისი საშუალებით პოეტი ქალი იგებდა საქართველოში მომხდარ რევოლუციურ ამბებს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლესია უკრაინკას წერილებში ჩიტაძის გვარი იხსენიება მხოლოდ 1905 წლის დასაწყისიდან, ე. ი. იმ დღეებში, როდესაც თბილისში გაიშალა აშკარა რევოლუციური

ბრძოლა. 1905 წლის 6 თებერვლის წერილში ლესია უკრაინ-
კა თითქო გაკვრით ახსენებს, რომ ჩიტაძესთან იყო, მერე კი
დაწვრილებით ჰყვება თბილისის ამბებს. 1905 წლის 22 მარ-
ტის წერილში ჯერ ნახსენებია ჩიტაძეების ოჯახი და მერე
იწყება თბილისში მომხდარი ახალი გაფიცვების ამბავი. ამ
წერილში პოეტი ქალი ამბობს: „ესაა ახლახან ჩემთან იყვნენ
ქალბატონი ჩიტაძე და მისი და. ქალბატონ ჩიტაძესთან მე
კარგ მეზობლურ დამოკიდებულებაში ვარ და ხშირად დავ-
დივარ მასთან...“ ექვს გარეშეა, რომ ლესია უკრაინკას ხში-
რი ეიზიტები შიო ჩიტაძის ოჯახში, რომელსაც ჯერ კიდევ
კიევში გაეცნო, აიხსნება პოეტი ქალის ცხოველი ინტერესით
თბილისში მომხდარი რევოლუციური ამბების მიმართ. გიმნა-
ზიაში მომხდარი ამბოხი, გაფიცვები სემინარიაში და გიმნა-
ზიაში იმიტომაა ასე დაწვრილებით აღწერილი, რომ ლესია
უკრაინკას შიო ჩიტაძისა და მისი ოჯახის წევრებისაგან შე-
ეძლო გაეგო ეს ამბები. მოწინავე რევოლუციონერ-დემოკ-
რატის შიო ჩიტაძის ოჯახთან მეგობრობა ლესია უკრაინკას
დაეხმარა უკეთ გარკვეულიყო საქართველოში მომხდარ ამ-
ბებში და დაეკავშირებინა ეს სრულიად რუსეთის რევოლუ-
ციურ მღელვარებასთან. მართალია, ქართული ენის უცოდინ-
ნარობა საკმაო დაბრკოლება იყო, მაგრამ ამას ერთგვარად
უმსუბუქებდნენ თვით შიო ჩიტაძე და მისი მეუღლე, უკრაი-
ნელი ქალი უსტინა კირილოვნა შჩერბანი.

კ. კვიტკასთან ერთად ლესია უკრაინკა დაუახლოვდა ქარ-
თული საზოგადოებრიობის პროგრესულ წრეებს და დაიწყო
რუსი ხალხის დემოკრატიული კულტურის პროპაგანდა. აღ-
სანიშნავია, რომ სწორედ 1905 წლის რევოლუციის წინ,
1904 წლის 25 მარტს, თბილისის მოწინავე მუსიკალური სა-
ზოგადოება ანხორციელებს მუსორგსკის ანტიცარისტული
ხალხური ოპერის „ბორის გოდუნოვის“ კონცერტულ დადგ-
მას. ამ ოპერის დადგმა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქარ-
თული მუსიკალური სამყაროს ცხოვრებაში, იგი მოასწავებდა
რუსი, უკრაინელი და ქართველი ლიტერატურულ-არტისტუ-
ლი წრეების მეგობრობას. ლესია უკრაინკა „ბორის გოდუ-
ნოვის“ დადგმას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ლესია უკრაინკას თბილისში ყოფნის პერიოდში რუსეთის მშრომელთა ცალკეული გამოსვლები თანდათან გადაიზარდა რუსეთის პირველ რევოლუციაში. რუსეთის მთელ რიგ გუბერნიების, უკრაინასა და გურიის გლეხების მღელვარების, პეტერბურგში მომხდარი იანვრის რევოლუციური ამბების, თბილისის დემონსტრაციების, აგრეთვე ვ. ლენინის ნაშრომებისა და რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ გამოშვებული პროკლამაციების წყალობით უკრაინელმა მწერალმა ქალმა შექმნა ისეთი ნაწარმოებები, სადაც აშკარად გამოთქვა სურვილი გამხდარიყო ამბოხებული პროლეტარიატის მომღერალი. ეს გვაკისრებს განსაკუთრებული გულისყურით შევისწავლოთ ლესია უკრაინკას თბილისური პერიოდის შემოქმედება და თბილისური ამბების უშუალო გავლენა მასზე.

2

ლესია უკრაინკას დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მეტად ცოტაა ისეთი ნაწარმოები, რომელიც 1903-1904 წლებით იყოს დათარიღებული.

მოახლოებული რევოლუციის პირობებში აუცილებელი იყო პოეტ ქალს გაერკვია, რა დამოკიდებულება ჰქონდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისა და ფენების მიმართ, განესაზღვრა თავისი პოზიცია მომავალ ბრძოლაში.

სამწუხაროდ, პოეტ ქალს ავადმყოფობის გამო არ შეეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო ყოველდღიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რის გამოც მისი ბიოგრაფია არცთუ ისე მდიდარია საზოგადოებრივი საქმიანობის გარეგნული გამოხატულებით.

1903 წლის ნაწარმოებებში ასახულია ლესია უკრაინკას ინტერნაციონალური გრძნობები, ხოლო 1905 წელს აშკარად და პირდაპირ გამოაცხადა, ვის მხარეზეა იგი და ვის ემსახურება მისი მუშა. ახალი სოციალისტური სამყარო — აი ის მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფოდა პოეტი ქალის ოცნება. და ისიც შეუპოვრად მიემართებოდა ამ მიზნის შეგნებისაკენ, თავისი ნაწარმოებებით ამტკიცებდა, რაოდენ დიადი იყო ბრძოლა თავისუფალი წყობილებისათვის. სწორედ 1903 წელს,

იტალიიდან უკრაინაში დაბრუნებამდე, დაწერა მან ცნობილი ლექსი „კვამლი“. ამ ლექსში განსაკუთრებული სიცხადით აღიარებს პროლეტარიატის ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპს, აცხადებს სრულ ერთობას როგორც სამშობლოს მუშათა კლასთან, ასევე აქამდე მისთვის უცხო, სხვა ქვეყნების მუშათა კლასთან. პოეტმა ქალმა თითქოს ახლა დაინახა მშრომელთა ღარიბული ცხოვრება, შეამჩნია მიღებიდან ამოსული თვალისამომწველი კვამლი, რომელსაც ცა გაუმჟღავნებს და მუშებსა და მის შვილებს სიცოცხლეს უწყაშავს. თუ თავის ინტერნაციონალურ შეხედულებებს აქამდე მეტწილად პუბლიცისტურ ნაწარმოებებში გამოხატავდა, ახლა ნათელ და ჩამოსხმულ პოეტურ სახეებში ასახავს. ლესია უკრაინკას რევოლუციამდელი პერიოდის პოეზიაში ყველაზე უფრო ძლიერად ლექსში „კვამლი“ არის გამოხატული კპიტალისტებისადმი სიძულვილი და ამავე დროს სრული კლასობრივი სოლიდარობა მუშებთან.

ჯერ კიდევ სანრემოში ყოფნისას შექმნა პოეტმა ქალმა პოეტური სიმბოლოებით აღსავსე ნაწარმოებები. ლექსში „ზეცაში მრავალი ციმციმებს ვარსკვლავი“ ლესია უკრაინკა გვიჩვენებს, თუ როგორ დღენაკლული და მერყევია რეაქციული ძალების ბატონობა მის სამშობლოში. ბნელის სახით გამოყვანილია რეაქციის ძალები და თვითმპყრობელობა და ესენი დაპირისპირებული არიან განთიადის წინამორბედ კაშკაშა ვარსკვლავებთან.

თრთის წყვდიადი ბნელი, უნაპირო,
ნეტავ ამ თრთოლვას თუ ვინ გაიგებს?
ეგების შიში მის წიალს გმირავს
ასეთ ხანმოკლე ბატონობისთვის?
ეგებ ეს მხოლოდ შურია ავი
ზღვის და სიცოცხლის ძალებისადმი?
ან ეგებ ზიზღი მასში მძვინვარებს
ვარსკვლავთ ციმციმის, სითეთრისადმი?
ან სიხარული მასში ნავარდობს
და გამარჯვებას შავბნელს ზემობს?

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

და შემდეგ განსაზღვრულია საზოგადოებრივ ძალთა თანა-
ფარდობა ლექსის დაწერის მომენტში:

დაბნელდა, ვარსკვლავთ მატულობს შუქი,
ზღვა ტირის, ისევ თრთის ეს ბნელეთი.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

აქ უდავოდ იგრძნობა დიდი რუსი პროლეტარული მწერ-
ლის მაქსიმ გორკის „სიმღერა ქარიშხალაზე“-ს გავლენა.
მსგავსი სახეები და მოტივები, განსაკუთრებით ზღვისა და
სიბნელის სახეები, იგივე იდეა რევოლუციის მოახლოებისა—
ყოველივე ეს ამტკიცებს დიდი რუსი მწერლის მ. გორკის
შემოქმედების გავლენას ლესია უკრაინკაზე.

ასეთივე განწყობის ლექსია „უცხად აელვარდნენ ტალ-
ღები“. ამ ნაწარმოებში მეტი სიძლიერითაა დახატული ერთი
მხრივ სიბნელე—თვითმპყრობელობისა და რეაქციის ბნელი
ძალები—და მეორე მხრივ ზღვა, რომელშიაც ხალხი იგუ-
ლისხმება. გამანთავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას-
თან დაკავშირებით ლესია უკრაინკამ ხალხთა მასების რევო-
ლუციური ამბოხების თვალწარმტაცი პოეტური სურათი შე-
ქმნა აზვირთებული ზღვის სახით:

იარალის ბრწყინვალება და ხმაური დიდი,
თითქოს ხალხი აღშფოთებით აღდგა,
თითქოს ხალხის უძლეველი ძალა
შეურყევლად იერიშზე მიდის.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ლესია უკრაინკას ესმოდა, რომ მომავალი რევოლუცია
აუცილებელია, უფრო მეტიც,—რომ ის ერთადერთი ხსნაა
და ამიტომაც სულით და გულით მიისწრაფვოდა მომავლისა-
კენ, ძველი კაპიტალისტური სამყაროს ნანგრევებზე რომ აიგე-
ბოდა.

მძიმე ავადმყოფობას, რაც საყვარელი ძმის სიკვდილის
გამო უფრო გამწვავდა, თან პირად ცხოვრებაში შეხვედრილ
უსიამოვნებებს არ შეიძლება რაღაცნაირი კვალი მაინც არ
დაემჩნია მის შემოქმედებაზე. თბილისში დაწერილ ზოგიერთ
ლექსს ამ მძიმე განწყობის ბეჭედი აზის. უდროოდ დაღუპუ-

ლი მეგობრის მარქსისტ ს. კ. მერჟინსკისა და ძმის მიხაილის ხსოვნას მიუძღვნა ძირითადად „ტრიპტიხის“ პირველი პოემა „რა მოგვეცემს ძალას“. როგორც ცნობილია, „ტრიპტიხი“ მთლიანად მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წელს დაამთავრა. თბილისში დაწერილ ნაწარმოებთა შორის ეს პოემა ყველაზე დიდია. პოეტმა ქალმა თვითონ განსაზღვრა ამ პოემის დედაარსი: „ეს იდეალიზაციაა ისეთი ადამიანური ტყვეობისა, როგორიც თანაგრძნობაა და უდანაშაულო დანაშაულის ნებაყოფლობითი მონანიება“*. მაგრამ გაქირვება და პირადი ტრაგედია პოეტი ქალისთვის არაფერია იმ ტანჯვასთან შედარებით, თუკი მისი ცხოვრების ოცნება ფუჭი გამოდგება. პოეტმა ქალმა მთელი თავისი ნიჭი საოცნებო მიზნის სამსახურს შესწირა. ყოველივეს მოითმენს და აიტანს მისი სული, მაგრამ თუ ამ ოცნებამ უმტყუნა, მაშინ — „ჩაქრება სული, მოკვდება გული, ცხოვრებას ჩალის ფასიც არ ექნება!“ ეს სტრიქონები მოყვანილია ლექსიდან „მე ვიცოდი, რომ ცრემლი და ტანჯვა მხვდებოდა წილად“ და იმის დამამტკიცებელია, თუ რა ერთგულია ლესია უკრაინკა მშრომელებისა, რომლებიც იბრძვიან სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის ბორკილებიდან განთავისუფლებისათვის, იბრძვიან სოციალისტური სამყაროს დასამყარებლად.

პოეტი ქალი მიმართავს თავისი ოცნების საგანს, რომელიც მთელი სიცოცხლე ასულდგმულეზდა, პოეტი ქალი ამბობს, სიკვდილსაც კი არად ჩავადებ, თუკი ოცნების საგანი ჩემთან ერთად არ მოკვდება და მანათობელი ვარსკვლავი არ ჩამიქრებაო. ცხადია, სიკვდილის მოახლოების ფიქრი მას მძიმე სენმა მოჰგჭარა, მაგრამ მთავარია, რომ ასეთ წუთებშიც კი პოეტი ქალის ფიქრი მისი სამშობლოსა და ხალხის მომავალს დასტრიალებს თავს. 1904 წლის 4 მარტს თბილისში დაწერილ ლექსში „ეფაის ქალი“ სიცოცხლის გამოსალმების მოტივებს სცვლის უფრო მნიშვნელოვანი იდეა — სამშობლოსა და ხალხის ერთგულების იდეა. მერე რა, რომ „მე შავ მიწას ვეკუთვნი“, წერდა ლესია უკრაინკა, თუკი მთებში დაიგუგუნებს სიმღერა „მზის, ქარისა და გაზაფ-

* წერილი ა. ე. კრიმსკის, 2. XII, 1903 წ.

ხულისა“—კაცობრიობის მომავალი განახლების სიმბოლოების. თუმცა ლექსი ბიბლიურ სიუჟეტზეა აგებული, პოეტმა ქალმა მაინც მოახერხა ნათლად გამოეხატა შიგ თავისი ოპტიმისტური განწყობა ცხოვრებისადმი.

პოეტ ქალს ვერ მოერია მძიმე სენი. ახლა მას აწუხებს არა სიკვდილის ფიქრი, არამედ ის ამბავი, რომ არიან კიდევ ცოცხალ-მკვდრები, ე. ი. ისეთი ადამიანები, რომლებიც ცოცხლობენ, მაგრამ არ იბრძვიან კემშარიტი, ნათელი ცხოვრებისათვის.

1904 წლის ზაფხულში დაწერილ ლექსებში, რომელთა ნაწილი საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებითაა შექმნილი („წარწერა ნანგრევებზე“), პოეტი ქალი საბოლოოდ ანებებს თავს საკუთარ ბედზე მძიმე ფიქრებს და ამბობს, რომ ხალხი, მისი შემოქმედებითი გენია უკვდავია, და მოუწოდებს ადამიანებს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ. ლექსი „წარწერა ნანგრევებზე“ ამტკიცებს, რომ დავიწყებას მიეცემა მეფეები, რომ ისინი არ უნდა აინტერესებდეთ არც ისტორიკოსებსა და არც პოეტებს, რომ უკვდავია მხოლოდ ის, რაც შექმნა უბრალო ადამიანთა მარჯვენამ. ყოველივე მშვენიერის შემოქმედი მეფენი და შეძლებული კლასები კი არ არიან, არამედ უბრალო მაშვრალნი, ხალხია. ისინი არიან კემშარიტი ხელოვანი და შემოქმედნი. მხოლოდ მათ აქვთ უკვდავების უფლება. მრავალი საუკუნის მანძილზე მონობის უღელს აღგას ხალხთა გენიას, ხალხი მონაა:

ბრძოლის ველებზე ურიცხვი ხალხის
ტალღა-ტალღაზე მიედინება
და მეფის რაშებს ეგება ფეხქვეშ.
ხოლო ცოცხლად ვინც გადარჩენილა,
წყდება ეგვიპტურ, მძიმე შრომაში;
მათ საფლავებზე მეფის ჰსურს ძეგლი
აიგოს; დაე გაწყდნენ მონები!
და შრომობს მონა; მძიმე ღოდებს თლის,
აგურს სწვავს, აგებს უმაღლეს თალებს,
ტვირთს ზიდავს, უღელს თვითონ შებმია
მოხიბლულს, დიადს ჰქმნის საუკუნოდ
და ყოველივე, რაც შეუქმნია,
უბადლო სვეტი, ტურფა ჩუქურთმა,

ნაქედობა თუ ნაქანდაკეიც,
ირგელივ ყოველი ქვა და აგურიც
დღეს უხილავი ბაგით ჰღალადებს:
„მე იგვიპტელმა ხალხმა შემქმნაო“.

(თარგმანი მ. მრეველიშვილისა).

შესანიშნავია ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონები:

ნურც თქვენ, მგოსნებო, ნურც თქვენ, სწავლულნო,
აწი ამოდ ნულარ ეცდებით,
ამოიკითხოთ მეფის სახელი,—
მისი საფლავი ხალხს უქლენა ძეგლად
ბედმა და დაე გაწყდნენ მეფენი.

(თარგმანი მ. მრეველიშვილისა)

ეს სიტყვები, დაწერილი 1905 წლის წინა პერიოდში, პირდაპირ მოწოდება იყო თვითმპყრობელობის დამხობისაკენ.

ყველა დაჩაგრული ერის მიმართ სოლიდარობის გრძნობითაა გამსჭვალული 1904 წლის გაზაფხულზე თბილისში დაწერილი პოემა „თქვენ იკითხეთ მათი ამბავი“. მეფის თვითმპყრობელობა ჩაგრავედა ნაციონალურ უმცირესობებს, დამონებული ხალხი ხელისუფლებას ველურებად მიაჩნდა, რომელთაც თითქო ადამიანური გრძნობები არ ჰქონდათ და ადამიანური დამოკიდებულებების არა გაეგებოდათ რა. ამ პოემის სტრიქონები ცარიზმის მიერ ხალხის დამონების მხურვალე პროტესტითაა გამსჭვალული.

პოეტი ქალი ამ პოემაში თანაგრძნობას უცხადებს მეფის ჯარში ძალად გარეკილ იაკუტებს. პოემის სიუჟეტი უჩვეულად იმ შთაბეჭდილებებმა მოაფიქრებინა, რომლებიც საქართველოში ყოფნისას მიიღო. ცნობილია, რომ მეფის მოხელეები აბუჩად იგდებდნენ კავკასიის ხალხებს, ველურებად მიაჩნდათ ისინი. ამ პოემის დედაარსიც სწორედ მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრება და დაჩაგრული ერების თანაგრძნობაა. პოემა დამამტკიცებელი საბუთია იმისა, თუ როგორი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ რუსული და უკრაინული საზოგადოების მოწინავე ფენები სხვა ერის მშრომელებს.

ლესია უკრაინკას ნაწარმოებთა შორის პოეტი ქალის პოლიტიკურ შეხედულებებს ყველაზე სრულად „შემოდგომის ზღაპარი“ ასახავს. ეს პიესა 1905 წლის დამდეგსაა დაწერი-

ლი თბილისში. აქ ნათლად ჩანს, როგორ კარგად ესმის მას მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში, მისი კლასობრივი მიზნები, ბურჟუაზიული პარტიის მოლაღატური როლი, მოწინავე, კემშარიტად ხალხური ხელოვნების ერთგულება მუშათა კლასისადმი. ყოველივე ეს ჩვენ მოვალედ გვხდის გულმოდგინედ გამოვიკვლიოთ რა პირობებში დაიწერა „შემოდგომის ზღაპარი“, რა იყო მისი წყარო და რა იდეებია გატარებული ამ პიესაში.

3

„შემოდგომის ზღაპარი“ ლესია უკრაინკას დაუმუშავებელი დარჩა. თარიღად 1905 წლის 25 იანვარი აზის, მაგრამ შემდეგში შიგა და შიგ ნასწორებია—ჩამატებულია წინადადებები, ცალკეული ეპიზოდები, გადახაზულია მთელი გვერდები. აი, რას წერს ლესია უკრაინკა 1905 წლის 6 თებერვალს დაწერილ წერილში „შემოდგომის ზღაპარზე“: „ვფიქრობ, აგრეთვე ხელი მოვკიდო ახალი დრამატიული ეტიუდის რეფორმას,—მე ის უკვე დავამთავრე, მაგრამ შიგ ბევრი რამ არ მომწონს და მინდა უფრო ძლიერად დავწერო“. ეს გვაფიქრებინებს, რომ ხელნაწერის აღნიშნული სწორება იმავე წლის თებერვალში მოხდა, თუმცა დისაშვებია, რომ იმავე წლის ზაფხულშიც ლესია უკრაინკა, „თავისუფლების სიმღერებზე“ მუშაობისას, კვლავ უბრუნდება ხელნაწერის სწორებას.

„შემოდგომის ზღაპარი“ ოთხი ეპიზოდისაგან შედგება. მთავარი მოქმედი გმირები არიან რაინდი, პრინცესა, მოახლე და მუშები, რომელთაც სათავეში ჰყავთ მშენებელი.

პირველ ეპიზოდში მოახლე ქალი, რომელიც ღორებს უვლის, დაეხმარება ტყვე რაინდს, საპყრობილიდან გააპარებს მას, სადაც ის ტირანმა მეფემ გამოკეტა. მეორე ეპიზოდში მოთხრობილია „გუშინდელი უბრალო ფეხშიშველა“ პრინცესას წარმოშობისა და ბედის ამბავი. შემდეგი ეპიზოდი ეხება იმავე პრინცესას, რომელიც ბროლის მთაზე სასახლის შუშის ოთახშია ჩაკეტილი.

ყოველივე ეს შესავალია ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი უკანასკნელი ეპიზოდისა, რომელიც მთელი ნაწარმოე-

ბის ცენტრსა და საფუძველს წარმოადგენს. რაინდი უარს ეუბნება მოახლეს ცოლად შერთვაზე, ქალს კი იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით მეფისწულის ძიძა გახდებოდა. მწყენსები სალორეებსა და ფარეხებს ანგრევენ. ღორების, ხარებისა და კვიცების გაშმაგებული ჯოგი მინდვრებისაკენ დაეშვება და ვინც დამალვას ვერ მოასწრებს, ყველას ტალახში თელავენ. რაინდი შეეცდება ბროლის მთაზე ავიდეს, მაგრამ, როგორც სხვა მისი წინამორბედები, ისიც ჩამოვარდება. რაინდს გამოჩნურებული პრინცესაც უკან მოჰყვება.

მშენებლის მეთაურობით მუშები ნაბიჯ-ნაბიჯ აღიან მთაზე და ყოველ გათხრილ საფეხურზე წითელ ბაირალებს ამაგრებენ. პრინცესა რაინდს თავს ანებებს და მუშებს მიჰყვება. მისი ბედი მუშების ბედს უკავშირდება, რადგან მათ სწამთ გამარჯვება. ასეთია „შემოდგომის ზღაპრის“ შინაარსი. ფანტასტიკური დრამის ეანრმა განაპირობა მხატვრული სახეების და სიტუაციის ალეგორიულობაც. მხატვრული სახეები მეტწილად განვითარებაშია მოცემული. ეს უპირველეს ყოვლისა რაინდსა და პრინცესას ეხება.

რაინდს მხოლოდ საკუთარი თავი, „ბრბოს“ წინაშე თავის გამოჩენა აინტერესებს. ის ცდილობს პირადი ტანჯვა როგორმე ხალხის მოძრაობას დაუკავშიროს, ოცნებობს, რომ მისმა ამაყმა და ლამაზმა სიკვდილმა ხალხის რისხვა გამოიწვიოს. ის არ იცნობს ხალხს და არც ესმის მისი. რაინდი როდი ამხედრებს ხალხს ასაჯანყებლად, პირიქით, იმედიც არა აქვს, რომ ხალხი ბრალს დასდებს ტირანს, რადგან, მისი ფიქრით, „ახლა ქვეყანაში სიწყინარე მეფობს“ და ვერც ვერაფერი დაარღვევს მას.

მოახლის სიტყვებიდან ვიგებთ რაინდის წარსულს, იგი მეფის პალატებში „რალაცას ამბობდა ხალხზე და მის თავისუფლებას თხოულობდა“. რაინდის სიტყვების საერთო ტონიდან ძნელი გასაგები არაა, რომ იგი ისევე ეთამაშებოდა და ატყუებდა ხალხს, როგორც მეფე. მეფესა და რაინდს შორის რომ არც ისე დიდი ზღვარია, ამას მოწმობს მოახლის სიტყვები:

იმ დროს გავიფიქრე: დახეთ, რა ხდება?
მეფეს სურს შეირთოს გოგონა-მწყემსი,
გლეხებს კი, გლეხებს რაინდი იცავს...

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

მოახლეს, რომელსაც „ქალბატონობა“ სურს, მშვენივრად ესმის, რომ ადრე თუ გვიან რაინდი „თავის ადგილ-მამულს დაიმკვიდრებს“.

რაინდი ცდილობს ბროლის მთას ააღწიოს და პრინცესა გაანთავისუფლოს. ყოველ წინანდელ მხსნელსაც აგრეთვე უნდოდა საკუთარი ხელით მეფის საპატიო ტყვის განთავისუფლება, მაგრამ ყველამ დამარცხება იწვინა. ტირანიასთან ასეთი „ბრძოლა“, გმირობის ინდივიდუალური თამაში რომ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს და მხოლოდ ძალების ფუჭი ხარჯვაა, — ამას ლესია უკრაინკა ხაზს უსვამს სიუჟეტის განვითარებისას: ტიპიურია ისიც, რომ ყველა რაინდი მხოლოდ და მხოლოდ პრინცესას და არა ხალხის გასანთავისუფლებლად იღწვის და მისი თავისუფლება ყველას მხოლოდ თავის საკეთილოდ სურს.

რაინდის მთელი გაბედულება მხოლოდ პირველ საფეხურამდე ეყო. და როცა ჩამოვარდა, უკვე ძალა არ ეყო მწვერვალზე ასასვლელად. ის რჩება, როგორც ავტორის რემარკა ამბობს, „კლდის ყველაზე დაბალ საფეხურზე“. კიდევ მეტი, პირველივე ცდის შემდეგ რაინდს ეკარგება გამარჯვების იმედი და ლამობს სხეულისა და გადართმევიანოს მთაზე ასვლა.

ცხადია, რაინდის სახეში არ შეიძლება ვეძებოთ რომელიმე გარკვეული პარტიის ტიპიური ნიშნები, მაგრამ მის მოქმედების ცალკეული მომენტები საფუძველს გვაძლევს მივუთითოთ ზოგიერთ კონკრეტულ ისტორიულ „პროტოტიპზე“, რომლის წინააღმდეგაც ლესია უკრაინკა რევოლუციის პირველსავე დღეებში გამოდიოდა. ასე მაგალითად, ინდივიდუალური ბრძოლა, „გმირობის ტაქტიკა“ ახასიათებდა ხალხოსნებსა და მათ მემკვიდრე ესერების პარტიას. თუმცა „შემოდგომის ზღაპრის“ დაწერისას ლესია უკრაინკამ არ იცოდა, როგორ განვითარდებოდა რევოლუცია, მაგრამ კარგად ხედავდა ამ შემთხვევითი პარტიების პოლიტიკის მატყუარობას, რომლებიც მთელ იმედებს ლიბერალურ ბურჟუაზიაზე ამყარებდნენ.

ლესია უკრაინკამ მხატვრულ სახეებში გვიჩვენა წვრილ-ბურჟუაზიული „რევოლუციონერების“ დამარცხების გზა. ისინი

ხომ ერთნაირად იწყებდნენ თავისუფლებაზე მგზნებარე ლა-
პარაკით, „გლეხის დაცვით“, ემუქრებოდნენ ტირანებს, მაგ-
რამ ბრტყელ-ბრტყელი წინადადებების იქით არ მიდიოდნენ
და პირველსავე მარცხზე იმედს ჰქარგავდნენ. ცდილობდნენ
სხვებიც დაერწმუნებინათ, რათა უარი ეთქვათ ბრძოლაზე
და ბოლოს იმით ამთავრებდნენ, რომ ლაფში სვრიდნენ ხალ-
ხის ბედნიერებისათვის მეომარ მებრძოლებს, თავად კი
მმართველ კლასებს ელიქნებოდნენ და ევედრებოდნენ. ასე-
თივეა რაინდის დასასრულიც, რომელიც პრინცესას ეუბნება:

მე ვფიქრობ—მეფე მხეცი როდია,
დასაზიხრებულთ არ დასჯის იგი,
ჩვენ ის შეგვინდობს...

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ბოლოს, ლიბერალიზმის ასეთი რაინდი ისეთ საზიზღარ
საქციელს სჩადის, რომ ნათელი ხდება მთელი მისი გულგრი-
ლობა ხალხთა მასების ბედისადმი, გულგრილობა იმ მუშე-
ბის ხვედრისადმი, რომლებიც მთელი ხალხის განთავისუფ-
ლებისათვის იბრძვიან. როცა ეს „რაინდი“ ამბობს: „ბოლოს
და ბოლოს ჩვენ ახლა რაში გვენადვლება ისინიო?“—აშკა-
რა ხდება, რომ ყოფილი „ხალხის მეგობარი“, „გლეხის
დამცველი“ უკვე ხალხისა და რევოლუციის ნამდვილ მტრად
იქცა.

რაინდის სახით ლესია უკრაინკამ უკრაინის ლიტერატუ-
რაში ბურჟუაზიული ლიბერალის ზოგადი და განუმეორებე-
ლი სახე შექმნა.

დიდი მნიშვნელობა აქვს დრამაში ჩაქსოვილი იდეის გა-
მოსავლინებლად მოახლე ქალის სახესაც. მისი სახით ლესია
უკრაინკამ ამხილა ისინი, ვინც ექსპლოატატორებს ემსახუ-
რება და ვისი მიზანია თვითონაც „ბატონი“ გახდეს. მოახ-
ლის ცხოვრების გეგმა ასეთია:

ახლა ხომ კურკლების მრეცხავი აღარ ვარ,
მე მევალება ბოსლების მოვლა,
მალე გასაღებს ჩამაბარებენ,
შემდეგ გამრიგედ სახლში ვიქნები
და სასახლისკენ გზაც გამეხსნება,
რომ მეფისწულის გადია გავხდე.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ბატონების მოწყალების დამსახურება, წვრილფეხა მაჩან-
ჩალიდან დიდ ლაქიად გადაქცევა, უბრალო პატროსანი ხალ-
ხის აბუჩად აგდება, ხოლო თუ შემთხვევა იქნა, თვითონ
ბატონად გადაქცევა—აი, ეს არის იმის ცხოვრების მიზანი,
ვინც ხალხის მოღალატედ იქცა. შემთხვევითი არაა, რომ
მოახლე ქალს ღორების კოლტი და სხვა საქონელი აბარია,—
ამ საქონლის ქვეშ ხომ შავრაზმელთა ბანდა იგულისხმება.
ფარეხებიდან საქონლის გამოცვენის ეპიზოდს საფუძვლად
სწორედ კონკრეტული შემთხვევები დაედო, რაზეც ქვემოთ
გვექნება საუბარი.

ის ძალა, რომელიც ხალხს გაანთავისუფლებს და სანუკ-
ვარ მომავლისკენ წაიყვანს, ლესია უკრაინკამ მუშათა კლას-
ში დაინახა.

„შემოდგომის ზღაპარში“ პოეტმა ქალმა უპირველეს ყოვ-
ლისა მუშები დაგვიხატა ისეთ კლასად, რომელიც საკუთა-
რი თავისა და სხვა მშრომელების გასანთავისუფლებლად
იბრძვის. წავიდა ის დრო, როცა ბურჟუაზიისათვის ძალაუფ-
ლების მოსაპოვებლად მუშები სისხლსა ღვრიდნენ. ამას აშ-
კარად ამბობს პირველი მუშა, როცა რაინდს ეუბნება: „ახლა
თქვენ კი არა, ჩვენს თავს ვიცავთ“. ლესია უკრაინკა ქეშ-
მარიტი რევოლუციონერის მოწინავე პოზიციებიდან სვამს
საკითხს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში მუშათა
კლასისა და ლიბერალური ბურჟუაზიის ამოცანების განსხვა-
ვების აუცილებლობაზე.

პიესაში მუშები გამოდიან როგორც ძველი სამყაროს,
მისი ფარეხებისა და საღორეების—ამ შავი რეაქციის სიმ-
ბოლოების—დამანგრეველნი. აუცილებელია თვითმპყრობე-
ლობის მთელი აპარატის დამსხვრევად, — ამბობს ამ ალეგო-
რიით ლესია უკრაინკა.

მუშებმა იციან, რომ მხოლოდ თავიანთი ძალებით გამარჯ-
ვებას ვერ მიაღწევენ, მაგრამ ისინი მარტონი როდი არიან.
როცა მეფის დამქაში მწყემსი ჯარის მოსაყვანად გარბის,
მშენებელი მუშას აგზავნის, ამხანაგები შეკრიბე, მოგვე-
შველონო. ამ დროს მათ თავს დაესხმებათ „ხარების, კვიცე-
ბის, ცხვრებისა და თხების“ შავრაზმული ბანდა და ხალხს
გადაქელავს. მუშებიც იძულებულნი არიან თავდაცვაზე გა-

დავიდნენ. მშენებელი თავდაცვის საუკეთესო საშუალებისა-
კენ მიუთითებს, სულ მალა, მალა აღითო:

უნდა ამოვკრათ
საფეხურები მთაში, რომ მტკიცედ
დავადგათ ფეხი, თან მწვერვალსაც რომ მივალწიოთ,
ძმებო, არწივი.. მთებში ტყუილად არ მართავს ბუდეს.
(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

მუშებს სწამთ, რომ გაიმარჯვებენ. მეფისა და მისი ჯა-
რისაგან დაშინებული რაინდი მოუწოდებს ხალხს იარაღი
დაჰყარეთო, მაგრამ მუშები ყურადღებას არ აქცევენ მას.
მათ იციან, რომ ამ ბრძოლაში ერთგული მოკავშირეები
ჰყავთ.

ლესია უკრაინკა ნათლად არ ამბობს, ვის გულისხმობს
მუშების „ერთგულ ამხანაგებად“, მაგრამ ნაწარმოების ძალ-
თა განლაგება ნათელჰყოფს, რომ არც ლიბერალი „რაინ-
დები“, არც ობიექტელები (მოახლე ქალი და სხვები) არ
შეიძლება პროლეტარიატის ერთგული მოკავშირეები იყვნენ.
ამგვარად, მუშათა კლასის ერთადერთ მოკავშირედ რევო-
ლუციის დროს გლეხობა რჩება. მაგრამ ეს საკითხი პიესაში
დასმულია და გადაწყვეტილი არ არის.

მშენებელი მუშებს გამარჯვების გზას მიუთითებს, იმ
გზას, რომელიც ბრძოლაში მოკავშირეებს მოუპოვებს მათ.
ეს გახლავთ შეიარაღებული აჯანყების გზა:

ამბის მომტანი ვინ იქნება? თოფები ჩვენი,
ბრძოლის გრიგალი, მოვლვარე წითლად დროშები.
ამხანაგებო! თუ პერანგი გაქვთ ალისფერი,
ან ცხირსახოცი, დაე ჩქარა, დაუყოვნებლივ
მოაბით ჯოხს და როგორც დროშა ააფრიალეთ.
საფეხურებშიც, რომ ამოვკრით უშიშრად მთაში,
ჩვენ პაწაწინა ალისფერი დროშა ჩავასოთ,
რომ ის შორიდან დაინახონ ამხანაგებმა,
რომ ამ ნიშანით ყველასათვის გახდეს ნათელი,
თუ ჩვენი სისხლით რად იელვა უტეხმა ნებამ,
და სად გვკირდება დახმარება ჩვენ მათი ძმური.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

პიესა მთავრდება სიმბოლიური სურათით: მუშები ციცაბო კლდეზე საფეხურებს ამოკვეთენ და ზევით და ზევით მიიწევენ. წითელი ბაირაღები ყოველ ახალ საფეხურზე ფრიალებს. მშენებელმა იცის, თუ რა ძნელია და შორი საბოლოო გამარჯვების გზა, „შემოდგომის ზღაპარზე უფრო გრძელია“. მოვა სხვა შემოდგომა, ზამთარი, „მაგრამ ზამთარსაც ხომ აქვს დასასრული“. — ასეთია მშენებლის უკანასკნელი სიტყვების ოპტიმისტური აკორდი. ეს უკანასკნელი სიტყვები ყველაზე უფრო ამტკიცებს, როგორ ღრმად სწამს პოეტ ქალს მუშათა კლასის საქმის გამარჯვება. ამიტომაც მშენებლის უკანასკნელ სიტყვებზე, „გზა შორი და გრძელია“, პრინცესა გატაცებით იძახის, რომ „ეს გზა კეშმარიტი გახაფხულით დამთავრდება“.

რევოლუციის წინა პერიოდსა თუ რევოლუციის დროს დაწერილ ნაწარმოებებში ლესია უკრაინკა ხაზს უსვამს, ცარიზმთან ბრძოლა გრძელი და მძიმე იქნებაო. დრამატიულ ეტიუდში „ნანგრევებზე“ (1904 წ.) ტირცა ამბობს, ხალხმა თავისუფლებისაკენ დიდი და მძიმე გზა უნდა განვლოსო. იგივე აზრია გამოთქმული მშენებლის სიტყვებშიც. რეალობის გრძნობა არასოდეს არ დალატობდა პოეტ ქალს. „შემოდგომის ზღაპარი“ ძირითადად დაწერილია 1905 წლის იანვარში, რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით. ჯერ კიდევ მაშინ განჰყვრიტა ლესია უკრაინკამ როგორი იქნებოდა ამ რევოლუციის დროს ძალთა განლაგება. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვითარების ასეთი ნათელი გაგება იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ლესია უკრაინკა იცნობდა ვ. ი. ლენინის შრომებს. ისიც შესაძლებელია, რომ ლესია უკრაინკა თბილისში რსდმკ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ გამოშვებულ პროკლამაციებს კითხულობდა.

თბილისის დემონსტრაციებმაც გავლენა მოახდინეს „შემოდგომის ზღაპარზე“. „შემოდგომის ზღაპარი“ ხომ თბილისის პროლეტარიატის 1905 წლის 23 იანვრის ცნობილი დემონსტრაციის შემდეგ დაიწერა. ეს დემონსტრაცია კი კავკასიის კავშირის კომიტეტმა მოაწყო. ყველაზე უფრო დიდი დემონსტრაცია დღის პირველ საათზე შედგა გოლოვინის პროსპექტზე. დემონსტრანტებს მოჰქონდათ წითელი დრო-

შები, ჰყრიდნენ პროკლამაციებს. პოლიციელებმა და მეეზოვეებმა ბრძანება მიიღეს, რომ დემონსტრანტები გაერეკათ. თვითმხილველთა სიტყვებით, რევოლუერებიდან მსროლელებში ერთი ქალიც ერია. ის მეეზოვეებმა ჯოხების ცემით დაასისხლიანეს და წააქციეს, მაგრამ იმ ორომტრიალიდან ვილაცამ გამოიყვანა თურმე.

დემონსტრაციის ამბებმა „შემოდგომის ზღაპრის“ ცალკეულ მომენტებში იზინეს თავი. ლესია უკრაინკა მოწმე იყო თბილისის პროლეტარიატის ამ გამოსვლებისა და ამის თაობაზე წერდა კიდევ ზემოთ ციტირებულ წერილში. ძნელი გასარკვევი არაა, რომ დემონსტრაციის დამრბევი პოლიციელები და მეეზოვეები პიესაში ფარეხიდან გამოცვენილი საქონლის სახითაა გამოყვანილი, რომელმაც ხალხი გადათელა. შესაძლებელია, პრინცესას სახეც პოეტ ქალს იმ დემონსტრანტმა ქალმა შთააგონა. თბილისზე გადმოშვრალი მთაწმინდა ბროლის მთად იქცა (დემონსტრაცია ხომ თბილისში ზამთარში მოხდა, როცა მთის კალთები დათოვლილი იყო).

თბილისის კომიტეტის მიერ გამოშვებული პროკლამაციები, დემონსტრაციისაკენ რომ მოუწოდებდა ხალხს, რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე იყო დაბეჭდილი. ამ პროკლამაციების შინაარსი ლესია უკრაინკას უეჭველად ეცოდინებოდა, მას ხომ ბევრი ნაცნობი ჰყავდა როგორც ქართველებს, ისე სომხებს შორის. ბოლოს თვითონაც შეეძლო წაეკითხა პროკლამაცია რუსულ ენაზე. ეს უკანასკნელი უფრო შესაძლებელია.

თებერვლის დემონსტრაციამ ზოგიერთი შესწორება შეატანინა ლესია უკრაინკას თავის ნაწარმოებში. ასე მაგალითად, პოეტმა ქალმა უფრო გარკვევით დააყენა საკითხი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის კლასობრივი ბუნების შესახებ, დაამატა მუშებისადმი მიმართული პრინცესას ცნობილი სიტყვები. სერიოზულად ჩააფიქრა ნაწარმოების დამუშავების აუცილებლობაზეც.

უეჭველია, რომ ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია ლესია უკრაინკას დაეხმარა უფრო ნათლად გაერკვია თავისი ადგილი 1905 წლის რევოლუტიაში, ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა პრინცესას სახეში.

პროკლამაციაში „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ! (ეს პროკლამაცია დაიბეჭდა 1905 წლის 8 იანვარს რუსულ, ქართულ და სომხურ. ენაზე) ი. ბ. სტალინი წერდა: „რუსეთის რევოლუცია გარდაუვალია. იგი ისევე გარდაუვალია, როგორც გარდაუვალია მზის ამოსვლა! განა შეგიძლიათ შეაჩეროთ მზის ამოსვლა? ამ რევოლუციის მთავარი ძალაა ქალაქისა და სოფლის პოლეტარიატი, ხოლო მისი მედროშე—სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და არა თქვენ, ბატონო ლიბერალებო! *

„შემოდგომის ზღაპარში“ მუშები გამოყვანილია რევოლუციის ხელმძღვანელ ძალად. მათ ესმით თავიანთი როლი განმათავისუფლებელ ბრძოლაში, სწამთ თავიანთი საქმის სიმართლე. ლესია უკრაინკას ნაწარმოებში მუშებია ის ძალა, რომელიც მთელ მშრომელ ხალხს თვითმპყრობელობის უღლისაგან გაანთავისუფლებს. ასეთი მუშები უკრაინულ ლიტერატურაში ლესია უკრაინკამდე არ ყოფილა.

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჩეხი ქვეყნის პროლეტარიატის ბრძოლამ ლესია უკრაინკას შეგნებული მუშების სახეები შთააგონა.

მუშათა მხატვრული სახეების აღწერისას პოეტმა ქალმა მშენებლის შემდეგ დიდი ყურადღებით გამოკვეთა ქაბუკის სახე, რომელსაც სწამს თავისი კლასის საქმე, მშენებლის, როგორც რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელის, დიდი ნდობა აქვს და ბოლოს სურს „მთაზე ავიდეს“ და ახალი სამყარო იხილოს. სწორედ მან გაუწოდა პრინცესას დასახმარებლად ხელი და მანვე მრუწოდა, საერთო ბრძოლაში შენც ჩაებო.

პრინცესას სახე მრავალმხრივი და მრავალმნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ეს პოეტური ხელოვნების ალეგორიული სახეა, რომელიც საბოლოო ჯამში ხალხის მიერაა შექმნილი და მხოლოდ მას ეკუთვნის. ამავე დროს ეს მოწინავე ინტელიგენციის სახეც არის. ბოლოს, პრინცესას ბედი უკანასკნელ აქტში თვით ლესია უკრაინკას ბედსა ჰგავს, რომელმაც

* ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. I, გვ. 77.

მთელი თავისი ნიკი, მთელი ცხოვრების ნაშრომ-ნაღვაწი ხალხს, მუშებს მიუძღვნა და მათთან ერთად მიდის თვით-მპყრობელობის ყინულოვანი კლდეების ასაღებად. პოეტი ქალის ბედი კი ეს მოწინავე, ხალხის ერთგული ინტელიგენციის ბედია.

დრამის პირველ სამ აქტში ნაჩვენებია პრინცესას თავ-გადასავალი. ის ხალხის წიალიდანაა გამოსული და მეფის წყალობას არად აგდებს. მთის მწვერვალზე შუშის ციხეში იტანჯება, საიდანაც „მხოლოდ ცა მოჩანს, მიწა კი არა“.

ვისაც კი ძალაუფლება და ბატონობა უნდა, ყველას პრინცესას ჩაგდება სურს ხელში.

პრინცესას სახე მთლიანად უკანასკნელ აქტშია გამოკვეთილი. მოვალეობის გრძნობა, რაიც აგრე ნაცნობია ლესია უკრაინკასთვის, პრინცესას აიძულებს ქვევით, თავის სატრფო რაინდისაქენ დაეშვას. რეაქციის შავი ძალები, კერძოდ კი მოახლე ქალი, გარდა სხვა ყველაფრისა პოეტი ქალისთვის საძულველი მეშხანობის განსახიერება რომ გახლავთ, მტრულად არიან განწყობილი პრინცესას მიმართ. ვილაციის რეპლიკაზე: „პრინცესა მოკვდაო“, მოახლე ქალი შვებას გრძნობს და ღმერთს მადლობას შესწირავს. პრინცესასა და რაინდს მუშები გადაარჩენენ. მაგრამ როცა რაინდი გარეშე მე-თვალთვალის პოზიციას იკერს ბრძოლაში და მუშებს ურჩევს, წინააღმდეგობას თავი დაანებეთო, პრინცესა თავის განმათავისუფლებლებს დაკვირვებით ადევნებს თვალს და კრიტიკულ მომენტში იმდენ გულადობას გამოიჩენს, რომ საკუთარ ბედს მუშათა ბედს უკავშირებს. მათ პრინცესა თავის წითელ თავსაფარს აძლევს:

აჰა წითელი თავსაფარი, წაიღეთ იგი!
არა ერთი დღე, ანდა ორი ის მიქარგია,
მე ტყვეობაში შემოვქობე იგი ოქროთი,
როცა ვმღეროდი ჩქ სიმღერებს დამონებულთა
და დიდხანს ვიყავ მოლოდინში ნათელი წუთის.
ახლა დრო დადგა, რომ სიტუარფე გამოავლინონ
აი ამ ჩემმა ნაქარგებმა...

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

საინტერესოა ის ამბავი, რომ ეს სტრიქონები წითელი თავსაფარის ჩუქების შესახებ ლესია უკრაინკამ მოგვიანებით

დაწერა. ამით პოეტმა ქალმა განაცხადა, რომ თავის ნიქს, თავის შემოქმედებას რევოლუციის ხელმძღვანელი კლასის — პროლეტარიატის ამოცანებს უქვემდებარებს.

„შემოდგომის ზღაპარში“ ლესია უკრაინკამ აჯანყებულ მუშათა კლასთან ინტელიგენციის ყველა პროგრესულ ძალთა ერთიანობა გამოაცხადა.

როდესაც პრინცესა მშრომელთა მხარეზე გადავიდა, მან დააპირა გამარჯვებულებს „საამქრო ნიშანი“ მოუქსოვოს, რათა „ხალხის გასაკვირად“, მუშათა სადიდებლად მთაზე აკიაფდეს. პრინცესას განაწამები ცხოვრება ქაბუქში თანაგრძნობას იწვევს. ყველა როდი ექცევა ასეთი ნდობით პრინცესას; ზოგიერთები იმასაც კი ამბობენ, ზელს შეგვიშლის პრძოლის ცეცხლშიო. მაგრამ ქაბუკი — ის ახალგაზრდა თაობა, რომელმაც მომავალში სოციალისტური რევოლუცია უნდა მოახდინოს და სოციალიზმი ააშენოს, — თავის კალთას გადაათარებს, ის მასაც „გაუკვლევს გზას“ მთისკენ. პრინცესას გატანჯული გული სიხარულითა და სიმამაცით აივსება. პრინცესა მზადაა მუშებს გაჰყვეს მძიმე და შორ გზაზე.

სულში ახალი შემოდის ძალა
და სიმამაცე იღვიძებს გულში,
როს ვხედავ შუქსა ახალ ცხოვრებრის,
ხედავ, რა რიგად გამოვცოცხლდა ეს საპყრობილე.
ეგ მთა ესოდენ უსიცოცხლო, ესოდენ ცივი.
როგორც ყაყჩო, აყვავილდნენ წითლად დროშები,
ნაჯახი სცემს და ნაპერწკლების ისმის ტკაცუნო!
რა სიამეა!...

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

პრინცესა კიდევ ერთ პირად ტრაგედიასაც გადაიტანს. მისი სატრფო რაინდის მოღალატური ლაყბობა მუშებში ზიზღს იწვევს. ამან გადაწყვიტა პრინცესას ბედი. მან დაინახა, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში რაინდი:

არ არის ძნელი ახლა ჩემთვის, რომ მიგატოვო,
ისევ ჯანსაღი შენ იქნები, ისევ მაგარი,
მაგრამ ჩემთვის კი შენ მკედარი ხარ, დღეს მეგობარი
დავასაფლავე. და, ვინ იცის, ხვალვე ეგების
ჩემს ბტერს პირისპირ შევეყარო?

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

მუშათა კლასის მტრები ლესია უკრაინკას მტრებიც გახდნენ. პოეტი ქალი დიდხანს ცხოვრობდა უკრაინული ბურჟუაზიული ინტელიგენციის წრეში და გარკვეული ხნის განმავლობაში ეგონა, რომ რაღაც საერთო ჰქონდა მათთან ნაციონალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ახლა მისთვის ნათელი გახდა, რომ მისი მეგობარი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც სულით და გულით გაჰყვა მუშათა კლასს. დანარჩენები ბარიკადის იქით რჩებიან. სწორედ ამაზე ამბობდა 1905 წლის ზაფხულში დაწერილ ლექსში „ოცნება, არ მიღალატო!“:

მას, ვინც ზღვები გადაცურა და გემები ზურგს უკან დასწვა,
მას უწერია, კვლავ დაბრუნდეს ახალ საუზჯით.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ასე გადაჭრა პოეტმა ქალმა ის საკითხი, თუ ვის უნდა შესწიროს ნიჭი და პოეტური მოწოდება. ის ღრმად დარწმუნებულია, რომ „შემოდგომის ზღაპარი... ქეშმარიტი გაზაფხულით დამთავრდება“ და მუშების დახმარებით თამამად ავა მწვერვალზე. ლესია უკრაინკა, როგორც თანამიმდევარი რევოლუციონერი დემოკრატი, მუშების ქეშმარიტი მეგობარი იყო,—წერდა მასზე ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩაია პრავდა“. ლესია უკრაინკამ ეს ნამდვილად დაამტკიცა „შემოდგომის ზღაპარში“.

რეპლიკების რაოდენობისა და დათმობილი ადგილის მიხედვით შეიძლება გვეგონოს, რომ პოეტი ქალის მთელი ყურადღება რაინდისა და პრინცესას მიმართაა მიპყრობილი. მაგრამ ეს ასე როდია: პიესის ცენტრში მუშებია, რომელთაც სათავეში მშენებელი უდგას. ისინი ხელმძღვანელობენ ბრძოლას, თავის გარშემო იკრებენ და აერთიანებენ ყველა პატიოსან და რევოლუციის ერთგულ ადამიანს, მათთან მიდის პრინცესა, მათ ეკუთვნის მთავარი და უკანასკნელი სიტყვა. პრინცესა მათი მეგობარი ხდება.

ნაწარმოების დასასრულს ასეთ წინადადებას ეკითხულობთ: „იქნებ, ოდესმე დადგეს დასასრული“. ლესია უკრაინკას ექვი არ ეპარებოდა, რომ ზამთარს (რეაქციას) ბოლო მოეღებოდა,

მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რომ თვით გახდებოდა ამ დასასრულის მოწამე და შესძლებდა დიადი ბრძოლის, რევოლუციის გამარჯვების, ახალი სამყაროს პირველი დღის შესახებ უკანასკნელი და ყველაზე მკვერმეტყველური ფურცელი ჩაეწერა.

ამგვარად, პიესა „შემოდგომის ზღაპრის“, როგორც ალეგორიული ნაწარმოების განხილვისას, სადაც ასახულია 1905 წლის რევოლუციის კონკრეტული ისტორიული ძალები, მისი მხატვრული სახეების რომანტიკული პირობითობის მიუხედავად ჩვენ ვხედავთ, რომ ის რეალისტურ ნაწარმოებს წარმოადგენს მომხდარი ამბების სინამდვილის თვალსაზრისით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პიესის ცენტრში დადებითი გმირები: მუშები, ოსტატები, მშენებელი, პრინცესა დგანან, რომ მხატვრული სახეებითაც და დიდებული იდეებითაც „შემოდგომის ზღაპარი“ მიმართულია ახლის, რევოლუციურის, სოციალისტურის განსამტკიცებლად, დავრწმუნდებით, რომ ასეთი ნაწარმოებები არ ჩაეტევა კრიტიკული რეალიზმის მეთოდის ჩარჩოებში. ლესია უკრაინკა ხელოვნებაში დაჟინებით ეძიებს ახალ გზებს, ახალ შემოქმედებითს მეთოდს.

ის ამბავი, რომ პოეტი ქალის მიერ არჩეული ჟანრი — ფანტასტიკური დრამა სავსეა რთული ალეგორიებით და მათი გაგება მთლიანად ჯერ კიდევ ძნელია, თან ის გარემოებაც, რომ პოეტ ქალს არ დაუმთავრებია და არ გამოუქვეყნებია „შემოდგომის ზღაპარი“, მოწმობს იმას, რომ პოეტი ჯერჯერობით ახალი მეთოდისა და ახალი სახეების ძიებაშია. მიუხედავად ამისა, წამოწყებული პრობლემების იდეური გადაწყვეტა (სახელდობრ: რევოლუციაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ასახვა, პროლეტარიატის მკიდროდ დარაზმვა და გამარჯვების რწმენა, რევოლუციაში ბურჟუაზიული „რაინდების“ მხილება და მათი მოღალატური ბუნების გამოჩენა, მუშათა კლასისა და მოწინავე ინტელიგენციის ერთიანობის აღიარება ბრძოლაში), აგრეთვე ამ იდეების მხატვრულ სახეებში ასახვა „შემოდგომის ზღაპარს“ უკრაინული ლიტერატურის იმ ნაწარმოებთა რიცხვში იყენებს, სადაც ყველაზე მეტად გამოვლინდა უკრაინელი ხალ-

ხის რევოლუციამდელი კულტურის არა მარტო დემოკრატიული, არამედ სოციალისტური ელემენტებიც.

4

თბილისში ყოფნის დროს ლესია უკრაინკამ გადაწყვიტა დაეწერა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მემამულეებისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ უკრაინელ გლეხ კარმალიუკზე. ბურჟუაზიული ისტორიკოსები მას ყაჩაღად სახელდნენ. მაგრამ ხალხს უყვარდა ის და ბატონების წინააღმდეგ მშრომელი ხალხის რისხვის ამ გამომხატველს, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა. კარმალიუკი უღმობელად უსწორდებოდა მემამულეებს ყმა-გლეხების ტანჯვისა და წამებისათვის დიდი შევჩენკო კარმალიუკს „დიდებულ რაინდს“ ეძახდა უკრაინული ხალხური სიმღერები გვიხატავენ კარმალიუკს, როგორც სამართლიან, შურისმაძიებელ და გულკეთილ კაცს ასევე აღწერს მას უკრაინელი მწერალი ქალი მარკო ვოვნოკი თავის მოთხრობებში. ეს მწერალი ქალი კი ლესია უკრაინკას ძალიან უყვარდა.

კარმალიუკის ნათელი სახე გვაგონებს მის ქართველ თანამედროვეს არსენა ოძელაშვილს, რომელსაც ასევე აღიღებდა ქართული ხალხური ლექსი. არსენა ცხოვრობდა დაახლოებით იმ პერიოდში, როგორც კარმალიუკი, და დაახლოებით ასევე უსწორდებოდა ბატონებს.

შესაძლებელია, რომ სწორედ არსენა ოძელაშვილზე ნაამბობმა აფიქრებინა ლესია უკრაინკას დრამა „კარმალიუკის“ დაწერა. „ახლა მე აღარ ვთარგმნი, დრამა „კარმალიუკს“ მოვიკიდე ხელი“, — წერდა ის 1904 წლის გაზეთულზე. თუ რამდენ ხანს მუშაობდა პოეტი ქალი ამ დრამაზე, ჯერჯერობით გამორკვეული არაა, როგორც ეტყობა, არც დაუწყია წერა, რადგან პოეტი ქალის არქივში ამ ნაწარმოების გეგმაც კი არაა შემონახული. ცნობილია მხოლოდ (1914 წ. კ. ვ. კვიტკას მიერ დაწერილი მემუარების მიხედვით), რომ ლესია უკრაინკა თურმე ძალიან სწუხდა, არ ვიცნობ კარმალიუკის საქმეზე არსებულ სასამართლოს დავთრებს და არ შემიძლია საკმაოდ დაწვრილებით შესწავლა იმ დროის ყოფა-ცხოვრებისა, რათა ასეთ საპასუხისმგებლო თემაზე დრამა საქმის კარგი ცოდნით დავწერო.

ყოველ შემთხვევაში ის აზრი, რომ ლესია უკრაინკამ გადაწყვიტა დრამის დაწერა უკრაინის არც ისე შორეული წარსულიდან გლეხობის ქომაგ კარმალიუკის შესახებ, მოწმობს იმას, თუ რა დატინებით ეძიებდა პოეტი ქალი შემოქმედებისადმი მისი ახალი დამოკიდებულების განსაზღვრულ თემებს, ისეთ თემებს, რომლებიც ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მჩაგვრელთა გასანადგურებლად. უეჭველია ისიც, რომ გურული გლეხების აჯანყებები (ამის შესახებ კი ლესია უკრაინკას თბილისში მშვენივრად ეცოდინებოდა) უფრო გაუორკეცებდა ინტერესს არჩეული თემისადმი. და თუმცა „კარმალიუკი“ არ დაიწერა, თემის ძიებაში მაინც შექმნა ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა „შემოდგომის ზღაპარი“. ეს თითქმის ყველაზე დიდი ნაწარმოებია, რაც პოეტი ქალის თვალწინ მომხდარი ამბების კვალდაკვალ დაიწერა.

უკრაინაში გამგზავრებამდე ლესია უკრაინკამ დაწერა კიდევ ორი პროზაული ნაწარმოები. ერთი მათგანი, ფილოსოფიური ნარკვევი „ურჩხული“, წარმოადგენს პოეტი ქალის გამოძახილს რუსეთ-იაპონიის ომის ამბებზე. ის პროტესტს გამოთქვამს იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, ნიღაბს ხდის იმპერიალისტებს, რომლებიც მშრომელებს საზარბაზნე ბორცვად ერეკებიან ომში.

ამ ნარკვევის რთული სიმბოლიკა მკითხველისათვის ძნელად გასაგებს ხდის მას. უფრო მნიშვნელოვანია მეორე დიდი მოთხრობა „სიამტკბილობა“.

მოთხრობის სიუჟეტი პოეტმა თავისი „ყმაწვილქალობის წლებში ნახულ-გაგონილიდან აიღო. ამ მოთხრობით ნათელი ხდება, თუ რა კარგად იცნობს მწერალი ქალი უკრაინის სოფელს. ვოლინური კილოს თავისებურებას და რარიგ უყვარს თავისი ხალხი.

მოთხრობის სიუჟეტი ასეთია: დამეგობრდა ორი გოგონა - მემამულის შვილი და ღარიბი ოჯახიდან გამოსული მოჯამაგირე გოგო. რაც ხანი გადის, მით უფრო საგრძნობი ხდება ის სოციალური ნაპრაღი, რაც მათ შორის არსებობს. მწერალი ამ ბავშვობაში ერთად შეზრდილი გოგონების ცხოვრების ეპიზოდების შედარებით ააშკარავებს მათ ურთიერთ

დამოკიდებულებას. მართალია, ისინი მტრები არ არიან, მაგრამ შრომისადმი სხვადასხვა დამოკიდებულებამ, სხვადასხვა სოციალურმა გარემოებამ არ შეიძლება მათში ანტაგონიზმი არ გამოიწვიოს. ლესია უკრაინკამ მეტად დამაჯერებლად გააშიშვლა უკრაინის სოფლის კლასობრივი წინააღმდეგობანი, გვიჩვენა „უმცროს ძმაზე“ ნაროდნიკების მზრუნველობის მთელი უსუსურობა. მოთხრობის სათაურიც ირონიულად ჟღერს, რადგან აბა რა სიამტკბილობა უნდა არსებობდეს მემამულის ქალსა და მოჯამაგირე გოგოს შორის.

მოთხრობაში მხილებულია მემამულეთა სასახლეებში მცხოვრებთა სულიერი სიღარიბე და მორალური გახრწნილება. მათ უპირისპირდება უბრალო მშრომელების საღი გრძნობები. პოეტი ქალი ქება დიდებას ასხამს შრომას, რომელიც აზრს აძლევს ადამიანის არსებობას.

„სიამტკბილობა“ დაიწერა 1904 წლის შემოდგომასა და 1905 წლის გაზაფხულზე (დამთავრდა 1905 წლის 1 მაისს). რევოლუციის დღეებში დაწერილი ეს მოთხრობა ნათელჰყოფდა, რომ მშრომელთა ღიდგომარეობა აუტანელია; რომ მოლიბერალო ბატონების ვერავითარი ფილანტროპული ყბედობა ვერ შესძლებს სოციალური რევოლუციის, ამ ერთადერთი ხსნის აცდენას.

აღსანიშნავია აგრეთვე „სიამტკბილობის“ პოლემიკური ხასიათი, რაც მიმართულია ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სოციალ-შოვინისტების ცდის წინააღმდეგ, წარმოგვიდგინონ მშრომელები, ღარიბები მორალურად დაცემულ ადამიანებად. ამ მჯღაბნელების ცილისწამებას ლესია უკრაინკამ უპასუხა ისეთი ნაწარმოებით, სადაც ასახა მშრომელი ხალხის ზნეობრივი სიღამაზე.

1905 წელს თბილისში ლესია უკრაინკამ გააგრძელა აგრეთვე მუშაობა ღრამატიულ ეტიუდზე „საძი წუთი“. ეს ნაწარმოები მიმართული იყო იდეალისტებისა და ვულგარული მატერიალისტების წინააღმდეგ, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეალიზაციის წინააღმდეგ.

ლესია უკრაინკა ცხოვრობდა თბილისში რევოლუციის წინა, დამბულ წლებში (1903, 1904 წ. წ.). აქ შეხვდა ის პირველი რუსული რევოლუციის დასაწყისს, 1905 წელს. მუშათა

კლასის რევოლუციურმა ბრძოლამ და გლეხთა აჯანყებებმა საბოლოოდ განამტკიცეს მისი მსოფლმხედველობა. თავის ნაწარმოებებში მან გამოხატა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლების საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება. აქ შეიმუშავა საბოლოოდ თავისი შემოქმედების ესთეტიკური პრინციპი: მხოლოდ იმის შემოქმედება ჩაითვლება დიადად, ვისი პოეტური ნიჭიც წითელი დროშის ქვეშ მებრძოლი ხალხის მიზნებს ემსახურება.

მაღალი პოლიტიკური შეგნება, მომავალ რევოლუციაში კლასობრივ ძალთა განლაგების ნათელი გაგება დაეხმარა ლესია უკრაინკას შეექმნა მთელი რიგი ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, როგორიცაა „თავისუფლების სიმღერა“, „კატაკომბებში“ და სხვები.

ლესია უკრაინკა თელავში

1

1905 წლის ზაფხული და ზამთარი და 1906 წელი ლესია უკრაინკამ უკრაინაში, მეტწილად კიევში გაატარა.

უკრაინაში, 1905-1907 წლის რევოლუციური ამბების შთაბეჭდილებების ქვეშ, ლესია უკრაინკამ შექმნა მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებები, მიმართული ცარიზმისა და მშრომელთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის შხამით მუშათა შეგნების მოწამელის წინააღმდეგ („კატაკომბები“, „შრომის სახლში, მონობის ქვეყანაში“, „თავისუფლების სიმღერა“, „შეცდომა“). სატირულ ნაწარმოებებში „მზიარული პანი“, „საქმიანი პანი“, „პოლიტიკოსი პანი“ და „პანი ხალხოსანი“ ლესია უკრაინკამ სასაცილოდ აიგდო ის ლიბერალი ბატონები, რომლებიც აჯანყების დღეებში ხალხის მოყვარულთა ნილბით იმოსებოდნენ და თითქოს დიდად ზრუნავდნენ „უმცროს ძმაზე“—გლეხზე. სინამდვილეში კი, როგორც პოეტმა ქალმა გვიჩვენა, მთელი მათი „ზრუნვა“ რევოლუციის ჩახშობისა, გლეხის ყოველმხრივი ექსპლოატაციის უზრუნველყოფისაკენ იყო მიმართული.

მართალია, ჯანმრთელობა ხელს არ უწყობდა, მონაწილეობა მიეღო „გლეხურ-პროლეტარული გაზეთის“ ორგანიზაციაში (ასეთ გაზეთში მუშაობა კი პოეტი ქალის სანუკვარი ოცნება იყო), მაგრამ ლესია უკრაინკამ შექმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მოწმობენ მისი პოლიტიკური თვალსაზრისის გაფართოებას.

მძიმე სენი უფრო და უფრო მოერიდა. როგორც ჩანს, კიევის ჰავა უკვე ცუდად მოქმედებდა პოეტი ქალის დაავადებულ ორგანიზმზე. ლესია უკრაინკა იძულებულია კურორტებზე იცხოვროს. რომ უფრო ახლო იყოს უკრაინასთან, ის ჯერ ყირიმში მიემგზავრება. პირველად ევპატორიაში, შემდეგ კი იალტაში ცხოვრობდა.

ლესია უკრაინკა ბევრს მუშაობს. ის უკვე ყველასაგან აღიარებულია, როგორც დრამატურგი. ლესია უკრაინკას ყოველი ნაწარმოები ცხადყოფს პოეტი ქალის ზრდას, მისი ტალანტის სრულყოფას. პოეტი საქმეს ემუშრება. მას იმდენი ჩანადიჭრი აქვს, იმდენი სათქმელი დარჩა...

რევოლუცია სისხლში ჩაახრჩევს. დადგა რეაქციის მძიმე წლები, „სამარცხენო ათი წელი“. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ რევოლუციის თანამგზავრთა შორის განხეთქილება და დაქუცმაცება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით ინტელიგენციის წრეს დაეტყო. რეაქციის დღეებში პარტიას ჩამოცილდნენ რევოლუციის მძლავრი აღმავლობის პერიოდში ბურჟუაზიული წრიდან მიტმასნილი თანამგზავრები.

ამ წლებში ლესია უკრაინკა როდი დაიბნა, იგი ერთგული დარჩა სოციალიზმის დროშის. მისი პოეზია მაინც ერთ მიზანს ემსახურება,—რენეგატებს და ლაჩრებს, სუსტებსა და დაბნეულებს ანადგურებს. პოეტი ქალის ხმა ძალას მატებს პატიოსან მებრძოლებს, უმღერის იდეის ერთგულებას, კაპიტალიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ერთგულ მებრძოლებს. შორეული წარსულის მაგალითებზე პოეტი ქალი თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს წყვეტს.

ყირიმში ლესია უკრაინკამ დაამთავრა ჯერ კიდევ 1902 წელს დაწერილი დრამა „კასანდრა“ და ხელახალი რედაქცია გაუკეთა მას. დაწერა პატარა დიალოგი „აიშა და მოჰამედი“, მუშაობს თავისი ყველაზე დიდი ნაწარმოების, დრამატიული პოემის „რუფინი და პრისცილას“ შექმნაზე. ამ დროს მას აღმოაჩნდა ახალი სენი—თირკმელების ტუბერკულოზი. ლესია უკრაინკა მიხვდა, რომ მისი ჯანმრთელობა საფრთხეშია. ექიმებმა ურჩიეს დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო ეგვიპტეში. მაგრამ ოჯახური პირობები ამჯერად ხელს ვერ უწყობს. ლესია თავს ვერ დაანებებს ავადმყოფ ქმარს, რომელსაც, სხვა მიზეზების გარდა, გამგზავრება სამუშაოს დააკარგვინებს და საარსებო სახსარიც მოესპობა. თანაც ვერც საკუთარი ფინანსიური მდგომარეობა ჰქონდა სასურველი. ისე რომ, ეგვიპტეში წასვლაზე უარი უნდა ეთქვათ. მაშინ გადაწყდა ისევ კავკასიაში, საქართველოში წამოსვლა, სადაც მუშაობაცა და მკურნალობაც შეიძლება. „ჩვენ გადავწყვიტეთ ისევ

კავკასიაში წასვლა. კლიონიამ უკვე სათანადო თხოვნაც გაგზავნა თბილისში“, — სწერს ლესია უკრაინკა დედას 1908 წლის ივნისში ევპატორიიდან.

საკითხი გადაწყდა მხოლოდ ნოემბრის მეორე ნახევარში: კ. კვიტკას შეუძლია თელავში მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის ადგილი მიიღოს. ლესია უკრაინკას მძიმე სენის გამო ასეთი დიდი გზის ატანა არ შეუძლია. „ამიტომ ვფიქრობთ, შობამდე ან უფრო მეტ ხანს თბილისში დავრჩეთ, მერე კი თელავში წავიდეთ, რათა დიდხანს გზაში არ ვიყოთ და ექიმის რჩევასაც დაეუჯეროთ“, — სწერს პოეტი ქალი დას. იმავე წერილში ლესია უკრაინკა უხსნის დას, თუ რატომ არჩია თელავი საქართველოს სხვა ქალაქებს:

„თელავი თითქმის ორჯერ უფრო მაღლაა ზღვის დონეზე, ვიდრე თბილისი... და შედარებით გარშემო მთებთან „დაბლობში“ მდებარეობს, თუმცა კი ალაზნის ველზე მაღალია. ისე რომ, საკმაოდ მაღალია, რათა მალარიისა არ გვეშინოდეს, და საკმაოდ დაბალია, რათა ქარისა და სიცივისაგან დავგიფაროს. ზამთარი იქ აქაურთან შედარებით უფრო მშრალია და არც ისე ცივა“.

თბილისში ლესია უკრაინკა დეკემბრის პირველ ნახევარში ჩამოვიდა (იალტიდან ისა და კვიტკა არა უგვიანეს 1908 წლის 7 დეკემბერს გამოემგზავრნენ). „გზა ძალზე გავვიგრძელდა, ათასნაირი საქმე გამოგვიჩნდა აქ ჩამოსვლისას და ამის შედეგად ისე ავად გავხდი, რომ ახლა ძლივს მოვიკეთე“, — სწერს ლესია უკრაინკა თბილისიდან ცნობილ უკრაინელ მეცნიერ-ფოლკლორისტსა და მუსიკისმცოდნეს ფ. კოლესას, რომელიც უკრაინელ ხალხურ სიმღერებს იწერდა. ამის სახსრებს ლესია უკრაინკა მას პირადი შემოსავლიდან აძლევდა.

1908 წლის დეკემბერსა და 1909 წლის დასაწყისში ლესია უკრაინკა თბილისში ცხოვრობს სასამართლოს ქუჩაზე. 1909 წლის იანვარში ის თელავში გადავიდა. პირველად დურგალ ამონაშვილის სახლში ჰქონია ბინა (აწინდელი კარლ მარქსის ქუჩა, № 35), მერე „მიყრუებულ ადგილზე ორსართულიან სახლში, მთავარი ქუჩის მარცხნივ, თუ პირს სიღნაღი-

საკენ იზამ“. * ამ სახლში (კამოს ქუჩა, № 10) ახლა ბავშვთა საავადმყოფოა მოწყობილი. 1951 წელს ორივე სახლზე მე-მორიალური დაფა გააქრეს.

ლესია უკრაინკა თელავში 1909 წლის იანვრიდან იმავე წლის ნოემბრამდე ცხოვრობდა. ამ ხანში ის არსად არ გამგზავრებულა.

თბილისის წერილებიდან განსხვავებით, პოეტი ქალის თელავიდან მოწერილი წერილები საკმაო სრულ წარმოდგენას გვაძლევენ ადგილობრივ მოსახლეობასთან მის დამოკიდებულებაზე, ნათლად გვეხატება ისიც, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა პოეტ ქალზე თელავის ბუნებამ. ყოველივე ეს მოწმობს, თუ როგორ სწყუროდა პოეტ ქალს სიცოცხლე, როგორ ებრძოდა ის მძიმე სენს. ლესია უკრაინკა ალტაცებულია კავკასიის ბუნების დიდებული და მომხიბლავი სილამაზით. მის წერილებში ვკითხულობთ:

„ერთხელ გავბედე და ქალაქგარეთ წავედი სასეირნოდ. დამაინტერესა დალესტინის ლამაზმა ხედმა (აქედან ის შესანიშნავად ჩანს)“. „ცხოვრების პროზა“ აქ მძიმეზე მძიმე მოსაპოვია, პოეზიას კი მოპოვება არცა სჭირდება, თვითონ მარტყია ირგვლივ. ჩემი ბინიდან მთელი დალესტანი მოჩანს, დიდებული თეთრჩაღმიანი ქედი, აქედან ორმოც ვერსზე იქნება, მაგრამ მზიან დღეებში და მთვარიან ღამეებში ისე ახლოვდება, რომ გეშინია კიდეც; მაშინ ახალი სამყაროს ზმანებასავით ღრუბლებზე მსუბუქი და ყინულზე გამკვირვალე გგონია... მეორე მხრიდან გომბორის მაღალი მთაა ამართული, მაგრამ დალესტანთან შედარებით იდილიაა“. „მარტის თვეში სამი კვირის განმავლობაში ისეთი მშვენიერი გაზაფხული დაგვიდგა.—აყვავდა ბაღები, იები, ღობის ძირები სულ ისე იყო გადალურჯებული, რომ „სული ჩამედგა“ და ლამის დამავიწყდა საშინელი ზამთარი“.

მაგრამ ლესია უკრაინკამ კახეთში მხოლოდ დიდებული ბუნება და აყვავებული ბაღები როდი დაინახა.

„შიგ თელავში ბევრი ძველი ნანგრევია (ის ძველად კახეთის მეფეთა სატახტო ქალაქი გახლდათ). შუა ქალაქში კოშ-

* კ. კვიტკას წერილი 1946 წელს ლესია უკრაინკას დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო საიუბილეო კომიტეტისადმი.

კურებიანი ციხე-დარბაზი დგას, ქონგურებიანი გალავნით, ისე რომ ლუცკის კოშკი მომაგონა. ქალაქის ყოველ კუთხე-კუნჭულში ნანგრევებია—ან ძველი სამლოცველო, ან სადარაჯო ეკლესია*.

ქართველი ხალხის გმირული ისტორიის, უცხო დამპყრობელებთან მისი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ძეგლების გარდა პოეტ ქალს უნებლიეთ თვალში ხვდება ის, რაც, როგორც ხალხის მესაიდუმლეს, განსაკუთრებით აინტერესებს: „აქ ხალხს ჯიშინიანი საქონელი არა ჰყავს, თუმცა ირგვლივ „ტყეები და საძოვრებია“. საერთოდ, კარგ მეურნეობას ვერავის უნახავ, არ ვიცი, რა მიზეზის გამო, მხოლოდ ღვინოსა და ყურძენზე ზრუნავენ, სხვა არაფერზე (ბაზარში ჩვეულებრივი ბოსტნეულიც კი არ გამოაქვთ). ყოველ ნაბიჯზე, მშვენიერი ისტორიული ძეგლების გარდა, სულ ახლად მიგდებულ ქოხებს შეხედები,—სახურაეახდილს, მინგრეულ-მონგრეულს, სადაც არავინ ცხოვრობს. ნახანძრალი არ ეტყობათ, მაგრამ პატრონებს რატომღაც მიუტოვებიათ და ისინიც სადაცაა „მიწაში ჩაძვრებიან“... ზოგიერთებს საკმაოდ კარგი ბაღებიც აქვთ, ეტყობა, ვიღაცას ოდესღაც დაურგავთ, მაგრამ ისინიც ტყიურდება. მიწას აქა-იქ იაფად იშოვი (დესეტინა 30 მანეთად), მაგრამ მუშტარი ცოტაა. რაღაც დიდი ეკონომიური გაღატაკება ეტყობა ამ მხარეს, ეს ყოველგვარი „სტატისტიკის“ გარეშე თვალში გეცემა, თუმცა ლამაზი ქვეყანაა და ოდესღაც, ეტყობა, მდიდარი ყოფილა. ორ უბრალო ოჯახში ვიყავით ერთხელ და ძალიან გულთბილადაც მიგვიღეს. შიგ სახლში დიდი სიღარიბე სუფევს, მაგრამ წყალს თუ მოთხოვ, ჭიქას წინასწარ ღვინოს გამოავლებენ. ღვინო აქ ერთადერთი სიმდიდრეა, მაგრამ მასპინძლებმა აღარ იციან, როგორ მოექცენ“ ჩვენისთანა სტუმრებს, რომლებიც ღვინოს არ სვამენ“. მეორე წერილში ვკითხულობთ: „ნანგრევების გარდა, ახლად გაპარტახებულ ადგილს ბევრს ნახავ, როგორც ჩანს, დიდი უბედური წლების შემდეგ დარჩენილა და გაქირვება სიძველის პოეზიას ჯერ არ დაუფარავს. ბევრ ბაღი და ვენახია (აქ ხალხის საარსებო წყარო მხოლოდ ღვინოა), მაგრამ ეს ქალაქის განაპირას, შიგნით კი ვიწროობა, ქვები და ტალახია“.

იგივე მოტივი მეორდება ყველა წერილში: „მეტად მიგდებული და დანგრეული მხარეა, თუმცა ასე არ უნდა იყოს, რადგან აქაური ბუნება გულუხვი და მდიდარია“.

ლესია უკრაინკა თავის წერილებში მეტად ნათელ სურათს გვაძლევს იმდროინდელი ქართველი ხალხის მიძიმე ცხოვრებისა. კახეთის ლამაზი ბუნების ფონზე მან დაინახა ეკონომიური დაქვეითება, სოფლელებისა თუ ქალაქების კოხებში გამეფებული სიღატაკე და სიღარიბე. პოეტი ქალი მკვეთრად ანსხეავენს ერთმანეთისაგან დამნაშავეებს ამ მდიდარი ქვეყნის გაღარიბებაში და უბრალო მშრომელებს, რომელთაც დიდი სიმპათიით იხსენიებს: „კახელები გულდია და თავაზიანი ხალხია. მაგრამ ჩვენ იშვიათად თუ ვესაუბრებით, რადგან მხოლოდ საკუთარი ენა იციან... მათთან დაახლოებული არა ვართ და ჩაკეტილები უფრო ჩვენს საფიქრალს ვფიქრობთ“.

როგორც ამ სტრიქონებიდან და პოეტის წერილების ცალკეული შენიშვნებიდან ჩანს, ლესია უკრაინკა ცდილობდა უფრო ახლო გაცნობოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, დაახლოვებოდა მშრომელებს. მისი წერილებიდან ნათელი ხდება, რომ ქართველი გლეხები და ქალაქის მცხოვრებლები პატივისცემითა და ყურადღებით ექცეოდნენ უკრაინელ პოეტ ქალს. ისიც თავისი მხრივ დიდად თანაუგრძნობდა ქართველი გლეხის გაჭირვებასა და მწარე ხვედრს.

ენის უცოდინარობა მეტად აწუხებდა ლესია უკრაინკას, განსაკუთრებით ქმრის გამო, რომელსაც მოსახლეობასთან ყოველ წამს ჰქონდა საქმე. არა ერთხელ იგრძნობა წერილებში, რომ პოეტი ქალის აზრით, მეტად ძნელია და პრინციპიალურად შეუძლებელი კავკასიაში სამსახური, თუ ენა არ იცი...

ამ წლებში ლესია უკრაინკას განსაკუთრებით ენატრება თავისი ქვეყანა. მეტად ააღელვა იმ ამბავმა, რომ მის საპატიოდ კიევში საზეიმო საღამო შემდგარა და დიდძალი ხალხიც დასწრებია პოეტი ქალისადმი სიყვარულის და პატივისცემის აღსანიშნავად.

თელავში ლესია უკრაინკა თავის ფანჯრებიდან ალაზნის ველს რომ უყურებდა, მშობლიური დნეპრის ნაპირები აგონდებოდა. * ის გრძნობს, რომ აწ აღარასოდეს ეღირსება უკრაინაში ცხოვრება. იმასაც კი ფიქრობს, რომ სამშობლოს მხოლოდ საკუთარ ნაწერებში დაუბრუნდება, თვით კი პოეტურ ლეგენდად გადაიქცევა. „როგორც ჩანს, ბედის წიგნში მიწერია ასეთი *princesse Lointaine* ვიყო, აზიაში ვიცხოვრო, აფრიკაც მოვიარო, მერე კი... თანდათან დავშორდე, დავშორდე და მერე სულაც გავქრე, ლეგენდად ვიქცე... განა ეს ლამაზი არ არის...“

„თუმცა სწორედ ახლა მაქვს უამრავი გრანდიოზული ლიტერატურული ჩანაფიქრი, მინდა, რაც შეიძლება გვიან, დამიდგეს სრული ხეიბრობის ხანა, სანამ ჯერ ხანში არ შევსულვარ და „გონებას არ უმტყუნია“, —სწერს ის დას.

პოეტ ქალს მართლაც აღარ დასცალდა უკრაინაში ცხოვრება, —1909 წლის შემდეგ უკრაინაში მხოლოდ რამდენიმე კვირა დაჰყო და თავისი ნიკის გაფურჩქვნის წლებში გამოცხადდა სიცოცხლეს.

თელავში გატარებული დრო ნაყოფიერი გამოდგა. ამ ხანში ლესია უკრაინკამ უკრაინულსა და მსოფლიო ლიტერატურას ბევრი უკვდავი ნაწარმოები შესძინა. მაგრამ პოეტი ქალისთვის ადვილი როდი იყო ასეთი დაძაბული მუშაობა, როდესაც სენი თანდათან უფრო ერეოდა. სექტემბერში აშკარა გახდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო ეგვიპტეში. „თუკი ხელს არაფერი შეგვიშლის, 3 (16) XI ბათუმში გავემგზავრებით, იქიდან ზღვით ალექსანდრიაში, მერე კი ვნახავთ, სად გავჩერდებით, ქაიროში თუ კიდეც უფრო შორს გავწევთ“.

ავადმყოფობის გამწვავებამ და შორეულ ქვეყანაში გამგზავრებამ პოეტი ქალი ჩააფიქრა საკუთარი არქივის ბედზე. რამდენი გამოუქვეყნებელი, დაუმთავრებელი ნაწარმოები, ათას ხუთასზე მეტი უკრაინული სიმღერის ჩანაწერი რჩებოდა. ლესია უკრაინკას სპეციალური მიწერ-მოწერა აქვს დასთან, რათა არქივი შესანახად მას გადასცეს. მიწერ-

* ი. პატაშვილის მოგონებები.

მოწერა გრძელდება ეგვიპტეში პირველ მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგაც. 1910 წლის აგვისტოს ის სწერს დას: „შეინახე ჩემი ნაწერები და ჩვენი ნოტებიო“. შემდეგში მთელი არქივი პოეტმა ქალმა დას გადასცა შესანახად. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისათვის დღემდე შემონახული ნაწილი მხოლოდ 1944 წელს გახდა ხელმისაწვდომი, მ. დ. დერკაჩის განსაკუთრებული ზრუნვის წყალობით. მ. დ. დერკაჩმა მიაღწია იმას, რომ პოეტი ქალის პირადი არქივი კერძო პირების ხელიდან სამეცნიერო დაწესებულებას გადაეცა. ამჟამად ეს არქივი უსსრ მეცნიერებათა აკადემიის შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში ინახება.

ამგვარად, 1909 წლის ნოემბრის დასაწყისში ლესია უკრაინკა კ. კვიტკას თანხლებით პირველად გაემგზავრა ეგვიპტეში იქ დიდხანს არ დარჩენილა, — რამდენიმე თვის შემდეგ, 1910 წლის ივნისში უკვე საქართველოშია, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ლესია უკრაინკასთვის მეორე სამშობლო გახდა. 1910 წლის ივლისსა და აგვისტოში ლესია უკრაინკა კვლავ თელავში ცხოვრობს. აქედან სექტემბრის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა და კახეთში აღარ დაბრუნებულა.

2

1905 წლის რევოლუციის შემდეგ ლესია უკრაინკას შემოქმედებაში გარკვევით გამოიჩინა ორი პერიოდი. პირველი იწყება 1907 წლის ბოლოდან და 1910 წლის შემოდგომამდე გრძელდება. მეორე და უკანასკნელი ტერიტორიულად დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოსა და ეგვიპტესთან. ლესია უკრაინკას რევოლუციის შემდგომი შემოქმედების ორ პერიოდად დაყოფა გამოწვეულია არა მარტო ტერიტორიული მოტივებით, არამედ მისი ნაწარმოებების იდეური და თემატიური შინაარსითაც.

თუკი ზემოხსენებული პერიოდებიდან პირველ პერიოდში ლესია უკრაინკა თავის მთავარ ამოცანად თვლიდა აესახა რეაქციის ეპოქის სულიერი დაცემა და დაქსაქსულობა, გაე-

კიცხა რევოლუციის ბანაკებიდან კონტრრევოლუციონერთა ბანაკში გადასული მოღალატეები, შემდეგ წლებში პოეტი ქალის მთელ ყურადღებას ადამიანის არსებობის ის ნათელი მხარეები იპყრობს, რომლებიც მომავალ ახალ სოციალისტურ საზოგადოებაში ცხოვრების საძირკველად უნდა გადაიქცეს.

თემატიკისა და საერთო შიშართულების მხრივ ყირიმსა და თელავში დაწერილ ნაწარმოებთა შორის არსებითი განსხვავება არ არის. უფრო მეტიც, თელავში ლესია უკრაინკა ამთავრებს ჯერ კიდევ კიევში დაწყებულ და ყირიმში გაგრძელებულ სამუშაოს.

პოეტი ქალის შემოქმედება ამ წლებში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო სახალხო ბრძოლის არსებითი საკითხებით განისაზღვრება. 1908 წლის თებერვალში დაწერილ ლექსში „პოლარული ღამე“ ლესია უკრაინკამ ასახა ის განწყობილება, რომელიც რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა ქვეყანაში. რეაქციის შავი ღრო უკუნი ღამის სახითაა ასახული. ახალგაზრდობა მიისწრაფვის ამ კუპრი ღამის დასაძლევად. გარშემომყოფნი „ამოვარდნილ ქარბუქს“ შეახსენებენ ყმაწვილ კაცს და აფრთხილებენ: „თუ სიცოცხლეს გინდა გამოესალმო, მაშინ გაბედე და წადიო!“ მაგრამ სწორედ ეს ახალგაზრდები, სინათლისთვის საბრძოლველად გამზადებულნი, დარწმუნებულნი არიან, რომ ღამე დიდხანს ვერ გასტანს და „მერე დღე დადგებაო“.

მოხუცები სკეპტიკურად არიან განწყობილნი:

არავინ იცის უწყვდიადეს ღამის შესახებ,
უკანასკნელი არის იგი... თუ პირველია
შავბნელ ღამეთა შორის.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

რწმენადაკარგული მოხუცის პესიმისტურ შეხედულებას. ქაბუკის მტკიცე რწმენა უპირისპირდება:

„სიბნელე უფრო ძლიერია განთიადისას,
თანაც წყვდიადი ჯერ ასეთი არც კი ყოფილა!“
ქაბუკის ხმაში გაისმოდა
თვით გამარჯვება.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

შეიძლება, კაბუკს ნაადრევად ჰგონია, მთვარიანი ღამე მზიან ღღემ შეცვალაო, მაგრამ სიმართლედ მაინც მის მხარეზეა. ოღონდ არც პოეტმა ქალმა იცის გარკვევით, რამდენ ხანს გასტანს კიდევ რეაქციის შავბნელი ღამე. ლესია უკრაინკა გვიჩვენებს, თუ რა გატაცებით მოელის მთელი ხალხი ნათელ ღღეს. მართალია, პოეტი ქალი თვითონ არ იღებს მონაწილეობას ბნელ ოთახში, განელეებული ბუხრის წინ გამართულ საუბარში, მაგრამ უეჭველია, რომ ის კაბუკის ოპტიმიზმს იზიარებს. მოსაუბრეთა სიტყვებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 1905 წლის რევოლუციას პოეტი ქალი მომავალი ნათელი ღღის მაუწყებლად სთვლიდა.

„პოლარული ღამის“ კაბუკის სახე „შემოდგომის ზღაპრის“ ახალგაზრდა მუშის სახის განვითარებაა. ღამის წყვილიც არ ძალუძს კაბუკს ჩაუხშოს მომავალი გამარჯვების რწმენა. ის, ისევე როგორც ახალგაზრდა მუშა, ყველას ეხმარება, ვინც სინათლისთვის მებრძოლთა რიგებს შეუერთდა. ამ სახეების მსგავსებას ამ ორი ნაწარმოების ჟანრის ავტორისეული განსაზღვრაც ამტკიცებს. „შემოდგომის ზღაპარი“ ფანტასტიური თქმაა, „პოლარული ღამე“ ფანტაზიაა.

ამიტომაც კაბუკი—იგივე ახალგაზრდა მუშაა რეაქციის პირობებში.

პოეტი ქალის დროს მომხდარი ამბების გავლენითაა დაწერილი მისი ყველაზე დიდი დრამატიული ნაწარმოები „რუფინი და პრისცილა“. ამ ნაწარმოების წერა კიევში დაიწყო. ძირითადად ყირიმში მოამთავრა, საქართველოში კი რედაქცია გაუკეთა.

ჩვენ არ შეგვხვებით იმ რთულ პრობლემებს, რომლებიც ლესია უკრაინკამ ამ დრამაში განავითარა. აღვნიშნავთ მხოლოდ მონა ნარტალის სახეს. ნარტალმა შეიცნო ეპისკოპოსთა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების მთელი პირობითობა და უარჰყო ქრისტიანული რელიგია, როგორც ახალი სულიერი მონობის უღელ, მშრომელებს რომ მძიად დააწვა მხრებზე. ნარტალს სახე „კატაკომბების“ გმირის—მონა ნეოფიტის სახის შემდეგი განვითარებაა რევოლუციის დამარცხების პირობებში. ნარტალი უკანასკნელ წუთამდე ყოველგვარი ჩავკრისა და ტირანიის შეურიგებელ მებრძოლად რჩება, ის

გამოირჩევა ქრისტიანთა მორჩილ ბრბოდან და რომის ცირკის ასპარეზზეც კი იცავს თავის სიცოცხლეს. მართალია, მხეცი დაამარცხა, მაგრამ თვით ნარტალი მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდება და კვდება. ნარტალის სახით, უეჭველია, პოეტმა დაგვიხატა მედგარ რევოლუციონერთა ბუნება, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მშრომელთა ბედნიერებისათვის იბრძვიან. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ბურჟუაზიული-ნაციონალისტებისა და კოსმოპოლიტ კრიტიკოსთა ცილისმწამებლური ცდების მიუხედავად, ცხადია, რომ ლესია უკრაინკა რეაქციის წლებშიც კი ერთგული დარჩა მშრომელთა განთავისუფლების საქმის. მან ხომ ამ საქმეს მთელი ნიჭი და სიცოცხლე შეაღწია. პოეტი ქალის შემდგომ ნაწარმოებთა ანალიზი უფრო მეტად სარწმუნოს გახდის ამ აზრს.

როგორც ჩანს, თელავშია დაწერილი ან, ყოველ შემთხვევაში, დამთავრებული „რუფინისა და პრისცილას“ მეხუთე, ბოლო აქტი. აქ პოეტმა ქალმა დაგვიხატა რომაელთა საზოგადოება ქრისტიანთა დასჯის მოლოდინში. მთელი სურათის სიცხოველედ და მრავალფეროვნება, რამდენიმე ხაზის მოსმით დახატული სახეები პოეტი ქალის დიდ ნიჭს გვიმტკიცებს. ცხოვრებამოყიჩებული რომაელი დიდკაცების, ვაჟრების, მეფაზშეების, გარყვნილ მატრონათა გაშიშვლებულ სახეებში კაცი გამოიცნობს ყოველივე იმ ბინძურის, გონებაჩლუნგისა და გონებაშეზღუდულის ნაკეთებს, ვინც რუსეთში 1905-1907 წლებში, რევოლუციის დამარცხების შემდეგ დღეებში, თავი წარმოიდგინა „საზოგადოებად“ და მთავარ ძალად. ამხილებს რა „სადღეისო გმირებს“ და იმავე დროს გამყიდველი ლიტერატურის მთავარ მოქმედ პირებს, — რევოლუციის მესაფლავეებს, პოეტი ქალის მთელი სიმპათიები პროლეტარისა და გლეხის, რესპუბლიკელი რუფინის და ტირანიის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლის მონა ნარტალის მხარეზეა.

დრამატიულ ეტიუდში „იოჰანა, ჰუსას ცოლი“ გამოყვანილია ის ადამიანები, რომელთაც, მართალია, იწამეს ახალი იდეები და თანაუგრძნის მათ, მაგრამ ამ იდეების გასამარჯვებლად არ იბრძვიან და რეაქციის პირობებში სასოწარკვეთილებას ეძლევიან. ეს ნაწარმოები დაწერილია თელავში, 1909 წ. 3 ივნისს.

მოქმედება წარმოებს ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, გალილეაში, ჰუსას სახლში. დრამატიული ეტიუდის მთავარი გმირებია იოჰანა, რომელმაც ქრისტეს მოძღვრება იწამა, და მისი ქმარი ჰუსა.

ჰუსა ვერ ხვდება, თუ რამ აიძულა იოჰანა დურგალ ქრისტეს რწმენა ელიარებინა. თუმცა ისიც კია, იოჰანას ქრისტეს მიმართ უფრო სიბრალული ამოძრავებს, ვიდრე ახალი მოძღვრების რწმენა.

იოჰანა ჰუსას სახლში მონაზე უარესად გრძნობს თავს ქალი ხედავს თავის გარშემო მხოლოდ სიცრუეს, ძალადობას, ძლიერთა წინაშე ქედის მოდრეკას და კანონადქცეულ გარყვნილებას, რის დაფარვასაც ღვთისმოსავი ლაპარაკით ცდილობენ.

წარჩინებულ რომაელთა, რეაქციულ და დესპოტურ ხელისუფალთ მონა ჰუსა საკუთარ სახლში დესპოტი, ცოლქმარული ურთიერთობის შემბლაღავია; ის უცხოა პატიოსან იოჰანასთვის და მის სულიერ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ის ხომ სიმართლესა და ადამიანურ პირობებს ეძიებს ცხოვრებაში. ჰუსას სახლში იოჰანა გამოუვალ ტრაგედიას განიცდის.

დრამატიული ეტიუდი იოჰანასთვის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი სცენით მთავრდება. ჰუსა უბრძანებს ცოლს, განსაკუთრებით თავაზიანად მოეპყარი წარჩინებულ რომაელს პუბლიუსს, არაფერზე უარი არ უთხრაო, რადგან პუბლიუსის ნება-სურვილზეა დამოკიდებული ჰუსას სარფიან ადგილზე მოწყობა. მარტოდ დარჩენილი იოჰანა ჯვარცმულ მოძღვარს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ო, უფალო, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიტანჯო ასე?.. მოძღვარო, რად მიმატოვე?.. როდის მოვა სასუფეველი? სად არის ის? მოვესწრები კი ამას?..“ ამ წამოძახილში ნათლად ისმის ყველა იმათი მისწრაფება, ვისაც სწყურია ბედნიერი ცხოვრება, სწყურია თავისუფლების ხილვა, ვისთვისაც სასტიკ რეაქციას ხელ-ფეხი შეუკრავს.

ჩვენ ვიცით, რომ ლესია უკრაინკა მეტად უარყოფითად ეკიდებოდა ქრისტიანობას, რადგან ის მშრომელთა სულიერი დამონების საშუალებად მიაჩნდა. მისი ნაწარმოებისა და.

წერილების ბევრი ადგილი გვიმტკიცებს, რომ პოეტი ქალისათვის ხშირად ერთი და იგივეა ბრძოლა ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ და ბრძოლა წინააღმდეგ ტოლსტოის რეაქციული მოძღვრებისა, რომელიც ბოროტებისადმი მორჩილებას ქადაგებს. მაგრამ აღრინდელ ქრისტიანულ მოძრაობას ლესია უკრაინკა ისტორიული თვალსაზრისით უდგებოდა: „В истории раннего христианства,—წერს ფ. ენგელსი,—есть любопытные точки соприкосновения с современным рабочим движением. Как и последнее, христианство при своем зарождении было движением угнетенных: оно выступало сначала как религия рабов и вольноотпущенных, бедняков и бесправных, покоренных или рассеянных Римом народов. Как христианство, так и рабочий социализм проповедует грядущее избавление от рабства и нищеты; христианство ищет этого избавления в потусторонней жизни, после смерти, на небе, социализм же — в этом мире, в переустройстве общества. И христианство и рабочий социализм становятся жертвами жестоких преследований, последователи их подвергаются гонениям, к ним применяют исключительные законы: к одним — как к врагам рода человеческого, к другим — как к врагам государства, религии, семьи, общественно-го порядка“*.

ამხილებს რა საეკლესიო იერარქიის ფარისევლურ, ექსპლოატატორულ და დესპოტურ არსს, დაწყებული დიაკნიდან და გათავებული არა მარტო ეპისკოპოსით, არამედ თვით „მოძღვრით“ — ქრისტეთი, ლესია უკრაინკა თანაგრძნობით ეპყრობა უკეთესი მერმისის მოსაპოვებლად ამხედრებულ ხალხის მასებს. ამიტომ საკვირველი არაა, რომ პოეტ ქალს, უძველეს საუკუნეთა ისტორიის სიუჟეტების არჩევისას, არა ერთხელ მიუმართავს აღრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, მის სხვადასხვა ეტაპზე. ის რაღაც საერთოს პოულობდა თანამედროვე გამანთავისუფლებელ მოძრაობასა და პირველ ქრისტიანთა მოძრაობას შორის. რა თქმა უნდა, დიდი

* К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. XVI, часть II, стр. 409. „В истории раннего христианства“.

შეცდომა იქნებოდა ლესია უკრაინკას შემოქმედებაში პირდაპირი ანალოგიები დაგვედგინა ძველი რომის ისტორიულ ამბებსა და თანამედროვეობას შორის. ლესია უკრაინკას ისტორიულ თემებზე დაწერილი ნაწარმოებები ალეგორიები როდია. ისინი ისტორიულად ზუსტია და თანამედროვეობასთან ის კავშირი აქვთ, რომ პოეტი ქალი მისთვის კარგად ნაცნობ სხვადასხვა ხალხის ისტორიაში ისეთ მომენტებსა და მდგომარეობებს ირჩევდა, რაც ასე თუ ისე, მის დროს ეხმაურებოდა.

დრამატიული ეტიუდი „იოჰანა, ჰუსას ცოლი“ ერთი შეხედვით თითქმის ოჯახურ თემაზე დაწერილი ნაწარმოებია. მაგრამ შიგ პირველი საუკუნის გალილეას ცხოვრების მართალი სურათია მოცემული. იმავე დროს ლესია უკრაინკას ამ ნაწარმოებში იგრძნობა სტოლიპინის რეაქციის პერიოდში მეფის რუსეთში მომხდარი ამბებისა და ცხოვრების სუნთქვა.

ბევრი დეტალი შეიძლება საქართველოში ცხოვრებითაც იყოს ნაკარნახევი: ქმრის მონა-მორჩილი ქალის უუფლებო მდგომარეობა, თვით ჰუსას სახეც, რომელიც ტიპიურია არა მარტო უკრაინის სინამდვილისა, არამედ კავკასიისთვისაც. ჰუსას სახე გვაგონებს, თუ როგორ ცდილობს ბურჟუაზია ფერი უცვალოს ცარიზმის მიერ დამონებულ ერებს და ქვეშევრდომული გრძნობები აღუძრას მეფის მიმართ, გვაგონებს მის ლაქიურ ქვემძრომობას მეფის მოხელეთა წინაშე, რათა თვითონაც წილი დაიდოს „თავისი“ ქვეყნის ექსპლოატაციის საქმეში.

იოჰანას სახით მოცემულია სულიერი დაცემის ის განწყობილება, რამაც შეიპყრო რევოლუციის მერყევი მონაწილეები. ისინი ჯერ რევოლუციას აჰყვნენ. მაგრამ მისი დამარცხების შემდეგ კვლავ მონურ მდგომარეობას დაუბრუნდნენ, რათა უფრო მწვავედ ეგრძნოთ თავიანთი მდგომარეობის სიმძიმე და დამამცირებლობა. „ქარიშხლის მოლოდინი ისე საშინელი არ არის, როგორც კაემანი ქარიშხლის შემდეგო“, თქვა იმ წლებში პოეტმა ქალმა და ეს სიტყვები იოჰანას სახესაც განსაზღვრავს.

მაგრამ სასოწარკვეთილებისა და დაბნეულობის გრძნობა, რამაც იოჰანა შეიპყრო, უცხო იყო პოეტი ქალისათვის. ლესია უკრაინკა თუმცა მწვავედ განიცდიდა რევოლუციის დამარცხებას, მაინც სწამდა, რომ ახლო მომავალში უფრო უკეთ შეიარაღებული და მომზადებული საერთო სახალხო აჯანყება იფეთქებდა, გაიმარჯვებდა და სოციალისტური სამყაროც აშენდებოდა. პოეტი ქალი კვლავ ამ ახალი სამყაროს გამარჯვებისათვის იბრძოდა. 1907-1910 წლებმა დღის წესრიგში რენეგატობის ყოველმხრივი მხილება დააყენა. ვ. ი. ლენინი ასე ახასიათებს ამ წლებს: „ცარიზმმა გაიმარჯვა. ყველა რევოლუციური და ოპოზიციური პარტია დამარცხებულია. დაცემულობა, დემორალიზაცია, განხეთქილებანი, გზადაბნეულობა, რენეგატობა, პორნოგრაფია პოლიტიკის ნაცვლად. ფილოსოფიური იდეალიზმისადმი მიდრეკილების გაძლიერება. მისტიციზმი, როგორც კონტრრევოლუციურ განწყობილებათა სამოსელი“.* რუსულ, პოლონურ, უკრაინულ და სხვ. ლიტერატურაში ცდილობდნენ მოღალატეების რეაბილიტებას, უფრო მეტიც,—ცამდე აჭყაფთ და მისაბამ მაგალითად სახავენ მათ. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ ლეონიდ ანდრეევის მოთხრობა „იუდა ისკარიოტელი“, სადაც მწერალი ცდილობს მოღალატე იუდა გაამართლოს და განადიდოს. ანდრეევის იუდა უნივერსალური სიბრძნის კაცია, რომელიც სხვა ადამიანებზე მაღლა დგას.

ლესია უკრაინკამ ლ. ანდრეევის მაროდერულ გამოსვლას უპასუხა დრამატიული პოემით „სისხლის ველზე“. ამ პოემაში მან ლალატის სოციალური ფესვები გააშიშვლა.

დრამატიული პოემა „სისხლის ველზე“ დაწერილია თელავში 1909 წლის თებერვლის დამდეგს.

პოემაში სულ ორი მოქმედი პირია—გლეხი და იუდა; მათ საუბარში იხსნება ლალატის სისაძაგლე. მთელი პოემა აგებულია დიალოგებზე. ჩამვლელი გლეხი იუდას წყალსა სთხოვს, მერე კი საუბარს გაუბამს. ამ საუბრიდან ირკვევა, რომ კაცი, რომელიც ამ ქვალორლიანი მიწის დამუშავებაზე აგრე უნაყოფოდ ილწვის, მოღალატე იუდაა. იუდას პასუხე-

* ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 31, გვ. 13.

ბიდან გლეხი შეიტყობს მიზეზს, რამაც მას მოძღვარი გააყიდვინა; იუდას ლალატის სისაძაგლე მკითხველის წინაშე მთელი სიმძაფრით შიშვლდება.

გლეხის დამოკიდებულება იუდას მიმართ — ხალხის დამოკიდებულებაა მოღალატისადმი.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იუდას გაკიცხვისას გლეხი არც მოძღვრის ღვთიურობას სცნობს. პოეტ ქალს არ სწამს ქრისტიანული მოძღვრების პროგრესულობა და პოემის მთელი მოქმედების მანძილზე ქრისტიანობისადმი თავის უარყოფითს დამოკიდებულებას დამაჯერებელი საბუთებით ამტკიცებს. ქრისტეს სახელი პოემაში არცაა ნახსენები, პოეტი მას მოძღვარს უწოდებს. ამგვარად, საუბარია აქ არა მოციქულის მიერ ღვთის გაყიდვაზე, არამედ მოწაფის ლალატზე მოძღვრის მიმართ. გლეხის დახასიათებით მოძღვარი ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანია. იგივე შთაბეჭდილება რჩება მკითხველს იუდას სიტყვებიდანაც.

იუდა დიდი სიმდიდრის პატრონი იყო. მან ეს სიმდიდრე იმ ანგარიშით დაარიგა, რომ ხალხზე გაბატონების საშუალება მისცემოდა. კერძო საკუთრება და ძალაუფლება — აირისკენ მიისწრაფვის იუდა. ის ყველაფერს ფულით აფასებს. მაღალი იდეები, ადამიანები, მოძღვარი, ბელადი — მისთვის მხოლოდ გასაყიდი საქონელია. იუდას შეუძლია ხელსაყრელად გაცვალოს თუ გაყიდოს ესენი და სინდისის ქენჯნა არ იგრძნოს.

პოეტი ქალი ხაზს უსვამს იმას, რომ იუდას არ ძალუძს მაღალი იდეებით გატაცება. იუდა საქმოსანი ადამიანია. ის გაიტაცა ძალაუფლების მოხვეჭის სურვილმა და მოძღვარს ამიტომაც დაუდგა მოწაფედ. რჩეულთა წრეში მოხვედრა მეტად მომხიბლავი იყო მისთვის:

მათ ემსახურება ერები ყველა ქვეყნისა,
ბედნიერებას უსაზომოს მათ მიაღწიეს...
და მე შემეშურდა მათი...

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

იუდა ხელცივიც გამოდგა. ის მოძღვარს ხაზინადრად დაუდგა და ხელში მოხვედრილ ვერცხლს ხშირად თვითონვე იჯიბავდა.

იუდამ ლალატი წინდაწინვე ცივი გონებით მოიფიქრა. მან გასწირა მოძღვარი, გასწირა თავისი ქონებაც, მაგრამ რასაც მოელოდა და რისკენაც მიისწრაფვოდა, მაინც ვერ შეისრულა,—ხალხზე მაინც ვერ გაბატონდა. ის არც ფიქრობდა დაეცადა იმპერეყნიური „სასუფეველისათვის“. მას აქვე, მიწაზე უნდოდა ხალხზე, მშრომელებზე გამეფება. იუდას შურს მოძღვრის, მას სურს ისეთივე ძალა მოიხვეჭოს, ისევე დატყბეს მიწიერი სიკეთით, როგორც მოძღვარი. ბოლოს იუდას ლალატი აიხსნება იუდასა და მოძღვარს შორის არსებული სოციალური ანტაგონიზმით. მოძღვარი ღურგლის შვილია, ღატაკი და ღატაკთა მეგობარი; იუდა—მდიდარია და მას ღატაკთა სიძულვილიც ამოძრავებს.

იუდა ლალატშიაც ცდილობს მოგება ნახოს. და თუ უკმაყოფილოა „მიღებული“ ოცდაათი ვერცხლით, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა ეჩვენება, ფიქრობს, რომ მოძღვარი იაფად გაყიდა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლესია უკრაინკამ შეგნებულად დაუახლოვა თანამედროვეობას იუდას ხასიათის ცალკეული მხარე, მისთვის თანამედროვე კერძო კაპიტალისტების მოქმედებას დაამსგავსა მისი საქციელი.

რევოლუციის რენეგატების წინააღმდეგ გალაშქრებისას ლესია უკრაინკამ იუდას სახით 1905-1907 წლების რევოლუციაში ლალატის სოციალური ფესვები გააშიშვლა. ხალხის ზიზლი და სიძულვილი მოღალატისადმი განსაკუთრებული სიმძაფრით დრამატიული პოემის უკანასკნელ გვერდებზე ჩანს, როცა გლეხი უკვე ჩასწვდა იუდას ბუნებას.

ლესია უკრაინკამ პასუხად ანდრეევის, ვინიჩენკოს, ლიბერალი ბურჟუების და სხვა მოღალატეებისა, რომლებმაც ხალხი და რევოლუცია გაჰყიდეს და თავი საზოგადოების ბურჟუებად წარმოიდგინეს, დაგმო ლალატის ყოველგვარი მოტივი:

ჩუმაღ! ნუ ლაყბობ, ქვეწარმავალი,
მხით მოთენთილი არის თუ ცივი,
თანაბრად სახიზლარია!

(თარგმანი ნ. ნადირაძის)

„შენთვის სიკვდილიც ცოტააო“,—უთხრა იუდას გლეხმა. პოეტი ქალი რემარკაში უმატებს: უდიდესი ზიზლითო.

ცხადია, დრამატიული პოემა „სისხლის ველზე“ მართო ანდრეევისა და მისი მსგავსი დეკადენტებისა და მაროდერების ლიტერატურული პასუხი არ არის. ლესია უკრაინკამ ამ ნაწარმოებში გამოხატა ხალხის, მშრომელების ზიზღი კაპიტალისტების მიერ მოსყიდული მოღალატეების მიმართ. ადამიანის ყველაზე სულმდაბლური, საზიზღარი საქციელი ღალატია. და დაე მოღალატეს თავს დაატყდეს საყოველთაო ზიზღი, ვერსად ნახოს თავშესაფარი და უნაყოფო მიწა აბრუნოს. ეს არის დედააზრი იმ უკანასკნელი სიტყვებისა, როცა გლეხი იუდას ეუბნება: „შენთვის სიკვდილიც ცოტააო!“

საინტერესოა ის, რომ პოეტმა ქალმა პოემის პირვანდელი ვარიანტი თითქმის გაანახევრა. პირველ ვარიანტში მოძღვრის მოვლინებით შეშინებული იუდა თავს იხრჩობდა. მაგრამ პოეტმა ქალმა გადაწყვიტა, რომ სიკვდილი იუდასთვის მსუბუქი სასჯელი იქნებოდა. უფრო მეტიც, პოეტმა ქალმა იუდა ცოცხალი დატოვა უნაყოფო მიწაზე სატანჯველად და ამით თავის თანამედროვეთ გაახსენა, რომ იუდეები ახლაც არსებობენ, რომ მოღალატეებს ულმობლად უნდა გაუსწორონ ანგარიში.

გორკის მსგავსად, რომელმაც „უმაქნისი კაცის ცხოვრებაში“ და თავის სხვა ნაწარმოებებში ამხილა ღალატის სისაძაგლე, ლესია უკრაინკამ, შეუერთა რა თავისი ხმა დიდი პროლეტარული მწერლის ხმას, ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში გავრცელებულ ტენდენციას ღალატის გამართლებისა და მოღალატეების გმირებად გამოცხადებისა. ლესია უკრაინკა რევოლუციის დიადი საქმის მოღალატეებთან მებრძოლი ხალხის შეხედულებებს, საზოგადოების მოწინავე ფენების შეხედულებებს გამოხატავდა.

დრამატიული პოემა „სისხლის ველზე“ დღესაც ემსახურება უგვანო უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების მხილების საქმეს. იუდას სახე მეტად ჰგავს ნაციონალისტური ბანდიტების ტიპიურ სახეს, რომლებიც ფულზე ჰყიდიან სამშობლოს, ხალხს, რევოლუციას. ლესია უკრაინკას იმ პერიოდის წერილებიდან ცხადი ხდება, რომ პოეტი ქალი განსაკუთრებული სიმძაფრით აკრიტიკებდა ბურჟუაზიული ნაციონალისტების ყოველნაირ ცდებს. მოგვიანებით, 1913 წელს,

მან ვინიჩენკო და სხვა სოციალ-მოღალატეები ღრამა „ორგიაში“ ამხელა საქმოსანი ფედონის სახით. ეს ღრამა მიმართული იყო იმპერიალისტი მტაცებლებისა და მათ წინაშე ქედმოდრეკილი მოღალატეების წინააღმდეგ.

ლესია უკრაინკა მშრომელების წინაშე უმძიმესი დანაშაულის—ღალატის მხილების შემდეგაც განაგრძობდა დეკადენტური ლიტერატურის კრიტიკას; მისი აზრით, ლიტერატურას არა მარტო უფლება აქვს, არამედ მოვალეც არის ჩაერიოს ცხოვრებაში, გააშუქოს ყველაზე უფრო საჭირობო საკითხები, მკითხველი გაიტაცოს კაცობრიობის უმშვენიერესი იდეებისათვის საბრძოლველად.

ლესია უკრაინკა ამხილებს იმ პოეტებს, რომლებმაც თავიანთი ნიჭი და ცხოვრება ბურჟუაზიის სამსახურს შესწირეს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იუმორესკა „მუზას ახირებანი“, დაწერილი 1909 წლის 10.VII თელავში.

პოეტი წერს არა იმას, რასაც უკარნახებს შთაგონება და სინდისი, თავისი კალმით ის „ცოლის სამკაულს, ბავშვის სათამაშოებს, საკუთარი თავისთვის კი თუნდაც ლუკმაპურს“ შოულობს. მერკანტელური ინტერესები აიძულებს პოეტს წეროს უსიუჟეტო ლექსები, სადაც „ცოტა განწყობაა, ფერების და სიტყვების თამაშია“. პოეტი სთხოვს მუზას თავისი ნაწარმოებისათვის—„ცოტა გაბორბლებას, ცოტა სინაზეს, სიყვარულის სისასტიკეს და ტანჯვას, ცოტა სიცილს, ცრემლს, სისხლს, სიწმინდესა და გარყვნილებას“. სწორედ ასეთ აჯაბ-სანდალს თხოულობდა რეაქციის წლებში მუშტარი ბურჟუა, რათა ასეთი „პოეზიისა“ და მისი შემოქმედების მასხარად აგდების შემდეგ პოეტი ქალი თავის გმირ პოეტს მოანანებებინა საკუთარ საქციელს და შეარიგებინა მუზას, რომელმაც მას სიუჟეტური რეალისტური ნაწარმოებები მოსთხოვა.

„მუზას ახირება“ ეხმაურება აღრე დაწერილ ლექსს „ტალღას“. ამ ლექსში ლესია უკრაინკამ დაუმტკიცა მოდელადენტურ პოეტ ნაციონალისტებს, რომ ისიც უბადლო ოსტატია ლექსის მუსიკისა და სიტყვების თამაშის, რომ ურთულესი რითმები და რიტმი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს სახალხო პოეტისათვის, მაგრამ ყოველივე ამაზე დროის დახარჯვა არ ღირს რადგან პოეტს უფრო დიდი და სერიოზული ამოცა-

ნები გააჩნია, რომელსაც უკვე ამბოხებული ხალხი უსახავს მას.

მხატვრული შემოქმედების ცხოვრებასთან და ხალხის მოთხოვნებთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე ლაპარაკობს ლესია უკრაინკას ერთ-ერთი დიდი ნაწარმოები, დრამატული პოემა „ულრან ტყეში“. ეს ნაწარმოები ძირითადად დაწერილია 1897-1898 წლებში, — შემდეგ გადამუშავდა 1907-1909 წლებში, ხოლო საბოლოო რედაქცია გაუკეთდა თელავში.

მოქმედება წარმოებს ჩრდილოეთ ამერიკაში მე-17 საუკუნეში, ინგლისიდან გადასახლებულ პურიტანთა შორის. დრამატული პოემის მთავარი გმირი ნიქიერი მოქანდაკე რიჩარდია. სიუმაწვილეში ის ვენეციაში სწავლობდა; მის ნიქს მალალი შეფასება მისცეს ცნობილმა იტალიელმა ოსტატებმა. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ რიჩარდი ოცნებობს თავის შემოქმედებაში უმღეროს და განადიდოს თავისუფლება. მისი თავისუფლებისმოყვარე წინაპრებაც ხომ „დამოუკიდებელთა“, „თანასწორუფლებიანთა“, „შეუთანხმებელთა“ მიმდინარეობებს ეკუთვნოდნენ. რიჩარდს უყვარს თავისი ხელოვნება და ეს სიყვარული ნაკარანხევია ადამიანზე ზრუნვით. მისი აზრით ინგლისიდან ემიგრირებული, კათოლიკური და ანგლიკანური ეკლესიების მიერ დევნილი პურიტანული საზოგადოება დიხსაც უნდა იყოს თანასწორუფლებიან მოქალაქეთა თავისუფალი თანაცხოვრება. მაგრამ რიჩარდი მალე რწმუნდება, რომ ამ საზოგადოებაში არ არის არც თანასწორობა, არც სიმართლე და არც თავისუფლება. თემი დამოკიდებულია ანგარებისმოყვარე, ხარბსა და მძარცველ, ფარი-სეველ მოქადაგე გოდვინსონზე. თემში არ არის ერთიანობაც — იქ პარპაშებენ გოდვინსონები და შეძლებული კოლონისტები, ლატაკები კი უუფლებო, უტყვი მონებივით არიან და შიმშილით, სიცივით და ავადმყოფობით იხოცებიან.

ამგვარად რიჩარდსა და გოდვინსონს შორის უთუოდ უნდა ჩამოვარდეს კონფლიქტი. გოდვინსონის მონა-მორჩილი საზოგადოება, ცხადია, მასვე მიემხრობა. რიჩარდი ლატაკების მხარეზე დგება. მაგრამ დამყაყებელი, რელიგიური ცრუმორწმუნეობით შებოქილი საზოგადოება გოდვინსონს ბრმად

ემორჩილება, რიჩარდს ყურს არავინ ათხოვებს და კოლონი-
იდანაც აგდებენ.

რიჩარდი გადადის როდ-აილენდში მასწავლებლად და
განმარტოებულ ცხოვრებას ეწევა. გარეგნულად თითქო პი-
რადი თავისუფლება მოიპოვა—არავინ სდევნის, შეუძლია
თავისი საქმე განაგრძოს. მაგრამ ეს არ არის ნამდვილი თა-
ვისუფლება. რიჩარდი ცხოვრობს ამერიკელ ვაჭრებსა და
მეწარმეთა შორის, მათთვის მისი ქანდაკებები არახელსაყრე-
ლი საქონელია. რიჩარდი განმარტოვდა, ბრძოლაზე ხელი
აიღო და ამიტომაც, როგორც შემოქმედი, დალუპვის გზას
დაადგა.

პურიტანები სდევნიდნენ მის ხელოვნებას, მოითხოვდნენ,
რომ რიჩარდს შანდლები და სხვა საეკლესიო ჭეშქარი დაეი-
ზადებია, მაგრამ მას საზოგადოებაში ყოველდღე გოდ-
ვინსონების წინააღმდეგ ბრძოლა მაინც შთააგონებდა. როდ-
აილენდში კი მისი შემოქმედება ცხოვრებას მოსწყდა. როდ-
აილენდის ვაჭრები მზად არიან დაეხმარონ რიჩარდს, მაგრამ
იმ პირობით, თუ თავის ნიქს სარფიან ხელობად აქცევს, ლა-
მაზ ქოთნებს დაამზადებს და ხელახლად ჩამოყალიბებული თი-
ხის გადამამუშავებელი კომპანიის აყვავებას ხელს შეუწყობს.

დრამატიულ პოემაში „ულრან ტყეში“ ლესია უკრაინკამ
ორი მნიშვნელოვანი პრობლემა დააყენა. მან ამხილა ამერი-
კული „თავისუფლების“ ნამდვილი ბუნება თვით მისივე სა-
თავეში, დაპაჯურებლად დაამტკიცა, რომ ამერიკაში ჩამო-
სულმა ინგლისელებმა თან წამოიღეს ყოველივე ის ცუდი,
რაც ძველ ინგლისში გააჩნდათ. გერცენის ცნობილი სიტყვე-
ბი, რომ შეერთებული შტატები წარმოადგენენ იგივე ფეო-
დალურ-ქრისტიანული ტექსტის უკანასკნელ გამოცემას და
თანაც უხეშ ინგლისურ თარგმანშიო, მტკიცდება ლესია უკ-
რაინკას ამ დრამატიული პოემის მხატვრული სახეებით.

ინგლისელმა კოლონიზატორებმა ამერიკაში შუა საუკუნე-
ების ბარბაროსული კანონები შემოიტანეს. ფარისევლურად
აღიარებული თავისუფლება სინამდვილეში აღვირახსნილი
ექსპლოატაციისა და ძალადობის, ძარცვა-გლეჯის თავისუფ-
ლება იყო. პოეტმა ქალმა ამერიკას ულრანი ტყე უწოდა,
მონობის, ადამიანის მისწრაფებებსა და სურვილებზე ძალ-

დატანების ქვეყანა დაარქვა. რიჩარდი ეკონომიურად მთლიანად დამოკიდებულია მდიდარ მეწარმე კოლონისტებზე. ის მოწმეა რასიული დისკრიმინაციისა: კოლონისტები ადგილობრივ მოსახლეობას—ინდიელებს დაბალ რასად, ველურებად თვლიან. რიჩარდი კი ხედავს, რომ „ულრან ტყეში ველური ადამიანები“ ფარისევლურად აღზრდილი, გარეგნულად ვითომც ღვთისმოსავ პურიტანებზე ნაკლები ველურები არიან. რიჩარდი აღმოჩნდა სულიერ მონობაში, სადაც ძალაუფლება გოდვინსონებს აქვთ ჩაგდებული, სადაც ადამიანის აზრი და ფიქრი შებორკილია. ყოველნაირი სახის ჩაგვრა—ეს იქნება ეკონომიური, სოციალური, რასიული თუ სულიერი—ამერიკაში ყველაზე არაადამიანურ ფორმებში გამოვლინდა.

ამერიკის, როგორც ულრანზე ულრანი ტყის, როგორც ინგლისიდან იმპორტირებული მონობის ქვეყნის მხილებას მჭირდოდ უკავშირდება იქ ხელოვნების განვითარების პირობების, მისი წყაროების და მასაზრდოებელი გარემოს საკითხი.

პოეტი ქალი უპირველეს ყოვლისა გმობს ეკლესიას, როგორც ოცნების, ხელოვნების მოსისხლე მტერს. პოეტი ქალი ილაშქრებს იმ წლებში ბურჟუაზიულ ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულების წინააღმდეგ, რომელიც ბიბლიას ხელოვნების შთაგონების წყაროდ აცხადებდა. „დახურე ეგ წიგნი და ტექსტი აღარასოდეს წაიკითხო, თუ გინდა ხელოვანი დარჩეო“,—ეუბნება რიჩარდი ჯონათანს.

რიჩარდი არ სცემს თავყვანს ვენეციურ ხელოვნებას, მისაბამ მაგალითად არ სახავს მას. „გიგანტების დაკნინებულ მომეკვიდრებო, რაღაც უძალო, გააზიზებულა თქვენი ხელოვნებაო“,—ამბობს ის ვენეციელ ოსტატებზე.

ლესია უკრაინკა დრამატიულ პოემას საფუძვლად უდებს იმ იდეას, რომ ხელოვნება მხოლოდ მაშინ იქნება მოქმედი, ცოცხალი და, მაშასადამე, უკვდავიც, როცა ის თავისუფლების იდეალების ნათელი ოცნებისთვის რეალური ბრძოლის პირობებში აღმოცენდება. თავისუფლებისთვის ბრძოლას მოწყვეტილი, კაბინეტურ მყუდროებაში ნასათუთები ოცნება ვერ შექმნის ხელოვნების დიდ ქმნილებებს. ის, ვინც მიემხრობა პრინციპს—„ხელოვნება ხელოვნებისთვისო“, დალუპავს

ნიქსა და ხელოვნებასაც. რიჩარდის ტრაგედია სწორედ ისაა, რომ იგი მოსწყდა ბრძოლას და წმინდა ხელოვნების სამყაროთი შემოიზღუდა.

რიჩარდი პატიოსანი შემოქმედია, მან უარი თქვა ხელოვნების პროფანაციაზე, უარი თქვა თავისი ნიქი შეეწირა ამერიკელი მეწარმე ვაჭრებისათვის, რომელთაც ჯიბის გასასქელებლად უნდათ ხელოვნება. გულის ტკივილით უყურებს, როგორ ცდილობენ მისი ქანდაკება მკერავის მანეკენად გადააქციონ, მისი ნიქი ქოთნების გამოსაწვავად გამოიყენონ. მაგრამ როცა გასწყვიტა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან კავშირი, როცა თავი ანება ბრძოლას ამერიკული უღრანი ტყის წინააღმდეგ, მან თვითონვე ჩაახშო თავისი ნიქის წყარო. ბრძოლისა და ხალხის სამსახურის გარეშე ხელოვნება ვერ იარსებებს. რიჩარდს ახსენდება პურიტანელებს შორის გატარებული მძიმე წლები და იმ დასკვნამდე მიდის, რომ სიცოცხლე სწორედ ძალადობის, ექსპლოატაციისა და ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ ბრძოლაში იყო.

ის არა სჯობდა, როცა ველურებს
უმკლავდებოდი, როგორც ცოცხალი,
ასე თუ ისე, ისინი გრძნობდნენ,
რომ ძალა იყო ჩემს ხელობაში,
თუმცა „უწმინდური“, მაგრამ იმათთვის
მეტად დიდი და საშიში ძალა.
მებრძოდნენ და მეც ვუმკლავდებოდი.

(თარგმანი ალ. მაშაშვილისა)

ლესია უკრაინკას მკითხველი მიჰყავს ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის არსებულ ბრძოლის ფილოსოფიურ გაგებამდე. ის წერს:

მე რაც გიამბეთ—ცხოვრება არი.
აქ რაც მიტაცებს—ეს ოცნება!
ისინი ერთად ვერ თავსდებიან,
იბრძვიან, თუმცა ზავი სწყურიათ,
და ამ ბრძოლაში გადის ცხოვრებაც.
ოცნება რჩება... და იგი ნიშნავს,—
„Pereat mundus fiat ars“.

(თარგმანი ალ. მაშაშვილისა)

მშვენიერია ცხოვრება, როცა იბრძვი ნათელი ოცნებისათვის, როცა გწამს, რომ „ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლები იყვნენ“. ამ ოცნების მადიდებელი ხელოვნება ქეშმარიტი ცხოვრების ორგანიული ელემენტი ხდება და ამ გაგებით ის მარადიულია.

რიჩარდი ამბობს, რომ თავისუფალი ცხოვრების ოცნებამ მამაცი, ბედს შეურიგებელი ხალხი ოკეანის გაღმა, ამერიკაში ჩამოიყვანა. მაგრამ იქ ჰპოვეს არა თავისუფლება, არა ნათელი ოცნების განხორციელება, არამედ ულრანი ტყე, ადამიანის მიერ ადამიანის აღვირახსნილი ექსპლოატაცია და სულიერი მონობა. სილატაკე მუდმივი თანამგზავრი გახდა ამერიკაში მშრომელი ადამიანებისათვის. რიჩარდი ხატავს ამერიკული სინამდვილის ტიპიურ სურათს: ღარიბი ქვრივი ქალი, რომელსაც სახლკარი არ გაჩნია, იძულებულია უბადრუკ ქოხმახს შეაფაროს თავი. ასეთი ღატაკები ამერიკაში ერთეულები კი არაა, მათი რიცხვი იქ უამრავია. რიჩარდი ჰუმანიური ადამიანია. მან უარი განუცხადა მეწარმეებს ქოთნების გამოძერწვაზე, მაგრამ ღარიბ ქვრივ ქალს კი ხალისით დაუდგა ცივ ქოხში ღუმელი.

ამერიკულმა ტევრმა ცოცხლად ჩამარხა რიჩარდის ნიჭი; ის ადამიანში ადამიანურ თვისებებს ჰკლავს. ტრაგიკულია რიჩარდის ბედი, მას მკითხველი რექვიემის მუსიკის ქვეშ შორდება. მაგრამ ბნელის მეფობა, ამერიკული კაპიტალისტური ჯუნგლების ბატონობა მუდმივი როდია. რიჩარდის მოწაფის—დევის—სახით პოეტმა ქალმა ხორცი შეასხა თავის ოცნებას თავისუფლების იდელების გამარჯვების შესახებ. დევამ უნდა შეისისხლხორცოს რიჩარდის შესანიშნავი თვისებები—სიმამაცე, თავისუფლების სიყვარული, ძალადობისადმი სიძულვილი, სიმართლისა და სიცოცხლის მადიდებელი ხელოვნების ერთგულება.

დრამატიული პოემა „ტევრი“ შუქსა ჰფენს იმ გარემოებას, თუ საიდან წარმოიშვნენ თანამედროვე ამერიკელი გოდვინსონები, რა ფესვებზე აღმოცენდა თანამედროვე ამერიკული იმპერიალისტების კაცთმოდულე ბუნება. მეორე მხრივ, პოემაში მშრომელი და თავისუფლებისმოყვარე ამერიკის წარმომადგენლებია რიჩარდი და დევი, გოდვინსონების ძლიერების წინააღმდეგ ამხედრებული ღარიბები.

ლესია უკრაინკას შემოქმედების თელავური წლების შე-
ჯამებისას ჩვენ ვრწმუნდებით, თუ რაოდენ მჭიდრო კავშირ-
შია მისი შემოქმედება თანამედროვეთა უმნიშვნელოვანეს
საკითხებთან. ბრძოლა მშრომელთა სულიერი დამონების სა-
შუალების, რეაქციის წინააღმდეგ, ბრძოლა ლიტერატურაში
დეკადენტური დამახინჯებების წინააღმდეგ, ბრძოლა ცხო-
ველმყოფელი ხელოვნებისა და ნათელი ჰუმანისტური იდე-
ებისათვის—აი ეს არის ლესია უკრაინკას მიერ თელავში და-
წერილ თუ დამთავრებულ ნაწარმოებთა იდეური შინაარსი.

ლესია უკრაინკა ქუთაისში და ხონში

1

პოეტ ქალს არა ერთხელ დაუჩივლია, მომთაბარე ცხოვრებას ვეწევო. ამის მიზეზი არა მარტო მისი ავადმყოფობა იყო, არამედ ქმრის სამსახურიც გახლდათ, რომელსაც უფროსების ნება-სურვილით მრავალი ადგილის გამოცვლა უხდებოდა. 1910 წელს ცნობილი გახდა, კვიტკა თელავიდან რომელიღაც სხვა ქართულ თუ სომხურ ქალაქში უნდა გადაიყვანონო. პირველად ფიქრობდნენ, რომ სიღნაღში დანიშნავდნენ. უფრო მეტიც, ლესია უკრაინკა დედას სწერს, ჩემი ქმარი სიღნაღში უკვე დანიშნეს, მაგრამ ჯერ „ბრძანება არ მოსულა გადასვლის შესახებო“. * მოგვიანებით გაიგეს, რომ ეს ბრძანება შეცვლილია და კვიტკა ქუთაისში უნდა წავიდეს. 1910 წლის 2/IX წერილში ლესია უკრაინკა იუწყება: „დღეს კ-მ დანიშვნა მიიღო ქუთაისში! (იგივე თანამდებობაზე, რაც აქ ჰქონდა), ისე რომ ამ თვის დამლევამდე აქაურობას გავეცლებით“.

იმავდღეს პოეტი ქალი დაწვრილებით სწერს ოლენა პჩილკას ახალი დანიშვნის ამბავს, სწერს ქუთაისის ჰავის შესახებ, რამდენად ხელსაყრელია გადასვლა და ან რა უშლით ხელს: „ჰოდა, ჩვენი პერსპექტივები ნათელი ხდება. უკვე ქუთაისში მივდივართ — „დანიშვნა“ უკვე მივიღეთ... მე შიგ კოლხეთის გულში ვიცხოვრებ, რადგან სწორედ ქუთაისი უნდა იყოს ის ადგილი, სადაც არგონავტებმა ოქროს ვერძი მოიტაცეს მდინარე რიონიდან. ძველად მას „ოქროს“ მდინარეს ეძახდნენ, რადგან მაშინ იქ ოქროს კვიშას პოულობდნენ (ახლა იშვიათად თუ პოულობენ, ისიც

* წერილი დედას, 1910 წ. 10. VI

შესართავთან). იქო, აპბობენ, ხალხს ახლაც მეტად უყვარს ბერძნული სახელები. განსაკუთრებით იაზონ (ეს სახელი საქართველოში მეტად გავრცელებულია, მხოლოდ იოსონს გამოთქვამენ, რაც, მგონი, უფრო სწორი უნდა იყოს). ქუთაისში, ალბათ, ძალიან ეთბილება (როგორც იალტაში, ან უფრო მეტად), მხოლოდ ნესტიანია, მაგრამ რას იზამ, მშრალ ადგილებში აქ ყველგან ან ძალზე ცივა (მთებში), ან მეტად არათანაბარი ჰავა იცის, როგორც ერევანში, და ცხოვრების პირობებიც ცუდია. ქუთაისიდან კი გამგზავრება მაინც ადვილია, თუ სადმე დაგვჭირდა. ბათუმამდე 4 საათი უნდა, იქიდან კი, საითაც გინდა, ზღვით წადი“.

იმავე წერილში ლესია უკრაინკა იტყობინება, თუ როდის აპირებს გამგზავრებას: „ორიოდე კვირის შემდეგ აქედან უნდა დავიძრაო“. სინამდვილეში თელავიდან ქუთაისში გადასვლა 1910 წლის 10 ოქტომბერზე ადრე ვერ მოხდებოდა. გამგზავრების ზუსტი თარიღის დადგენა არ ხერხდება. ჟურნალ „ლიტერატურნო-ნაუკოვი ვისნიკის“ რედაქციაში 28 ოქტომბერს გაგზავნილი წერილის მიხედვით ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ „ახალ ადგილზე გადასვლამ და ორმა მძიმე ავადმყოფობამ გადასვლამდეც და გადასვლის შემდეგაც“ პოეტი ქალის ჯანმრთელობაზე იმოქმედა. ხოლო დედისადმი ორი დღით უფრო გვიან მიწერილ წერილში ჩვენ ვკითხულობთ: „ჩამოსვლის მეორე დღესვე ავად გაეხდი და სასტუმროში 10 დღე დავრჩი, ვიდრე ადგომასა და დაქირავებულ ბინაში გადასვლას შეეძლებდი“.

ქუთაისში გადასვლამ დიდი ხარჯები გამოიწვია და ლესია უკრაინკა აუტანელ მატერიალურ პირობებში აღმოჩნდა. პოეტი ქალი დედას წერილში სწერს, ბევრი ფული მეხარჯებაო. და გაკვრით ამბობს, რომ ქმრის ჯამაგირის იმედით „კავკასიაში შიმშილი და სიცივე არ ასცდებათ“. მდგომარეობა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ პოეტმა ქალმა უარი თქვა თბილ ქვეყნებზეც, სადაც ყოველ წელს მიემგზავრებოდა, და ქმარს ეხმარება მუშაობაში, ქალაქლების გადაწერაში: „კლიონია აქ ისეთ კატორღაში მოხვდა, რომ ძალიან მაწუხებს მისი ამბავი და, რითაც შემოიძლია, ვეხმარები. ისე რომ

ორივე დიდ გასაქირში ვართ*. * ქმრის დახმარების მიზნით ის მანქანაზე ბეჭდვასაც სწავლობს.

ქუთაისში ლესია უკრაინკა თბილისის ქუჩაზე ხაბურზა-ნიას სახლში ცხოვრობდა. ამ მისამართს სწერს დედას წერილში (სახლს ნომერი არა იქვსო). ამას ადასტურებს კ. კვიტკა ლესია უკრაინკას დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში: „1910-11 წლების ზამთარი ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ხაბურზანიას სახლში (აქ ლესია უკრაინკას, როგორც ჩანს, არაფერი დაუწერია)“. ეს სახლი დღესაც დგას, ახლანდელი მისამართია — კიროვის ქუჩა, I ჩიხი, № 9.

ო. კობილიანსკაიასადმი მიწერილ წერილში ლესია უკრაინკა ასახელებს თავის შემოქმედებაში დროებით პაუზის მიზეზს: „ამ შემოდგომაზე ძალზე ცუდად ვიყავი, ახალ წელს კი ჩემმა ქმარმა ლამის გამომიტირა, მაგრამ ჯერჯერობით ისევ ცოცხალი ვარ...“

მიუხედავად მძიმე ფინანსიური მდგომარეობისა, ჯანმრთელობის გაუარესებამ პოეტი ქალი აიძულა თბილ ქვეყნებში წასვლაზე ეფიქრა. 1911 წლის 8.II საზღვარგარეთის პასპორტი მიიღო და, როგორც ამ პასპორტის აღნიშვნიდან ჩანს, 14 იანვარს ბათუმიდან ეგვიპტეში გაემგზავრა. „ბათუმამდე და გემამდეც კლიონიამ მიმაცილა, ეს კი დიდი საქმე იყო, რადგან მე მარტო იმ თოვლში გემამდეც ვერ მივიდოდი. კლიონიამ კი ვიღაც კაცები მონახა და იმათ გზა გამიკვალეს...“**

1911 წლის 19 აპრილს ლესია უკრაინკა სამშობლოში დაბრუნდა. მაისამდე ყირიმში დარჩა. მაგრამ უკვე 27 მაისს სევასტოპოლიდან ო. კობილიანსკაიას სწერდა: „თუ წერილს მომწერთ, აი ამ მისამართით: ქუთაისი, კოზაკოვის ქუჩა, კოზაკოვის სახლი, ვასილევის ბინა“. „კოზაკოვის ქუჩაზე კოზაკოვის სახლში (თუ სადგურიდან ცენტრისკენ წახვალ, თბილისის ქუჩიდან მარცხნივ იქნება)“ ლესია უკრაინკამ მთელი ზაფხული გაატარა, ხანდახან თუ მთებში გავიდოდა სა-

* წერილი მ. კრივინიუკს, 22. XII, 1910 წ.

** წერილი დედას 1911 წლის 21. I (3. II).

სეირნოდ ცხენებით. (ახლა ეს მიხა ცხაკაიას ქუჩაა № 9 და შიგ კალაქის ტუბდისპანსერია მოთავსებული). აქვე დასწერა მან თავისი გენიალური პოემა „ტყის სიმღერა“. როგორც წერილებიდან ჩანს, ლესია უკრაინკას ქუთაისი მოსწონებია და მუდმივ სამყოფელ ადგილად აურჩევია. იალტისა და ქუთაისის შემოდგომის შედარებისას უპირატესობას უკანასკნელს აძლევდა, ხოლო ქალაქზე და მდინარე რიონზე წერდა: „ეს ქალაქი ცუდი არ არის, მდინარე და მიდამოები კი მშვენიერია“.

ქუთაისში ლესია უკრაინკა ადგილობრივ მოწინავე ინტელიგენციას გაეცნო. კვიტკების ოჯახს სიხარულით იღებდა სტუმრად ადგილობრივი ინტელიგენცია. ცნობილი საზოგადო და კულტურის მოღვაწის, მწერლისა და პედაგოგის სილოვან ხუნდაძის ცოლის გადმოცემით ლესია უკრაინკა ზუღაძემ სასურველი სტუმარი იყო მათ ოჯახში. სილოვან ხუნდაძე საღამოობით კარგა ხანს საუბრობდა მასთან უკრაინელი და ქართველი ხალხების ბედის შესახებ. სილოვან ხუნდაძე ამასთან ქართულ ენასაც ასწავლიდა ლესია უკრაინკას.*

სილოვან ხუნდაძე ქუთაისში ქართული გიმნაზიის ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობდა და ამავე გიმნაზიაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. იგი აგრეთვე პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ფილოლოგი გახლდათ. ს. ხუნდაძე ლიტერატურულ, პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობის გარდა აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თანამედროვენი ს. ხუნდაძეს დიდ პატივს სცემდნენ მისი უმწიკვლო პატიოსნებისა და პირდაპირი, გაბედული აზრების გამო. ლესია უკრაინკას სილოვან ხუნდაძე მოწინავე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლად მიაჩნდა.

ბ. ვ. ხუნდაძის გადმოცემით, ლესია უკრაინკა ხშირი სტუმარი იყო ს. ხუნდაძის ოჯახის, სადაც მას დიდი სიხა-

* ცნობები ლესია უკრაინკას ნაცნობობაზე სილოვან ხუნდაძის ოჯახთან ამოღებულია ლევან ასათიანის წერილიდან „ლესია უკრაინკას ქართული მეგობრები და ნაცნობები“, მასვე ადასტურებს ბ. ვ. ხუნდაძესთან საუბარიც 1925 წ. 28, XI.

რულით ხედებოდნენ. ლესია უკრაინკას ნაცნობთა წრეში იურისტები და სასამართლოს მუშაკებიც იყვნენ. შესაძლებელია, რომ პოეტ ქალს ვეჭილი მარტიანის სახე ამავე სახელწოდების დრამიდან ქუთაისელ ნაცნობთა წრიდან ვინმემ შთააგონა. ყოველ შემთხვევაში, ამ ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის არჩევის ფაქტი იურისტთა წრიდან დაკავშირებულია ლესია უკრაინკას ქუთაისელ ნაცნობებთან.

ბარბარე ხუნდაძის მოგონებებიდან ჩვენ ვიცით. რომ ქუთაისში ცხოვრების ხანს ლესია უკრაინკა ხშირი სტუმარი ყოფილა რევოლუციური მოღვაწეობის გამო კავკასიაში გადმოსახლებული ორი დის ოჯახში. პოეტი ქალი მათ კიევიდან იცნობდა. ეს ფაქტი ამტკიცებს ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა ვარაუდს, რომ უკანასკნელ წლებშიც პოეტ ქალს კავშირი ჰქონია რევოლუციონერებთან.

თანამედროვეთ ახსოვთ, რომ ლესია უკრაინკა ქუთაისის გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში დადიოდა, აინტერესებდა მკითხველთა მოთხოვნები. ამავე გაზეთში მოღვაწეობდა სილოვან ხუნდაძეც. როგორც ჩანს, პოეტ ქალს სურდა უფრო ახლოს გაცნობოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას და გაზეთის მუშაობაშიც უნდოდა თავისი ლიტერატურული წვლილი შეეტანა.

უფროსების ნება-სურვილზე დამოკიდებულ კ. კვიტკას მოკლე ხანში მოუვიდა ცნობა, რომ ის ქუთაისთან ახლოს მდებარე ქალაქ ხონში (ახლანდელ წულუკიძეში) არის გადაყვანილი სამუშაოდ.

როგორც ეტყობა, ლესია უკრაინკას არ უნდოდა ქუთაისის დატოვება. ის სინანულით სწერს დედას 1911 წლის 3 ივლისის წერილში: „თვენახევარი-ორი თვის შემდეგ უკვე ხონში („ქართულ ათენში“) გადავბარგდებით, რადგან გარკვეული ცნობა მოვიდა, კვ-ს იქ ნიშნავენო. მე ყოყმანში ვარ, გავყვე თუ არა მთებში, — ფული ცოტა გვაქვს, ყოველ შემთხვევისათვის კი ზამთარიც საფიქრებელ-საზრუნავი გვაქვს, გარდა ამისა ცხენით დიდ გზაზე მგზავრობისაც მეშინია (მთებში სხვანაირად ვერ ახვალ)...“

მიუხედავად ამისა, პოეტი ქალი მაინც იძულებულია წავიდეს. აღვილი შესაძლებელია. რომ რაკი მთაერობამ პოეტ ქალს აშკარა სიმპათიები შეამჩნია ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულებაც შენიშნა მისდამი, მოერიდა ერთ ქალაქში მის დიდხანს გაჩერებას. ასე იყო თუ ისე, 1911 წლის სექტემბერში პოეტი ქალი უკვე ხონშია. 15 სექტემბრის წერილში ის წერს: „ჩვენ უკვე ხონში გადავედით. ხონი დიდ სოფელს უფრო ჰგავს, ვიდრე დაბას, რადგან აქ ბევრი ბალები, ბოსტნები და დიდი მწვანე ეზოებია, სახლები კი მეტწილად მუშანურია, კავკასიური ტიპის დიდი აივნებით. მე, ჩემდა თავად, ხონი მომწონს...“

როგორც დისადმი მიწერილ წერილში ჩანს, ხონში ისინი 1911 წლის 3 სექტემბერს გადასულან. გამგზავრების წინ ლესია უკრაინკამ თავის დას ხელნაწერებითა და წიგნებით საესე ორი სკივრი გაუგზავნა. ეტყობა, საბოლოოდ დაეკარგა იმედი ერთ ადგილზე მშვიდი ცხოვრებისა.

ხონმა პოეტ ქალს მშობლიურ ეოლინოს მიდამოები, კოველის მაზრის სოფელ კოლოდიაენოეში გატარებული ბავშვობა, ქალაქი როენო (ახლა უკრაინის სსრ საოლქო ცენტრი) მოაგონა: „ხონი ცოტა მიგდებული ადგილია, მაგრამ ისე არა უშავს რა—ბევრია ბალები, დიდი მწვანე ეზოები, ჰორიზონტზე მთებია ჩამწკრივებული, თუშცა თვითონ, როგორც როენო ან როგორც კოლოდიაენოე, ვაკე ადგილია. კოლოდიაენოე იმ შარაგზამაც მომაგონა, რომელიც ქუთაისიდან მოდის, რადგან ორივე მხარეზე თხრილები მიჰყვება. თვითონ ხონიც თხრილებითა და ქებით არის სავსე. ერთი სიტყვით, კავკასიის დიდი კოლოდიაენოეა (ფართობი 30 კვ. ვერსია)“ *

ხონის ჰავამ კარგი გავლენა იქონია ლესია უკრაინკას სუსტ ჯანმრთელობაზე. „ხონში რატომღაც უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე ქუთაისში, ორც ერთხელ დიდი სიცხე არ მოუცია.—სწერს ის დედას.—წყალი აქ თხრილებში დამდგარი კი არ არის, მეტად სწრაფიარ რადგან მთის ჩქარი მდინარი-

* წერილი ო. პ. კოსაჩ-კრივინიუკს, 1911 წ. 5.IX.

დანაა გამოყვანილი, არც ნისლს აყენებს და არც კაობს აჩენს. შეიძლება ამიტომაც არაა მავნებელი. შემოდგომა აქ ზაფხულს სჯობია, იქნებ ამიტომაც ვგრძნობ უკეთ თავს, რადგან მთელი ზაფხული წვიმები არ შეწყვეტილა*.

ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე პოეტი ქალი ორი თვის შემდეგაც იწერება: „წელს ჯანზე უკეთ ვარ, იქნებ ზამთარიც როგორმე კატასტროფის გარეშე გავატარო, ისე რომ ხონზე სამდურავი არ მეთქმის“.

ხონში ლესია უკრაინკა ფარცხალაძის ბინაზე** ცხოვრობდა. ჯანმრთელობის გაუმჯობესებამ პოეტი ქალის შემოქმედებაზეც იქონია გავლენა. ხონში დაწერა მან ცნობილი დრამატიული პოემა „ვექილი მარტიანი“. უფრო ადრე ქუთაისში ლესია უკრაინკამ უმოკლეს ხანში დაამთავრა „ტყის სიმღერაც“, ისე რომ, პირდაპირ საოცარია ლესია უკრაინკას შემოქმედებითი ენერგია და პოეტური გენია. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ რამდენიმე თვის შემდეგ პოეტმა ქალმა ახალი შედეგები — დრამა „ქვის მასპინძელი“ შექმნა.

მეფის სატრაპების ახირებას საზღვარი არ ჰქონდა. კვიტკა ისევ ძველ ადგილზე გადაიყვანეს ქუთაისში. როგორც ლესია უკრაინკა სწერს თავის დას, ისინი 1912 წლის 21 იანვარს ხონიდან ქუთაისში დაბრუნდნენ.

მართალია, პოეტი ქალი მეტად უკმაყოფილო იყო გადასვლით, მაგრამ მაინც ცდილობს ადგილსამყოფელის შეცვლაში რაღაც საიმედო და საამო ჰპოვოს: „ჩვენ უკვე ქუთაისში გადმოვედით და, როგორც იქნა, მოვეწყვეთ... ბინა აქ მშრალი და თბილია, პირით სამხრეთისაკენაა მიქცეული. სახლი მთაზე დგას, მდინარის მოშორებით. აქ ნამდვილი გაზაფხულის დარი დგას“***.

1912—1913 წლებში ლესია უკრაინკა ქუთაისში ცხოვრობდა და ჯაიანის შესახვევში (ახლა მახარაძის ქუჩის მე-3 შესახვევი) სამი სახლი გამოიცვალა. სახელდობრ: ჩხეიძის სახლი (ახლა № 8), ჯაიანის სახლი (ახლა № 2) და ქი-

* წერილი დედას, 1911წ. 9, X.

** იმ ადგილზე, სადაც ფარცხალაძეების სახლი იდგა, სახლის პატრონებმა ახალი ააშენეს.

*** წერილი დედას, 1912 წ. 25, I

ქოძის სახლი (ახლა № 10). ლესია უკრაინკას უკანასკნელი ბინა ქუთაისში მეორე სართულზე მდებარეობდა. აქ დასწერა მან თავისი უკანასკნელი დრამატული ნაწარმოებები („ქვის მასპინძელი“), და აქედანვე, უიმედოდ ავადმყოფი, გაემგზავრა სურამში. პოეტი ქალი რომ ამ ზემოთაღნიშნულ ბინებში ცხოვრობდა, დასტურდება ნ. ლორთქიფანიძისა და ბ. ხუნდაძის მოგონებებით და აგრეთვე პოეტი ქალის წერილებითაც.

ამ პერიოდის წერილებში პოეტი ქალი შედარებით ნაკლებ ეხება ქუთაისში ცხოვრების პირობებს, მის მიდამოებს და ბუნებას. მაგრამ თავის წერილებში გაკვირვებით იწერება მაინც, რომ ცხოვრება ძვირია, რომ გარეშე საქმეებს ბევრი დრო მიაქვს და რომ დამოკიდებულია აგრეთვე იმ გამომცემლებზე, რომლებიც ისედაც მცირე ჰონორარს დროზე არ უგზავნიან.

მიუხედავად გაკვირვებისა — პოეტი ქალი ხანდახან იძულებულია ხოლმე თეთრ პურზეც უარი თქვას, — ლესია უკრაინკა მაინც არ ჰკარგავს სიმხნევეს, გატაცებით მუშაობს თავის ახალ ნაწარმოებებზე. 1912 წლის 3 მაისს გაგზავნილ წერილში ოპტიმისტური განწყობა იგრძნობა: „ვისაც კავკასია არ უნახავს, უნდა ნახოს, რადგან პოეტები როდი სტყუიან მისი სილაქაზის „განდიდებისას“, ხოლო მატერიალურ გაკვირვებაზე წერა კი პოეტებს არ შეჰფერით (ყოველ შემთხვევაში ლექსებში — კერძო წერილებში დასაშვებია)“.

1912 წლის შემოდგომაზე ლესია უკრაინკას ჯანმრთელობა ისევ გაუარესდა. 25 ოქტომბერს ოდესის ნავსადგურიდან ეგვიპტეში გაემგზავრა. სამშობლოში მხოლოდ 1913 წლის 23 აპრილს დაბრუნდა, ოდესის ნავსადგურის გავლით. ლესია უკრაინკა კიევში ჩავიდა. იქ გულთბილად შეხვდნენ უკრაინული კულტურის მოწინავე წარმომადგენლები, რომელთა რიგებს ერთი წლის განმავლობაში გამოაქლდათ გენიალური კომპოზიტორი ნიკოლოზ ვიტალის ძე ლისენკო და გამოჩენილი მწერალი, მაქსიმ გორკის მეგობარი — მიხაილ მიხაილის ძე კოციუბინსკი.

1913 წლის მაისში ლესია უკრაინკა ისევ ქუთაისში იყო და ჯაიანის შესახვევში, ქიქოძის სახლში ცხოვრობდა. * პოეტი ქალი სიცოცხლის უკანასკნელ თვე-ნახევარში მეტად გასტანჯა მწვავე ტკივილებმა, რაც გამოწვეული იყო უკუჩქვითელი სენით—თირკმელების ტუბერკულოზით. გარდა ამისა, ვერც მატერიალური მდგომარეობა უწყობდა ხელს. თუ რა გაჭირვებაში იყო პოეტი ქალი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, ამტკიცებს მისი წერილებიც: „ნივთებიდან ზოგი რამ გავყიდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ფული არ გვეყოფოდა, ვალით ავსება კი არ მინდა,“ ** —წერდა ის. მაისის ბოლოს ის კვლავ იწერება ნივთების გაყიდვის შესახებ: „ნივთებს ვყიდით, მაგრამ მუშტარს ყოველთვის როდი ვშოულობთ“.

ამასობაში პოეტი ქალის ავადმყოფობა უფრო გამწვავდა, 29 ივნისს კი მეტად ცუდად შეიქნა. ქუთაისელმა ექიმებმა კვიტკას არ დაუმაღეს, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო და ურჩიეს ავადმყოფი სურამში გადაეყვანათ, სადაც მშრალი და სამკურნალო ჰაერი იყო. მაშინვე ტელეგრამით გამოიძახეს ლესია უკრაინკას დედა, რომელიც ქუთაისში 4 ივლისს ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ 29 ივნისის მწვავე შეტევის შემდეგ ლესია უკრაინკა ოდნავ უკეთ გრძნობდა თავს,—ექვი არავის ეპარებოდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. 1913 წლის 9 ივლისს პოეტი ქალი მატარებლით წაიყვანეს სურამში იმ იმედით, რომ ტკივილები შეეშლებოდა და იქნებ უკეთაც გამხდარიყო. იმავე დღეს ისინი სურამში ჩავიდნენ. ბინა ზინდისის გორაზე, რკინიგზელ პაპავას სახლში დაიჭირავეს, საიდანაც მშვენივრად მოჩანდა სურამის ლეგენდარული ციხე.

პოეტ ქალს თავზე ადგნენ დედა, უმცროსი და დორა და სურამელი ქალი სოფია ცუცქირიძე. ექიმი დ. ნ. პაშიკოვი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ავადმყოფისთვის ტკივილები შეეშლებოდა და სიცოცხლის დღეები გაეხანგრძლივებინა. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა დ. ნ. პაშიკოვზე

* ბ. ვ. ხუნდაძესთან საუბრიდან, 1952 წ. 28, X.

** ლესია უკრაინკას წერილი დედას, 1913 წლის 20, V.

ლესია უკრაინკას დიდმა განათლებამ და კულტურამ, მისი მსჯელობის სითამამემ და საოცარმა სიღრმემ, ამ მომხიბლავი ქალის გამჭკრიახმა ქეუამ და დიდმა ნებისყოფამ, როცა ის თავის სენზე ლაპარაკობდა და ტკივილებს უხმოდ იტანდა.*

დ. ნ. პაშიკოვის მოგონებებს ადასტურებს პოეტი ქალის დედის წერილი ო. პ. კოსაჩ-კრივინიუკთან: „ლესიას ორგანიზმი ყველას ატყუებს (ექიმებსაც კი) იმიტომ, რომ ლესია მუდამ სრულ გონებაზეა და ოდნავ შესაძლებლობის პირობებში მუდამ მხნედ და რამდენადაც შეიძლება, მხიარულადაა“.

ლესია უკრაინკას სიცოცხლის უკანასკნელ დღეს სურამში ჩამოვიდა მისი და ოლგა. სწული პოეტი ქალის ირგვლივ ნათესაებმა მოიყარეს თავი.

19 ივლისს, პარასკევ დღეს (ახალი სტილით პირველ აგვისტოს) ამონათა თუ არა მზემ, შეწყდა დიდი უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას (ლარისა პეტრეს ასულ კოსაჩ-კვიტკას) მხურვალე გულისცემა. გიორგი ლეონიძის პოეტური გამოთქმით, ქართულ მიწიდან გაემგზავრა ის მარადისობაში.

ლესია უკრაინკას სიკვდილის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქვეყანას. მისი ცხედარი უკრაინაში წაასვენეს და ქ. კიევში ბაიკოვოს სასაფლაოზე დაასაფლავეს. პოეტი ქალის საპატივსაცემოდ უკრაინის ყველა კუთხიდან კიევში ჩამოვიდნენ მუშათა და გლეხთა დელეგატები. ცხენოსანი პოლიციის რაზმებმა ვერ შესძლეს ხელი შეეშალათ ხალხისთვის თავიანთი გრძნობები გამოეხატათ. დასაფლავება მძლავრ პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზარდა. და მიუხედავად პოლიციის გააფთრებისა, გვირგვინებზე ცეცხლივით ელავდა წითელი ლენტები, სამგლოვიარო პროცესია რევოლუციური სიმღერებით მიემართებოდა.

მირგოროდელმა მუშებმა მეტად მგრძნობიარე დეპეშა გამოაგზავნეს: „ჩვენამდე მოვიდა სამწუხარო ცნობა. რომ აღარა, გეყავს დიდებული პოეტი ლესია უკრაინკა. პოეტი ქალის სიკვდილის გამო ჩვენ, მუშები, ვიზიარებთ დედა

* დ. ნ. პაშიკოვთან პირად საუბრიდან, 1951 წ. 27, VII.

უკრაინას დიდ მწუხარებას. იძინე მშვიდად, ჩვენო დაო. შენ ადამიანი იყავ და ამაოდ როდი გიცხოვრია ამ ქვეყნად. შენმა მუხამ მუშის გულშიაც ჰპოვა გამოძახილი.

რუსულ, უკრაინულ, ქართულ გაზეთებში დაიბეჭდა დიდი უკრაინელი პოეტი ქალისადმი მიძღვნილი ნეკროლოგები. პოეტი ქალისადმი რუსეთის მთელი მშრომელი ხალხის სიყვარულის გამომხატველი ნეკროლოგი დაბეჭდა ბოლშევიკურმა გაზეთმა „პრავედამ“, რომელიც იმ პერიოდში ცენზურის აკრძალვის გამო „რაბოჩაია პრავედას“ სათაურით გამოდიოდა. პოეტი ქალის რევოლუციურმა მოღვაწეობამ აქ უმაღლესი შეფასება მიიღო: „პრავედამ“ ლესია უკრაინკას „მუშათა მეგობარი მწერალი“ უწოდა.

2

ლესია უკრაინკას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საოცრად ამაღლდა და გაიფურჩქნა მისი შემოქმედებითი ფანტაზია, ფილოსოფიური აზრები და პოეტური გენია. დასავლეთ საქართველოში ყოფნის პერიოდში შექმნილი დრამები „ტყის სიმღერა“, „ვექილი მარტიანი“, „ქვის მასპინძელი“ — რევოლუციამდელი უკრაინული დრამატურგიის და მსოფლიო ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებებია.

დასახელებული ნაწარმოებები გამსჭვალულია თავისუფლებისათვის ბრძოლის, კონსერვატიზმისა და დესპოტიზმზე ჰუმანიური, ნათელი საწყისების გამარჯვების კეთილშობილური იდეით. ეს ნაწარმოებები დაწერილია იმ წლებში, როცა შავი რეაქციის პირობებში რუსეთში უკვე იწყებოდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა. ისინი საზოგადოების მოწინავე ძალთა შეხედულებებსა და მისწრაფებებს გამოხატავდნენ.

ლესია უკრაინკას ყველაზე დიდ ნაწარმოებს, მის პოეტურსა და ფილოსოფიურ შედეგს დრამა-ფეერია „ტყის სიმღერა“ წარმოადგენს.

ლესია უკრაინკას დიდი ხანია ეწადა მხატვრულ ნაწარმოებებში გამოეყენებია უმდიდრესი ხალხური გადმოცემები, რომელსაც ვოლინოში გატარებული ბავშვობის წლებიდანვე

კარგად იცნობდა. ყირიმში და საქართველოში ცხოვრებისას ლესია უკრაინკა დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხური შემოქმედების შესწავლას. მიუხედავად მატერიალური გაჭირვებისა, მან თავის ხარჯზე გააგზავნა ფ. კოლესას ექსპედიცია ბრმა კობზარების მიერ გადმოცემული ხალხური სიმღერების (დუმების) ჩასაწერად.

ვოლინოში გატარებული ბავშვობის წლების შთაბეჭდილებების მიხედვით, სამშობლოს დანატრებულმა ლესია უკრაინკამ გადაწყვიტა დაეწერა „ტყის სიმღერა“. 1911 წლის ზამთარში დედას სწერდა: „მე მგონია, რომ უბრალოდ ჩვენი ტყეები მომაგონდა და მომენატრა, მე ხომ დიდი ხანია ის მაეკა „ფიჭვრებში მყავდა“, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ეაბორიცაში* რალაცას მიაშობობდი მაეკაზე, როცა რომელიღაც პატარა, მაგრამ დაბურულ ფოთლოვან ტყეში მივდიოდით. იმის შემდეგ კოლოდიანოეში მთვარიან ლამეს (თქვენ ეს არც იცოდით) ტყეში გავიქეცი მარტო, რომ მაეკა გამომცხადებოდა. ის ნეჩიმნოეში** გამომეცხადა, როდესაც იქ ლამეს ვათევდიოთ—გახსოვს?—ძია ლეე სკულინსკისთან***... ეტყობა, როდესმე უთუოდ უნდა დამეწერა, ახლა კი „შესაფერი დრო“ მოვიდა. მე თვითონ არ ვიცი რატომ, ამ სახემ სამუდამოდ მომაჯადოვა“.

ახალ ნაწარმოებზე მუშაობა ლესია უკრაინკამ ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყო.

„ტყის სიმღერა“ ძალზე სწრაფად დაიწერა. მას თარიღად 1911 წლის 25.VII აწერია. ამგვარად, დრამა-ფეერიაზე მუშაობას ერთი თვეც არ დასჭირვებია. წერის პროცესს გაცილებით მოკლე დრო მოუწია, სულ 10-12 დღე. ამას ადასტურებს პოეტი ქალის წერილები დედისადმი (1911 წლის 15.IX) და დისადმი (1911 წ. 27.X). ამავე წერილებითვე ვიცნობით პოეტი ქალის სულიერ განწყობილებას გენიალური ნაწარმოების შექმნის დღეებში, ამ დრამაზე მუშაობის პირობებს. „უნდა გამოვტყდე,—წერს ლესია უკრაინკა,—რომ ეს

* ეაბორიცა—სოფელია ვოლინოში.

** ნეჩიმნოე—ვოლინოში ტყის მიჯნა.

*** ნაცნობი გლეხი იყო ვოლინოში, სოფელ სკულინიდან.

ახალი დრამაც (რასაც ახლა გიგზავნით—„ტყის სიმღერა“) ჩემთვის დამაბრკოლებელი გამოდგა. მართალია. ძალზე ცოტა ხანს მოვუნდი—10-12 დღეს, და რომ არ დამეწერა არაფრით არ შემეძლო, მაგრამ იმის შემდეგ ავად გავხდი და „გრძნობაზე მოსვლას“ დიდხანს მოვუნდი“. მეორე წერილში, ღედის შენიშვნების პასუხად, ლესია უკრაინკა სწერდა: „... 10-12 დღე შეუსვენებლივ ვწერდი. შენი შენიშვნები დრამის ფანტასტ. შესახებ სრულიად მართებულია, მაგრამ როცა la folie divine* შეგეყრება, პრაქტიკულ დაკვირვებებს განზე გადადებ—ბუნების შეცვლა ძნელია. სამაგიეროდ ეს folie ქეშმარიტ ბედნიერებას გაგრძნობინებს. ეს კი „რალაცას ნიშნავს“. იმ ამბავს, რომ „ტყის სიმღერაზე“ მუშაობამ შემოქმედებითი სიხარული აგრძნობინა, პოეტი ქალი ა. კრიმსკისაც სწერს: „მე გულიდან არ ამომიღია ვოლინის ტყეები. ამ ზაფხულს მოვიგონე ისინი, მათ „დრამა-ფეერია“ მივუძღვენი, ამან დიდი სიხარულიც მომანიჭა, თუმცა მერე კი ავად გავხდი (უამისოდ უკვე აღარ ხერხდება!)“.

ლესია უკრაინკამ „ტყის სიმღერას“ დრამა-ფეერია, დრამა-ზღაპარი უწოდა. დრამაში მითიური არსებანი მოქმედებენ, უკრაინული ხალხური მითოლოგიიდან ნასესხები. ესენი არიან მავკა და ალი, ტყის კაცი, წყლის კაცი და სხვები. ამ ზღაპრულ სახეებში ასახა ხალხმა თავისი პირვანდელი წარმოდგენები ბუნების ოდესღაც მისთვის მიუწვდომელ, საიდუმლო ძალებზე. ხალხმა ამ მითიურ არსებებს ადამიანის გარეგნული თუ შინაგანი თვისებები მიანიჭა და, გარდა ამისა, ბუნების სტიქიონები—წყალი, ცეცხლი და სნეულებები დაუქვემდებარა. ლესია უკრაინკამ ხალხური თქმულებების მიხედვით შექმნა ისეთი ძლიერი მხატვრული ნაწარმოები და ნაციონალური მითების მხატვრული სახეები ისეთ ფილოსოფიური განზოგადოების სიმაღლეზე აიყვანა, რა სიმაღლეც არც ერთ უკრაინელ მწერალს არ აუყვანია. ლესია უკრაინკას ძლიერ უყვარდა და აფასებდა ხალხურ თქმულებებს „მამა-პაპათა რელიგიას“. ლესია უკრაინკა ბუნებაზე და მშვენიერებაზე ხალხური პოეტური წარმოდგენების დამახინჯების

* ღვთაებრივი სიზმავ.

წინააღმდეგ გამოდიოდა და ხელოვნებაში დეკადენტურ, ანტიხალხურ მიმდინარეობებს ებრძოდა. მისი „ტყის სიმღერა“ ხალხური გადმოცემების წიაღიდანაა გამოსული და მასში ხალხის თავისუფლებისმოყვარე პოეტური გენია ელერს.

დრამაში ორი მოწინააღმდეგე ძალა მოქმედებს. პირველი—ნათელი, თავისუფლებისმოყვარე, სინათლის ბნელზე გამარჯვების, სიკვდილის ძლევის დამამტკიცებელია. მისი მოწინააღმდეგე—ბნელი, მტრული ძალაა. ეს—რეაქციული, გამხრწნელი ძალაა, რომელიც ცდილობს ადამიანის დამონებას. მასში ბრძოლის, სინათლის, მშვენიერების, სიცოცხლისადმი მისწრაფების ჩაკვლას. ამ ბრძოლაში იხსნება კიდევ ნაწარმოების ძირითადი ფილოსოფიური იდეა, ნაწარმოების იდეა სინათლის მიერ ბნელის ძლევის, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების იდეაა. ეს ღრმა ფილოსოფიური ცნებები ცოცხალ სახეებში, მათ რეალურ შეჯახებებში, წინააღმდეგობათა გადალახვაში იხსნება. მეფის რეაქციის პირობებში პოეტმა ქალმა დაუძლეველი რწმენა შეინარჩუნა იმისა, რომ კაცობრიობის ჰუმანიური იდეალები თვითმპყრობელობის ბნელ ძალებზე გაიმარჯვებენ.

დრამა პროლოგით იწყება. პოეტი ქალი ვოლინოს ტყის პეიზაჟს ხატავს: „ძველისძველი, საუკუნოვანი უღრანი ტყე ვოლინოში, ტყის შუაგულში ვრცელი მინდორი, მტირალა ძეწნით და ბებერი მუხით. მინდორის პირას ზოგან ბუჩქებია და ლერწამი. ერთ ადგილას მოჩანს ღია მწვანე ფერის ქაობი—ეს ტბის სანაპიროა. ტევრიდან გამოვრბის ნაკადული და ერთვის ტბას, შემდეგ ტბის მეორე მხარეს, ნაპირზე ხელახლა გადადის და იკარგება შამბნარში. ტბა წყნარადაა. ალაგ-ალაგ იგი დაფარულია ოთხყურა მცენარეებით და ღუმფარებით. შუაში სუფთა ობი აქვს მოდებული. ადგილი ველურია, საიდუმლოებით მოცული, მაგრამ იქაურობა მწუხარების აღმძვრელი როდია, პირიქით, მთელი არემარე სავსეა სინაზით, მღუმარე ტყის სილამაზით“.

ამ პეიზაჟის ფონზე, წლის დროების შეცვლის შესაფერი-სად, ვითარდება მთელი დრამა-ფეერიას მოქმედება.

პროლოგს მკითხველი შეჰყავს ბუნების წიაღში: გაზაფხულია, მოჩუხჩუხებს ნაკადულები, ამწვანდა ხეები, ძილს თა-

ვი ანებებს ალებმა. წყლის კაცმა გამოაჩინა თავისი ყოვლის-
შემძლე ძალა.

პირველ მოქმედებაში მავკასა და გლეხის ბიქს ლუკას
შორის ილვიძებს სიყვარული.

შემდეგი მოქმედება — ზაფხულის მიწურულია. აქა-იქ უკვე
აჩნია მოახლოებული შემოდგომის პირველი ნიშნები. ტბის
პირას მოვიდნენ ადამიანები, აქ დასახლდნენ და თავიანთი
ჩოჩქოლი შემოიტანეს. ყოველდღიურმა კერძო მესაქუთრულმა
ინტერესებმა გაიტაცეს ლუკაშიც. ის გრძნობაში ძუნწი, თავ-
შეკავებული ხდება. მან, გააგდო მავკა და ცოლად მოიყვანა
ქვრივი კილინა. ლუკაშის ცხოვრებაში, მავკას გრძნობებში დად-
გა შემოდგომა და თან მოიტანა ცივი წვიმები, დამკვნარი
ფოთლები და გამკვალავი ქარი.

მესამე მოქმედება. „მთლად ღრუბლიანი და ქარიანი შე-
მოდგომის დამეა. მთვარის უკანასკნელი ყვითელი ანარეკლი
ქრება ხეთა შიშველი ტოტების ქაოსში, ტყე ხმაურობს. ქო-
ტი კივის. უცებ ყველაფერი იფარება გაბმული, შიშისმომგვ-
რელი მგლური ღმუილით, ის თანდათან უფრო და უფრო
ძლიერდება და მერე ერთბაშად წყდება, ჩამოვარდება სიჩუ-
მე. იწყება გვიანი შემოდგომის უხალისო განთიადი“.

მაქციასავით დაძრწის ტყეში ლუკაში, საზარელი ავსულე-
ბი შემოერთებებიან კილინას ქოხსა და ეზოს. წამით კვლავ
იფეთქებს მავკასა და ლუკაშის განვლილი ბედნიერება, ის
კვლავ ხედავს მავკას, უკრავს მისთვის ხალხური სიმღერების
უტკბილეს მოტივებს. საზამთროდ მიყუჩდება მავკაც; ცეცხ-
ლი ედება კილინას კარ-მიდამოს, რომელიც იძულებულია
ბავშვებიანად სოფელში წავიდეს, მას უკან ავსულები მიჰყე-
ვიან. ლუკას უკანასკნელად გამოეცხადება მავკა „საოცარი
მშვენებით და ვარსკვლავების გვირგვინით“, მერე ყველაფერს
თოვლი დაედო და ზამთარი დაიწყო.

თითქოს ყოველივე ცოცხალს, მებრძოლს მოედო ბოლო,
ყოველივე დაფარა თოვლმა. ადამიანებსაც ხომ უბედურება და-
ატყდათ თავს, მოკვდა პაპა ლევი — ტყის საიდუმლოთა მცოდნე;
გამოუვალ გაქირვებაში არიან ჩავარდნილი კილინა და ლუ-
კაშის დედა. უბედური გამოდგა მავკას სიყვარულიც ლუკა-

შისადმი; ლუკაში ტყეში გაიყინა: მაგრამ მავკას „გულში ცოცხლობს ის, რაც არ კედება“, — გაზაფხულზე ის მწვანე ბზად იქცევა და ახლა სხვები მიუგდებენ ყურს ბზის ტოტების შრიალს, ბზის სალამურის კენესას და სხვები იმღერებენ სიმღერის ჰანგებს. სიცოცხლეს ვერ ჩაკლავ, როგორც ვერ ჩაკლავ თავისუფლების, ბედნიერების, შემოქმედებისა და სიყვარულისადმი ადამიანის უკვდავ მისწრაფებას.

ლუკაშის სალამურის კენესა მავკას ზამთრის ძილისაგან გამოათხიზლებს. გმირი ქალის პირველივე გამოჩენით დრამაში პოეტი ქალი ხაზს უსვამს, რომ ბუნების შემოქმედებითს ძალებს სიცოცხლისათვის აღვიძებს ადამიანი.

მავკას მტკიცედ სწამს, რომ თავისუფლება არ მოკედება, რომ თავისუფლება სიცოცხლის აუცილებელი პირობაა და სწორედ ეს ანსხვავებს მას სხვებისაგან. და როცა მავკამ შეიყვარა ლუკაში, მისი გრძნობა ღრმა და ძლიერია, ეს თავისუფალის მიერ თავისუფალის სიყვარულია. მავკას ჯერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება რაღაც გარეშე ძალა ჩაერიოს მის სიყვარულში.

ლუკაშის სიყვარულმა მავკა სულ სხვა სამყაროს გააცნო: ყველაზე უფრო მავკა ლუკაშის ქოხში მძიმე შრომამ გააოცარის წყალობითაც ცოლს მოჯამაგირის მდგომარეობა უქირავს. მავკა მალე მიხვდა, რა წინააღმდეგობა არსებობს ადამიანის დიდებულ მოწოდებასა და იმ საშინელ სოციალურ პირობებს შორის, რაშიც ლუკაში ცხოვრობს. მავკა ლუკაშს ეუბნება:

არა, არ გყვედრი, მხოლოდ მაწუხებს.
რომ შენ არ ძალგის შენი ცხოვრება
შენს მოწოდებას გაუთანაბრო.

(თარგმანი რ. გვეტაძისა)

მავკა ვერ შეეჩვია კერძო მესაკუთრული სამყაროს პირობითობას, რაც ლუკაშში მის შესანიშნავ თვისებებს ახშობს. მავკას გრძნობა ლაღი გულის მოთხოვნებისაგან წარმოიშობა, ლუკაშის ნებისყოფა კი ამ პირობითობას შეუბოჰავს და მისი მონა გამხდარა, ამიტომაც მავკას სიტყვებზე:

ან სირცხვილია, რომ ჩემი გული
ძუნწი არაა და განძს არ მალავს,
და ასაჩუქრებს უზვად სასურველს
მისგან საწინდრის მიუღებლადაც?

(თარგმანი რ. გვეტაძისა)

— ლუჯაში ქალისათვის გაუგებარი სიტყვებით პასუხობს: „იმე-
დი მქონდა, ეალს მერე გადავიხდიდიო“. მაეკა ვერ მიმხვდა-
რა, როგორ შეიძლება გრძნობამ მადლობა მოითხოვოს. ამ-
გვარად, მაეკას მოკმედებით პოეტი ქალი ანგარიშზე აგებული,
კერძო მესაკუთრული საზოგადოების მორალს ჰკიცხავს.

მაეკას შეუძლია გულწრფელი და ერთგული სიყვარული,
მაგრამ სიყვარულისთვის ბრძოლა კი არ ძალუძს.

მაეკას ასეთი მორჩილი სიყვარული მეტად ამგვანებს მას
ცოტა მოგვიანებით დაწერილი დრამის „ქვის მასპინძლის“
გმირს დოლორესს, ამგვანებს კასანდრასაც (ლესია უკრაინკას
ამავე სახელწოდების დრამიდან), რომლისთვის ღმერთს ბევრი
რამის განქვრეტის უნარი მიუცია, მაგრამ ბრძოლა კი არ
შეუძლია.

ტყის კაცი მაეკას უსაყვედურებს, რად მიატოვა მან თა-
ვისუფლების მწვერვალები:

დატოვე დიდი შენ მწვერვალები
და წვრილ ბილიკზე დაეშვი დაბლა,
ვის ჰგავხარ ახლა? უბრალო მსახურს,
მსახურს, რომელსაც გარჯით უნდოდა
ეპოვა მცირე ბედნიერება,
მაგრამ ვერ შეძლო... მხოლოდ სირცხვილი
ჯერ კიდევ უშლის იქცეს მათხოვრად.

(თარგმანი რ. გვეტაძისა)

მაეკას სიყვარულის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ
ის ადამიანის მონა გახდა, რომ ის, „ტყის მეფის ასული,
შავნაწნავეებზე დადგმულ ვარსკვლავების გვირგვინით“, მო-
სამსახურედ იქცა.

ტყის კაცი მართალს ეუბნება მაეკას, ჯერ ყველაფერი არ
დაგიკარგავსო.

ბუნება შემკულია ნაირფერ სამოსელში, მხოლოდ მაეკას
აცვია „მათხოვრული სამოსი“. მაეკამ უნდა გაიძროს ეს

„მათხოვრული სამოსი“, ესე იგი გადაიგდოს დამცირებისა და მონობის უღელი, რაც მის ნაცნობ ადამიანებს აღევთ კისერზე. მაგრამ არა სწორი იქნებოდა ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქო პოეტი ქალი საერთოდ ერთმანეთს უპირისპირებს ადამიანებსა და ბუნების მოვლენებს. თუ მაეკა, ალი. ტყის კაცი, „ის, ვინც საგუბარს არღვევს“ ანსახიერებენ ბუნების ნათელ მოვლენებს, მაშინ კუცი, პერელესნიკი, „ის, ვინც კლდეში ზის“ ბნელი, მტრული ძალების სიმბოლოებია.

როცა გამოჩნდება „ის, ვინც კლდეში ზის“ და მოინდომებს მაეკა სიბნელისა და სიკვდილის სამეფოში წაიყვანოს, მაეკა პროტესტს განაცხადებს. მას მოაგონდება, რომ პირველ ყოვლისა ის ცოცხალი არსებაა. მაეკა აგზნებით უმღერის თავისუფლებას, სიცოცხლეს. სიბნელის მეუფესთან შებრძოლებისას მაეკა შესანიშნავ სიტყვებს ამბობს: „არა, მე ცოცხალი ვარ. მე მუდამ ვიცოცხლებ, გულში მაქვს ის, რაც არ კვდება!“ და ზოლოდ ლუკაშის ლალატი, ცოლად კილინას მოყვანა მაეკას სიბნელის მეუფის წინაშე ფარხმალს დააყრევინებს.

ტყის კაცი სასტიკად ჰკიცხავს მაეკას, რომ მას ასე თავდადებით უყვარს ის არსება, რომელმაც მაეკას გულისნადების სილამაზე და დიდებულება ვერ დააფასა:

ტყის შვილი იყო—ალარ ზარ ღირსი!
შენ დაგიკარგავს ტყიური სული,
უკვე გამხდარხარ მონა სოფლისა.

(თარგმანი რ. გვერამისა)

მაგრამ ტყის კაცს არ ესმის, რომ მაეკას ადამიანებისავენ დიდსულოვანი ბუნება ეწევა, რომ მას იზიდავს ის შესანიშნავი ადამიანური თვისებები, რაც ლუკაშს ახასიათებს. მაეკა იმათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც ერთგულია იმ ადამიანებისა, რომლებსაც მათი დახმარება სჭირიათ და კაცობრიობის ჰუმანური რღვალები ხატად გაუხდიათ. ასეთი ბუნების გახლდათ თვით ლესია უკრაინკაც. ამიტომ ტყის კაცის კითხვაზე: „რად დაგვტოვე ამ უემურ ქვეყნისთვის, განა შენს მშობელ მხარეში თავდავიწყებას და სიმშვიდეს ვერ იპოვიდი?“— მაეკა უარყოფით პასუხს აძლევს. მან ადამიანში დაინახა ის,

რაც ტყის კაცმა ვერ შეამჩნია; მისთვის მთელ სამყაროს ხომ მარტო ტყე შეადგენს. მავკას არ ძალუძს ადამიანთა გარეშე არსებობა. მხოლოდ ლუკაშის მოსვლა, მასში კვლავ ადამიანური თვისებების გაღვიძება გამოაფხიზლებს მავკას დავიწყებისა და ძილისგან. ლუკაშმა მავკას სწორედ ისეთი გრძნობები შთაუბერა, რაც ტყის ასულს აკლდა. პოეტი ქილი ამით ხაზს უსვამს ადამიანისა და ბუნების განუყრელ კავშირს.

როცა ხალხს შეხვდა მავკა, მისმა ბედმა ტრაგიკული იერი მიიღო, მაგრამ მის ტრაგედიაში ბრალი არც ლუკაშს მიუძღვის და არც სხვა ადამიანებს. დამნაშავეა მხოლოდ ის, რაც ლუკაშის ქოხთან ერთად დაიწვა. ეს გახლავთ ადამიანის კერძო მესაკუთრული ინსტინქტები, რომელმაც დაიმონა ლუკაში და რომელმაც დაარღვია ორი ადამიანის დამოუკიდებელი ბედნიერი სიყვარული. პოეტ ქალს მტკიცედ სწამდა, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ადამიანი უნდა იყოს და იქნება კიდევ თავისუფალი. მავკას უკანასკნელ მონოლოგში ისახულია სამყაროს მატერიალისტური გაგება, მატერიის მარადიულობა, ის, რომ ცხოვრებაში უკვალოდ არაფერი იკარგება:

ნუ გენანება შენ ჩემი ტანი,
გიზგიზა ცეცხლით იგი გაბრწყინდა
და აელვარდა, ვით ღვინო წმინდა,
მწველ ნაპერწკლებად ცად ანატანი.
ის მსუბუქ ფერფლად იქცევა მყისვე,
როს მშობელ მიწას დაუბრუნდება.
ახალ ძეწნის ხედ გაზრდის ბუნება,
შობს ჩემი ბოლო სიცოცხლეს ისევ.

(თარგმანი რ. გვეტაძისა)

სიმღერები და ჰანგები კვლავ გააცოცხლებენ მავკას; სალამურზე ის უკრავს ყველა იმ სიმღერას, რასაც ერთ დროს ლუკაში უკრავდა. ლუკაშის სიმღერები — ხალხის სულის მთელი სიმდიდრეა და ამ სიმღერებში მოჩანს თვით ლუკაშის სულიერი სილამაზეც.

ის იღეა, რომ ხელოვნება — შემოქმედებითი ძალაა, რომ ხელოვნებაში ისახება ხალხის უკვდავი გენია, ღრამა-ფერია

„ტყის სიმღერას“ ლესია უკრაინკას ცნობილ ლექსს „წარ-
წერა ნანგრევებზე“ ამსგავსებს.

მაეკა და ლუკაში ერთმანეთს ავსებენ, მაეკას არ შეუძ-
ლია ულუკაშოდ ცხოვრება; ლუკაშის მთელი სულიერი სიმ-
დიდრე მაეკას გარეშე ვერ გამოვლინდება.

ლუკაში გაფაციცებით უსმენს ტყის შესანიშნავ ჰანგებს.
მაგრამ ლუკაშის სალამურის უტკბილესი მუსიკა, მისი სული
მხოლოდ და მხოლოდ მაეკას შეუძლია გაიგოს. მისი აზრით
ლუკაშის სალამურის ენა და ლუკაშის სული გაცილებით მდი-
დარია მაეკას ტყის სიზმრებზე. მაეკას ამ რეპლიკის დედა-
არსი ის არის, რომ მხოლოდ ადამიანს ძალუძს შეიცნოს
ბუნების სილამაზე, შთაბეროს მას შინაარსი.

ლუკაშის არსებაში ორი ძალა იბრძვის. ერთი მხრივ ნა-
თელი ძალა, რომელიც ისწრაფვის შრომისა და შემოქმე-
დებისაკენ, ისწრაფვის ისეთი ცხოვრებისაკენ, რაც ადამიან-
ში შესანიშნავ, ლამაზ გრძნობებს გააღვიძებს. ეს—მისი სა-
ლამურის კენესა და მაეკას სიყვარულია. ლუკაში—მშრომე-
ლია. მისი შრომა შემოქმედებითი შრომაა.

მაგრამ ლესია უკრაინკამ ლუკაშის ცხოვრების მეორე მხა-
რეც გვიჩვენა. ლუკაში ცხოვრობს ისეთ პირობებში, რაც
ბოჭავს და ბორკავს მის მისწრაფებას ნათელი და ლამაზი
ცხოვრებისაკენ. მას არ სურს ისეთი უღიმღამო ყოფა ჰქონ-
დეს, როგორსაც უქმნის გლეხებს კაპიტალისტური წყობა,
საზოგადო დამოკიდებულებათა კერძო მესაკუთრული ხასია-
თი. მაგრამ ლუკაშს არ ჰყოფნის ძალა დედის მოთხოვნას
აღუდგეს წინ; კილინაზე ქორწინება—კერძო მესაკუთრული ინს-
ტინქტებითაა გამოწვეული. ისე რომ, გარკვეულ პერიოდში
ლუკაშში უარყოფითი მხარე იმარჯვებს.

როცა გლეხი მხოლოდ და მხოლოდ წვრილმესაკუთრული
ინტერესებით ისაზღვრება, როცა ის არ ცდილობს შემოქმე-
დებითს შრომას მისდიოს, ის ადამიანის სახეს ჰკარგავს. ასე
დაემართა ლუკაშსაც. ის მაქციად იქცა და მისი ღმუილი
კრულფასავით ედება საშემოდგომოდ მორთულ ტყეს.

მაეკა არწმუნებს ლუკაშს, რომ მას არ ესმის საკუთარი
სულის სილამაზე. ლუკაში ცდილობს კვლავ ადამიანის სახე
დაიბრუნოს, მასში იღვიძებს სიცოცხლისა და შემოქმედების

სიყვარულა; მიხვდა, რომ ადამიანის გაუბედურების მიზეზი სიმდიდრისა და კერძო საკუთრებისადმი მისწრაფებაა. ის იმედოვნებს, რომ ქოხსა და რალაც ხაბაკუშბაყებთან ერთად ცეცხლი მის უბედურებასაც მოსპობს და დაწვავს.

ლუკაში მავკას დაუბრუნდება. მთელი ნაწარმოები ნათელი მომავლის რწმენითაა გამსჭვალული. ლუკაში სამუდამოდ მავკას ერთგული რჩება. ნათელ მისწრაფებებს ადამიანში ვერავითარი ძალა ვერ ჩაკლავს.

გლეხის მონური ერთგულება ერთი გოჯა მიწისადმი ლუკაშის დედის, განსაკუთრებით კი კილინას ბუნებაშია გამოხატული. მათ მხოლოდ კერძო საკუთრების, გამდიდრების წყურვილი ამოძრავებს. კაპიტალისტურმა წყობამ ისინი გონებაზეზღუდულ ანგარებისმოყვარე ადამიანებად აქცია, ყოველდღიური ცხოვრების ქაობში ჩაითრია.

მაგრამ ნათელი, ჰუმანური ძალების ყველაზე დიდი მტერი დრამაში არის, „ის, ვინც კლდეში ზის“.

ეს ურჩხული გარეგნობითაც კი შემზარავია. „ქვესკნელიდან გამოჩნდება შავი, დიდი, საზარელი ურჩხული“, მისი გამოჩენა აფრთხობს ყოველივე სულმდგმელს. „ის, ვინც კლდეში ზის“ გამომხატველია მომაკედინებელი, გაქვავებული, ყველაზე შავი რეაქციისა. ის ცდილობს მავკა ბნელეთის სამეფოს სურათით მოაჯადოვოს. მის სიტყვებში უმოძრაო, გაქვავებული სიმშვიდის ეპითეტები ქარბობს: „წყნარი ჩაშავებული წყალი“, „ძინავს“, „მკვდარი მიმქრალი თვალები“, „უტყვი კლდეები“, „წარსულ ამბავთა მუნჯი მოწმენი“, „წყვდიადისა და სიმშვიდის ბურჯი“. „ის, ვინც კლდეში ზის“ წყვდიადის ყოვლისშემძლე მბრძანებელია. მის წყვდიადის სამეფოში „ოცნებას არაფერი მოჰგვრის“, „ქარს არ მოაქვს სიმღერები მიუღწეველ თავისუფლებაზე“, „არ გუგუნიებს ძლიერი ცეცხლი“, „იმსხვრევა ელვა“.

„ტყის სიმღერა“ ამტკიცებს ხალხის ოცნების რეალობას ნათელი მომავლის შესახებ. მავკას უკანასკნელი მონოლოგი გვეუბნება, რომ სიკვდილს უთუოდ დასძლევს სიცოცხლე, რომ ადამიანებისთვის დადგება ბედნიერი ცხოვრება ამქვეყნად, რომ სიცოცხლე უკვდავია. მავკა მოუწოდებს თავის სატრფოს ადიდოს ეს მომავალი, ძლევის სიმღერა არ შეწყვიტოს.

„ტყის სიმღერა“ ხალხური სულით გამსჭვალული ნაწარმოებია, ის ხალხურია პოეტური ხერხებისა და სახეების სისტემითაც, რადგან ხალხური შემოქმედების საგანძურზეა აღმოცენებული და ხალხის წარმოდგენების ამსახველია. „ტყის სიმღერა“ ხალხურია კიდევ იმიტომ, რომ ხალხური ლექსის წყობაზეა აგებული და მშვენიერი ცოცხალი ხალხური ენითაა დაწერილი, მაგრამ ქეშმარიტად ხალხური უმთავრესად მასში მშრომელთა უღრმესი რწმენის გამომხატველი იდეაა, რომ ბოროტს უთუოდ სძლევს კეთილი, რომ სინათლე უთუოდ გამეფდება წყვდიადზე, ხალხი მუდამ გრძნობდა ბუნებასა და ადამიანს შორის არსებულ ორგანიულ კავშირს. „ტყის სიმღერაში“ გამოხატულია სწორედ ადამიანისა და ბუნების ეს ერთიანობა, ადამიანის უნარი იმსახუროს ბუნება თავისი მიზნებისთვის, სული ჩაედგას მას. დაბოლოს, ამ ნაწარმოებში გენიალურადაა ასახული ხალხის შეხედულება სილამაზეზე, ხალხის სიყვარული მშვენიერებისადმი და ეს კიდევ უფრო მეტ ხალხურ ხასიათს აძლევს.

3

1911 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ლესია უკრაინკა ხონში ახალ დრამატიულ ნაწარმოებზე — დრამატიულ პოემა „ვექილი მარტიანზე“ მუშაობდა. დედნის ავტოგრაფის თარიღი გვიჩვენებს, რომ პოემა დამთავრებულია 1911 წლის 21 ნოემბერს. იგივე თარიღი აწერია პოემის პირველ გამოცემასაც.

დრამატიული პოემის „სისხლის ველზე“ გარდა, ლესია უკრაინკას არც ერთ ნაწარმოებს იმდენი საწინააღმდეგო მსჯელობა არ გამოუწვევია, როგორც „ვექილ მარტიანს“. კრიტიკოსები და მკვლევარები ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ ნაწარმოების მთავარი გმირის ვექილ ემილი მარტიანის შეფასებაში. ერთი ნაწილი მის ოპორტუნიზტს, შემთანხმებელს უწოდებდა, მეორენი იატაკქვეშეთის მედგარ რევოლუციონერად აღიარებდნენ. პირველი შეხედულება, ცხადია, სრულიად უსაფუძვლოა და კიდევ მეტიც, ლესია უკრაინკას ნათელი ხსოვნის შეუარაცხოფასაც წარმოადგენს. მაგრამ არც მეორეთა აზრის გაზიარება შეიძლება, თითქმის მარტიანი პოეტ

ქალს რევოლუციონერად ჰყავდეს გამოყვანილი. ყოველ შემთხვევაში, ორივე შეხედულება იქიდან გამომდინარეობდა, რომ მარტიანის სახე მისი რელიგიისგან, ე. ი. ქრისტიანობისაგან განუყოფელია, რომ მარტიანს რწმენა აძლევს ძალას გაქირვების თუ განსაცდელის შემთხვევაში მელგარი დარჩეს.

ლესია უკრაინკას ნაწარმოებისა და მისი მხატვრული სახეების, უპირველეს ყოვლისა კი მარტიანის სახის სწორად გასაგებად აუცილებელია ნაწარმოები იმდროინდელ ისტორიულ მოვლენათა თვალსაზრისით განვიხილოთ, რა დროსაც პოემის მოქმედება ეკუთვნის.

დრამატიული პოემა „ვექილ მარტიანში“ აღწერილი ამბები III საუკუნეს ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვით, რომის მიერ ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად მიღებისა და აღიარების წინა ეპოქას, თუმცა პოემაში ჯერ არ იგუბნობა, რომ რომის ხელისუფალთ შეარბილეს თავიანთი დამოკიდებულება ქრისტიანებისადმი. პირიქით, დევნა, სასტიკი გასამართლება და მძიმე სასჯელი საეკლესიო საზოგადოებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელის. ამგვარად, ქრისტიანებს, განსაკუთრებით კი კრებულს და საეპისკოპოსოს სააშკარაოზე გამოვლის უფლება არა აქვს.

ცნობილი და პატივცემული ვექილი მარტიანი იძულებულია საიდუმლოდ შეინახოს ის ამბავი, რომ ქრისტიანულ საზოგადოებას ეკუთვნის, ეპისკოპოსმა და თემმა მას დაავალა არავისთვის გაემხილა ეს საიდუმლო, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას ქრისტიანების დაცვა სასამართლოზე ისე, რომ ხელისუფალთა ეჭვი არ გამოიწვიოს.

მარტიანი კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და მას ვერაუფრი ვერ შეაჩერებს. მოვალეობას ის ყველაზე მაღლა აყენებს.

მარტიანს ოჯახი ჰყავს. მან თავისი შვილები ქრისტიანული სარწმუნოების სიყვარულში აღზარდა და ისინი გაიტაცა იმ წამებულთა ცხოვრებამ, რომლებიც თავიანთი რელიგიის სიმართლეში ფანატიკურად დარწმუნებული სიცოცხლისაც კი სწირავდნენ. მარტიანის შვილებსაც ქრისტიანობა გმირობად წარმოედგინათ და გულწრფელად სწამდათ სახელმწი-

ფოს მიერ ღვენილი რელიგია. მაგრამ ის პირობები, რაშიაც მათი მამა იმყოფება, აიძულებენ ქრისტიანებს განზე გაუდგნენ. მარტიანის შვილებს ეს ორქოფული მდგომარეობა მეტად აწუხებთ, რადგან უკვე წამოიზარდნენ და ასეთი სიყალბე მათთვის აუტახელი გახდა. მარტიანი ოჯახის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას.

მარტიანი დიდი ხანია მიატოვა მისმა ცოლმა ტულიამ, რომელიც წარმართს გაჰყვა ცოლად და ამქვეყნიური სიხარული ამჯობინა იდუმალ რწმენას, მორჩილებას და განდგომას.

დედას მარტიანის ქალი ავრელიაც მიჰყვება. მას სწამდა ქრისტიანობა, მაგრამ სულიერი მარტოობის წლებმა სასოვარუქვეთა ახალგაზრდა ქალს. „მე თითქო უდაბნოში ვცხოვრობ“, — ეუბნება ის საკუთარ თავს, „ჩემთვის, მამა, საკუთარი სახლიც ციხედ გადაიქცა“. მართალია, ჯერ საზოგადოდ არ დაუკარგავს რწმენა, მაგრამ დარწმუნდა კი, რომ „ეს რწმენა მკედარია!“

„საქმე რწმენის გარეშე მკედარია!“ — ამ გამოთქმას ხშირად ვხვდებით ლესია უკრაინკას წერილებში. პოემაშიც ასე აყენებს საკითხს. ავრელია ბრძოლის საშუალებას მოკლებულია. რომ ერთმორწმუნეთა წრეში ეცხოვრა, მათთან ერთად დასწრებოდა კრებებს, დაუფარავად ელიარებინა — ქრისტიანი ვარო, მაშინ იქნებ მისი რწმენაც უფრო მტკიცე ყოფილიყო. მაგრამ იმ პირობებმა, რაშიც ახალგაზრდა ქალი ქრისტიანთა თემის კანონებმა მოაქცია, საეჭვოდ გაუხადა ახალი მოძღვრების სიმართლე.

ავრელიასთვის უცხო როდია სიხარული, მას უყვარს გართობა და დროსტარება. მაგრამ იძულებულია ყოველივე ამაზე უარი თქვას მკედარი და სიხარულის ჩამკლავი რწმენის სახელით. როცა უნებლიეთ ქრისტიანობასა და წარმართობას აღარებს, ძალაუხნებურად ებადება კითხვა: თუკი წარმართთა სარწმუნოება სტყუის, „მაშ რატომ არის უფრო მიმზიდველი და ლამაზი, ხოლო ჩვენი სიმართლე კი ასე მათხოვრულად ღარიბი?“ ამ ფიქრების შედეგად ის რწმუნდება, რომ ახალი სარწმუნოების სიყვარული და ერთგულება მასში ნელ-ნელა ქრება.

ავრელია ხედავს, რომ დედამისმა მამას, უფრო სწორად მის საიდუმლო საქმეს, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები შესწირა და მისი ხვედრიც ასეთი იქნება. ავრელია მამას უსაყვედურებს და ეს საყვედური ახალი რელიგიის მიმართ გამოთქმული ექვი კი არ არის, არამედ ქრისტიანობის წინააღმდეგ იმ არსების შეგნებული პროტესტია, რომელსაც უმიზნოდ დალუპვა არ სურს:

... მე არ მსურს შენი ვიყო!

რომ შენი ვიყო,—ნიშნავს იმას, დავთმო ყოველი:

ახალგაზრდობა, სილამაზე და სული ჩემი;

ხელი ავიღო ცხოვრებაზე და განვმარტოვდე.

მაგრამ რა მელის ამის ნაცვლად? ხვედრი მონისა,

მხოლოდ უმიზნო არსებობა, მხოლოდ მოწყენა!

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ამგვარად, ავრელიას პროტესტი—ეს მონური არსებობის ქრისტიანული რელიგიის უღიმღამო ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრებაა, ეს ბრძოლაა თავისუფალი და სისხლსავე ცხოვრებისათვის ახალი რელიგიის გარეშე. ცოცხალი რწმენა, ცოცხალი იდეა—ეს ის იდეაა, რისთვისაც იბრძვი. მარტიანის ოჯახში ავრელიას მდგომარეობა არანორმალური იყო. ავრელია მამას თავს ანებებს და დედასთან მიდის. მარტიანი ვერაფერს ეუბნება თავის ქალს, რადგან ესმის მისი, გრძნობს საკუთარ დანაშაულს, თუმცა დახმარება კი არ შეუძლია.

მარტიანის ტრაგედია ღლითი ღლე მწყევადება. ავრელიას შემდეგ მას სტოვებს ვაჟი ვალენტიც. როგორც ავრელიას, მასაც ბავშვობიდანვე ჩაუნერგეს ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულება, მაგრამ როგორც ავრელიას, მასაც არ შეუძლია ბრძოლის გარეშე, უმოქმედოდ არსებობა. ისა და ავრელია ამბობენ:

ჩვენ არ მიგვიძღვის ბრალი მასში, რომ ვერა ხედავ...

ჩემგან და დისგან დახმარებას, ბედნიერებას,

ჩვენ შეგვიძლია შენთან ყოფნა მხოლოდ და მხოლოდ,

მაგრამ ცხოვრებას ვერ გავებდავთ, რადგან გავხდებით

ჩვენ დაბრკოლებად შენს შეტად მძიმე ცხოვრების გზაზე.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ვალენტს პროპაგანდისტის ნიჭი აქვს, მაგრამ თემი და ეპისკოპოსი მას ხმის ამოღების ნებას არ აძლევენ. უმოკმელოდ ყოფნას კი მისი ბუნება ვერ შერიგებია. ახალგაზრდობას ბრძოლა სწყურია. ვალენტი გადაწყვეტს ჯარში წასვლას:

კაცთა სულების გადარჩენის არ მაქვს უფლება
ეშმაკისაგან; შევეცდები განვღვენო თქვენგან
გერმანელების ზრდობი ბარბაროსული.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ვალენტი ირჩევს ისეთ გზას, რომელსაც ქრისტიანობასთან არაფერი საერთო არა აქვს, მას მშვენიერად შეუძლია რწმენის გარეშე არსებობაც. ასე დაატყდა მარტიანს ახალი უბედურება:

მე, ვით წარმართმა,
განვწირე ბავშვნი, როგორც მსხვერპლნი შესაწირავი,
მე მათ ნელ ცეცხლზე ვაჩერებდი, ახლა ისინი
გარბიან უკვე.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

მარტიანი კვლავ უფიქრდება კითხვას: რა მიზეზია, ან ვინ არის დამნაშავე? იქნებ მან ცუდი მამობა გაუწია შვილებს და ცუდად აღზარდა ისინი? არა, მისი შვილები, როგორც თვითონ ამბობს, „ცივისსიხლიანნი არ არიან. ჩემს ქალს შეუძლია წმინდა ოცნებას გატაცებით ეზიაროს“. ამასვე ამბობს თავის ვაჟზეც.

მარტიანს პასუხს ამ კითხვაზე წარჩინებული ქრისტიანი, თემის ერთ-ერთი პატრონთაგანი აძლევს:

ჩვენი ტაძარი,
რითაც წინა დროს, ახლა იმით როდია მძლავრი.
ბრძოლის დროს სისხლიც იღვრებოდა,
ყვირილიც იყო, მაგრამ უკვე დრო შეიცვალა.
ახლა დახოცვა გვიხდება სისხლის,
რომ ჩაქედ ჩვენ იგი გადავაქციოთ.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

გაქრა ის დრო, როდესაც ქრისტიანობა თავის დროშის ქვეშ აერთიანებდა მონებს, დაჩაგრულთა და დამცირებულთ,

როდესაც მისკენ მიემართებოდა ყველა წამებული და განკიცხული. ფეხის მომაგრების შემდეგ ქრისტიანთა კრებული უკვე ხალხზე გაბატონებისა და გამეფებისკენ მიისწრაფვის. სადღა იყო მისი დემოკრატიული დანაპირებები—ის უკვე დაიყო საეროებად და საეპისკოპოსოებად. გაქრა გმირობის შარავანდედი, ერთ დროს ქრისტიანთა ეკლესიას რომ ადგა თავზე. ახალგაზრდობას უწინ ეს გმირული საწყისი იზიდავდა, ახლა კი მხოლოდ ამ გმირობის მოგონებითლა ცხოვრობს. ცხადია, ის „გმირობაც“ განწირულთა გზირობა იყო, მაგრამ თავისუფალსა და დამოუკიდებელ სულს მაინც შეეძლო ეჩინა თავი.

მარტიანის დროს ეკლესია ჯერ ისევ იმალებოდა, მას ისევ სდევნიდა სახელმწიფო. ფიცხმა ქაბუკმა არდენტმა ვერ აიტანა იმ სარწმუნოების შემბილწველი დამცირება, რომელიც სწამდა, და ერთ-ერთი ქანდაკება დაამსხვრია. ამ საქციელმა შეიძლება მტრებს აღმოაჩენიოს, სად იმალება ქრისტიანთა თემი. ეს ამბავი კი ახალ დევნას გამოიწვევს ქრისტიანების მიმართ. ქრისტიანები არდენტს განდევნიან. მაგრამ მარტიანს არ შეუძლია ქაბუკის განკიცხვა. მას ესმის, რომ ეს დანაშაული ქაბუკს კეთილშობილურმა გრძნობამ ჩაადენინა. „ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ ეკლესიამ არდენტი განკვეთა“,—ამბობს მარტიანი.

ერთი მხრივ მართალია იზოგენი, რომელიც ამბობს, არდენტის საქციელმა შეიძლება ხელმძღვანელები დააკარგვინოს ეკლესიას. მეორე მხრივ, მარტიანი, რომელმაც თავის შვილებს მებრძოლი სული შთაუნერგა, სთვლის, რომ ახალგაზრდები გულგრილად ვერ შეხვდებიან მტრის მიერ მათი სარწმუნოების შებლაღვას.

ისე რომ, დამნაშავედ ისევ თვით ქრისტიანული ეკლესია გამოდის. შემთხვევითი კი არ არის იზოგენის სიტყვები: ახალგაზრდობის თავის დაქერა გაძნელდა, ისინი საეპისკოპოსოს აღვირს არ მისდევნო.

არდენტი მარტიანს შვილობილივით ჰყავს და მისი უბედურება მარტიანისთვის მეტად სამძიმოა. არდენტი მარტიანს სთხოვს, რომ გადაარჩინოს გამხეცებული ბრბოს რისხვას. წუთით მარტიანში ერთმანეთს შეებრძოლება ერთი მხრივ

მამა და ადამიანი, მეორე მხრივ — ქრისტიანთა თემის და ეპისკოპოსის მონა. მარტიანი მაინც თემის ერთგული რჩება.

ბოლოს, მარტიანს კიდევ ერთი ტრაგედია ატყდება თავს, მან არ გაამხილა, რომ ის ქრისტიანია. მაგრამ არდენტის წყევლამ უწია და თავისი დისწულის, ეგზალტირებული ახალგაზრდა ქრისტიანი ქალის ლუცილას სიკედილის მიზეზი ხდება.

ლუცილა — ქრისტიანობის კიდევ ერთი ახალი მსხვერპლია. ქრისტიანული რელიგია ბავშვებს ნერვიულად აავადმყოფებს და სიცოცხლეს უსწრათებს მათ. ამავდროს პოეტი ქალი დამნაშავედ თვლის ხელისუფლებასაც. უხეში ცენტურიონისა და ნერვებმოშლილი, შიშით გაოგნებული ახალგაზრდა ქალის სახეები პოეტმა ქალმა, უეჭველია, რუსეთში შავი რეაქციის საშინელი წლების შთაბეჭდილებით შექმნა.

ერთ დღეში დაკარგა მარტიანმა თავისი ორივე შვილი. იმავე დღეს ერთმორწმუნე და მის მიერ მონათლულმა არდენტმა დასწყევლა იგი და თავისი დისწულის სიკედილის უნებლიე მიზეზიც გახდა. მაგრამ მან გადაიტანა ყოველივე ეს და ისევ თემის ერთგული დარჩა. მოვალეობის გრძნობამ მასში სხვა ყველა გრძნობა ჩაახშო. ამდენი განცდების შედეგად ერთ დღეში გაქალაქავებული მარტიანი კვლავ თავის ჩვეულებრივ საქმეს უბრუნდება და მწერალს უქარნახებს დაცვის სიტყვებს, რითაც მეორე დილას უნდა გამოვიდეს. ის ასე მიმართავს მოსამართლეებს:

ცივი გონებით გთხოვთ განსაჯოთ, აწონ-დაწონოთ
და გაარჩიოთ უხრალო საქმე;
იგი გახდება გამჟღავნებელი, ისე ვით ბროლი,
თუ არ იქნება ამღვრეული მიკერძოების
სულის თქმით. ბრძოლის გამორჩევა არის ადელი,
თუ განათება არის წყნარი და თანაბარი.
(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ამ დროს მართლაც არაადამიანური ძალა იგრძნობა მარტიანში. მის ერთგულ მწერალ კონსტანტინსაც კი არ ძალუძს დასწეროს ამ მომენტში ასეთი საშინელი სიტყვები, რაც ამტკიცებს ვეჭილ მარტიანის არაჩვეულებრივ თავისდაქერას

მაშინ მარტიანი იღებს „ფიცარს და თვითონ წერს ნელი, მაგრამ მტკიცე ხელით“.

რაში მდგომარეობს მარტიანის ტრაგიკული დანაშაული? „ბროლს ყველაზე უკეთ სიცივეში გასინჯავ“. უეჭველია, მარტიანი—კრისტალურად წმინდა და პატიოსანი ადამიანია. ეს გამოიხატება მის ერთგულებასა და საქმისადმი თავგანწირვაში. მარტიანმა შეგნებულად გადაიტანა დიდი მწუხარება, როცა დაკარგა თავისი საყვარელი შვილები, დაკარგა იმედი. მაგრამ მარტიანს კიდევ სხვა ტრაგედიაც დაატყდა, თუმცა ეს ამბავი მან მთლიანად მაინც ვერ შეიგნო. იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში მას არც შეეძლო ამ ტრაგედიის მთლიანად შეგნება.

მარტიანი მარტოდ რჩება, და როცა მისი და კარზე დაუთქვენებს, ასეთი თავდაპერილი და მშვიდი კაცი სწრაფად მირბის კარის გასაღებად. ამქვეყნად მას ხომ მხოლოდ ესლა დარჩა. მარტიანი არაფერს ამბობს იმ იდეაზე, რომელსაც ემსახურება. ის მხოლოდ მოვალეობაზე ლაპარაკობს: „ასეთია თემის ნება-სურვილი. ამ ბორკილს ჩემი სული ვერ გადაიგდებს, სანამ პირში სული მიდგას“.

ამას არ იტყვის ის კაცი, ვინც დარწმუნებულია, რომ იდეალს სწირავს თავს. მარტიანის მიერ აღებული ვალდებულება ეს—ს უ ლ ი ს ბ ო რ კ ი ლ ი ა.

დისა და მარტიანის საუბრის დროს ამ უკანასკნელის სიტყვებიდან ირკვევა, რომ ის თემს ემსახურება არა საკუთარი ნება-სურვილით, არამედ მოვალეობის გამო.

მარტიანი სასამართლოში იცავს ეკლესიის უფლებებს ნიწაზე, საეპისკოპოსოს უფლებებს. პოეტი ქალის წერილებიდან, რომელიც მან აკადემიკოს კრიმსკის მისწერა, ცნობილია, რომ იმ დროს საეპისკოპოსოს აფასებდა, როგორც ექსპლოატატორთა წრეს.

ჯერ კიდევ პოემა „კატაკომბებში“ ლესია უკრაინკამ ეპისკოპოსი დაგვიხატა, როგორც ყოველივე ბიწიერებით სავსე ადამიანი. ამიტომ ახალ ნაწარმოებში ის აღარ დაუბრუნდებოდა ამ სახეს და მით უმეტეს ახალ შეფასებას არ მისცემდა. „ვექილი მარტიანი“ აგრძელებს ლესია უკრაინკას შემოქმედების რევოლუციურ იდეას—აშიშვლებს და შარავან-

დედს აცლის ქრისტიანობას, ქრისტიანულ ეკლესიას და ბნელეთის მოციქულების, კაცობრიობის მოძალადეთა, რეაქციის ცენტრის ვატიკანის ისტორიულ ფესვებს.

ამგვარად, კრისტალურად პატიოსანი ადამიანი მარტიანი საეპისკოპოსოს მსხვერპლია. მოვალეობა ნისთვის მძიმე ხარკად გადაიქცა, მაგრამ, როგორც პატიოსანი ადამიანი, ის თავისი სიტყვის ერთგული რჩება.

მარტიანმა ამდენი მსხვერპლი განა იმიტომ გაიღო, რომ პარტია ითხოვდა ჩამოეცილებინა ახალგაზრდები ბრძოლას, რასაც ამტკიცებდა ზოგიერთი კომენტატორი, როცა მარტიანი რევოლუციონერად გამოჰყავდათ. არა, ეს იმიტომ მოხდა, რომ რელიგიის გახრწნილმა გაგლენამ ხელ-ფეხი შეუბოკა ისეთ შესანიშნავ პატიოსან ადამიანებს, როგორიც იყვნენ მარტიანი, ავრელია, ვალენტი.

მარტიანს ცხოვრებამ დაუმტკიცა, რომ ამდენი მსხვერპლის გაღება საჭირო არ იყო. მან ხომ დალუპა საუკეთესო ძალები, რომლებიც საქმისათვის აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ ასეთია ქრისტიანული რელიგიის ბუნება: ის ხელს კი არ უწყობს ადამიანში სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, არამედ პირიქით, — ახშობს მას. მარტიანი გრძნობს, რომ მან დაკარგა გავლენა ვალენტსა და ავრელიაზე და რაკი არაფერს ამბობს, ამით აღიარებს კიდევ მათ სიმართლეს. მაგრამ მარტიანს არ შეუძლია უარი თქვას თავის მოვალეობაზე ქრისტიანული თემის წინაშე. ჩვენ არ ვიცით, რა შეხედულებისაა ის ქრისტიანობაზე, მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ის ერთი სიტყვითაც არ იცავს მას თავის შვილებთან. იმავე დროს ვერც თავის გარშემო ხედავდა სხვა ისეთ რამეს, რაც შეეძლო დაეპირისპირებინა ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის. მარტიანი ხნიერი ადამიანია, მას ვერ გაიტაცებს წარმართების გარეგნული ბრწყინვალეობა, ძველი რომის წარმართულ რელიგიაში ის პროგრესულს ვერაფერს ხედავს. მესამე გზას კი მარტიანი ვერ პოულობს და თავისი მძიმე მოვალეობის მონად რჩება.

ცხადია, დრამატიული პოემა „ვექილ მარტიანეში“ ლესია უკრაინკამ ასახა ბევრი რამ მის თანამედროვე სინამდვილიდან. კერძოდ, თუ რა მდგომარეობაში იყო ინტელიგენციის

ერთი ნაწილი 1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომ რეაქციის დროს. ამ ინტელიგენტებმა კაპიტალისტების მხარეზე გადასულ მოღალატე ინტელიგენციას ზურგი აქციეს. მაგრამ ამ მძიმე ბრძოლაში ვერც თავისი ადგილი ჰპოვეს. ახალი იდეებისათვის მებრძოლთ ვერ შეუერთდნენ ერთი მხრივ ინტელიგენტური სიმხდალის გამო, მეორე მხრივ მასებიდან მოწყვეტილებმა სწორი გზები ვერ გამოიჩინეს. ასე დარჩნენ ისინი განდგომილად და განმარტოებით.

მარტიანის სახის სწორი ამოხსნისათვის თვალი უნდა გადაეცვლოს ლესია უკრაინკას მიერ 900-იანი წლების დასაწყისში დაწერილ „შენიშვნებს სტატია „პოლიტიკასა და ეთიკის“ თაობაზე“. ეხება რა ადრინდელ ქრისტიანობას, აი რას წერდა კერძოდ ლესია უკრაინკა: „პირველი ქრისტიანებისა და რომაელი ფილოსოფოსების დაღუპვის მიზეზი იმდენად ერთმანეთში იდეური ბრძოლა კი არ იყო, რამდენადაც ის სახელმწიფო ეკონომიური ძალა, რაც ბოროტების წინააღმდეგ მოციქულებს მხეცების დასაგლეჯად აგზავნიდა, ხოლო ქვეშევრდომ ფილოსოფოსებს აიძულებდა ხელოვნური ანემიით დახოცილიყვნენ. პირველთა და მეორეთა როდი ჰქონდათ კურდღლის გულები წამებულის გვირგვინის დადგმის დროს (აკი ფილოსოფოსებმა თვითონ გადაიჭრეს ძარღვები ფილოსოფიურ წინააღმდეგობის თუ *taedium vitae* * ს გამო), მაგრამ იდეური გაბედულები არც იმათ ეყოთ და არც ამათ. რადგან ყველანი ზევიდან ხსნას ელოდნენ, ღმერთისაგან იქნებოდა თუ კეისრისაგან, თვით კი ხელის განძრევა არ უნდოდათ. სპარტაკის სული არც ფილოსოფოსებს ედგათ და არც ქრისტიანებს, ამიტომაც პირველებმა ახალი „კანონების რაობა“ ვერ გაჰოიგონეს, ხოლო მეორეთა არც ერთი ბასტილია არ დაუზღრევიათ, არამედ კიდევ ახლები ააშენეს“.

ამგვარად მარტიანი მებრძოლი კი არა, წამებულია, წამებული მოვალეობის. ქრისტიანული რელიგიის მიერ გატანჯული მოწამენი იყვნენ მარტიანიც, ავრელიაც, ვალენტიც, ლუცილაც და არდენტიც. ცხადია, ასეც უნდა გავიგოთ ნაწარმოების პირვანდელი სათაური „წამებულნი“.

* სიოცხლის ზიხლი; სიოცხლით მოღლა.

იმპერატორისეულ რომში ქრისტიანობის დევნას რაღაც საერთო ჭკონდა მეფის რუსეთში თავისუფალი აზრის ასეთივე დევნასა და რბევაში. გმირობა გამოიჩინეს მხოლოდ თვით-მკურობელობისა და ექსპლოატატორთა ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლების საქმის თანამიმდევარმა მებრძოლებმა — კომუნისტ-ბოლშევიკებმა. მათ გვაჩვენეს კეშმარიტი გმირობის მაგალითები, მოგვცეს მებრძოლ რევოლუციონერთა და-უვიწყარი სახეები, რომლებიც სოციალიზმის დიადი იდეისათვის თავსა სწირავენ. ამან თავისი გამოსახულება ნახა ლესია უკრაინკას შემოქმედებაშიც. დრამატული პოემის მხატვრული სახეები წარმოადგენენ ლესია უკრაინკას თანამედროვე რევოლუციონერთა გმირობის განსახიერებას.

„ვექილი მარტიანი“ გვიხატავს მოვალეობისადმი არაჩვეულებრივ ერთგულებას, იმ ადამიანის ტრაგიკულ ბედს, რომლის მოღვაწეობა არ ეთანხმებოდა ახალგაზრდათა მისწრაფებებს, ძალადობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებასა და ბრძოლას მოწყურებულ ადამიანთა მისწრაფებებს.

4

დრამა „ქვის მასპინძელი“ წარმოადგენს უკანასკნელ დიდ ნაწარმოებს, რაც ლესია უკრაინკამ საქართველოში დაწერა.

ამ დრამის დაწერის სურვილი ლესია უკრაინკას ა. პუშკინის „ქვის სტუმრის“ შთაბეჭდილებით აღეძრა. 1911 წელს ლესია უკრაინკამ მიიღო პუშკინის თხზულებათა ახალი გამოცემა და ხელახლა გადაიკითხა თავისი საყვარელი ნაწარმოებები. „ქვის მასპინძელზე“ მუშაობა ლესია უკრაინკამ ხონში დაიწყო. წერდა გატაცებით და ცდილობდა ისეთი ნაწარმოები შეექმნა, სადაც ერთი სიტყვაც კი ზედმეტი არ იქნებოდა. პოეტმა ქალმა პირველი ვარიანტი თითქმის გაანახევრა. საბოლოო რედაქციას ასეთი თარიღი აწერია: „ქუთაისი, 1912 წ., 29 აპრილი“.

„ქვის მასპინძელი“ ლესია უკრაინკას დიდი პოეტური და დრამატურგიული ოსტატობის გამოხატულებაა. ეს დრამა გენიალური კმნილებაა მსოფლიო ლიტერატურაში გავრცე-

ლებულ თემაზე—ქალების მაცდუნებელ ესპანელ გრანდ დონ ჟუანზე.

ლიტერატურაში—ტირსო დე მოლინა, მოლიერი, ბაირონი, ჟუშკინი, მუსიკაში — მოცარტი, ღარგომიესკი — ესენი მხოლოდ ის დიდი ოსტატები იყვნენ, რომლებმაც ამ თემაზე შექმნეს ნაწარმოებები. ამიტომაც გასაგებია პოეტი ქალის შიში კრიტიკის წინაშე, ის მოკრძალება, რასაც გრძნობდა ის ზეითხეულთა მსჯავრის მიმართ: „ღმერთო, შენ შემინდე და შემიწყალე! — ირონიულად სწერს ის ა. კრიმსკის, — მე დავეწერე დონ ჟუანი! დავეწერე ამ „საქვეყნო და მსოფლიო“ კაცზე, და ფსევდონიმიც არ მიმიცია“.

ლესია უკრაინკა გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას უკრაინული ლიტერატურის წინაშე, რაკი ასეთ თემაზე დაწერა ნაწარმოებები. ამიტომ მიმართავდა თავის ახლობლებსა და ნაცნობებს, გამოეთქვათ თავიანთი კრიტიკული შენიშვნები დრამის ირგვლივ.

ამაოდ ექვობდა და ყოყმანობდა პოეტი ქალი. მისი „ქვის მასპინძელი“ მსოფლიო ლიტერატურის დიდ შენაძენს წარშობადგენს.

დაუდო რა სიუჟეტს საფუძვლად დონ ჟუანის „საქვეყნოდ ცნობილი სახე“, ლესია უკრაინკამ ყურადღების ცენტრი დონა ანაზე გადაიტანა.

პოეტმა ქალმა ასე განსაზღვრა თავისი ახალი ნაწარმოების მთავარი იდეა: „დრამას... ჰქვია „ქვის მასპინძელი“, რადგან მისი იდეა — კომანდორის სახით განსაზღიერებული გულქვა, კონსერვატიული პრინციპის გამარჯვებაა ამაყ-ეგოისტურ ქალ დონა ანას სულზე, მისი წყალობით კი „თავისუფლების რაინდ“ დონ ჟუანზეც“.

დონა ანას სახე მოცემულია მოქმედებაში. პირველ მოქმედებაში დონა ანა გვაცნობს თავის სიყრმის იდუმალ ნატურას. მისი ნაამბობის ციტირება თუნდაც იმიტომაც საჭირო, რომ „შემოდგომის ზღაპრის“ მსგავსად ალეგორიებითაა სავსე.

და მე ბერუსში ვხედავ თითქოს

მთას ზიუწვდომელს, ცად აზიდულს და დაქანებულს.

* წერილი ა. კრიმსკის, 1912 წ., 24.5.

ამ ზეიად მთაზე არის ციხე-კოშკი მაგარი—
აქწივის ბუდე. ამ ციხეში პრინცესა ნორჩი
ცხოვრობს მარტოკა და ვერავეინ ვერ შესძლო დღემდე
კოშკის მიღწევა, იმ საშინელ აღმართზე ასვლა.
თავგანწირული რაინდები ბედაურებით
ძირს ვცემიან, იმსხვერვეიან და სიხალი მათი,
ვით აღისფერი ნაკადული, იღვრება ქვევით
და მთას ძირს უთხრის.

დოლორესი.

საშინელი შკაცრი ოცნება!

ანა

აჰა ოცნებას რა ზეზღდავს. შემდეგ, დოლორეს...

დოლორეს (შეაწყვეტივს)

შემდეგ ერთ რაინდს მწვერვალისთვის მიულწევი,

მას დაუპყრია იმ ქალწულის ხელი და გული.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

დოლორესი მთლიანად ვერ ჩახვდა დონა ანას ალეგორი-
ების აზრს, საქმე ისაა, რომ დონა ანა ჯერ მწვერვალზე არაა,
მან უნდა დაიპყროს ეს მწვერვალი.

ჩემი კომანდორი—იგი თვით მთაა,
ხოლო რაინდი ბედნიერი, როგორც ეტყობა,
არც არის ქვეყნად..

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ასე პირველი გვერდიდანვე ანა გვევლინება, როგორც
დიდი ნებისყოფის ადამიანი, რომელიც შეგნებულად მიჭ-
ყვება ცოლად კომანდორს საკუთარი მიზნის მისაღწევად.

შემდეგი საუბარი დონა ანას, კომანდორს და დოლორეს
შორის ფარდას ხდის დონა ანას მიზანს.

ანა ყველაზე მაღლა პირად თავისუფლებას აყენებს. თუ
ქალიშვილობაში ანა თავისუფალი იყო, კომანდორის ცოლად
გახდომის შემდეგ ის ჰპარგავს ამ თავისუფლებას და შედის
ქვის თაღებში, სადაც თავისუფალი მოქმედების ნება მას
არავეინ მისცა. „ის რა სიყვარულია, რომელსაც ფიცის და-
დების ეშინია“, ამბობს კომანდორი. ანას კი კომანდორი
მხოლოდ „კლდედ“ მიაჩნია, რაც საიმედო საფარად გამოად-
გება იდუმალი ოცნების მიღწევის დროს. როგორც ჩანს,
„კლდის“ საშუალებით ანას სურს უზრუნველყოს პირადი თა-

ვისუფლება. ანას სახის განვითარება შემდგომ ფაზაში გადადის.

უკანასკნელი ბალ-მასკარადი ანას ქორწილის წინ. დონა ანა ჯერ ისევ პატარძალია, მაგრამ კონსერვატიული, ქვის კანონები უკვე ააშკარაებენ თავიანთ ძალას. კომანდორი ახსენებს: „ჩვენში, კასტილიაში, ადათის მიხედვით დანიშნულები მარტო ვერ დარჩებიან“.

დონა ანა იბრძვის, მომავალ ცოლქმრობაში დამოუკიდებელი მდგომარეობა შეინარჩუნოს. როცა კომანდორი ეუბნება, თავი „პირველად დახარე“ ჩემ წინ, ანა მყისვე წელში გასწორდება და მარგალიტის სამკაულს ამაყად ამართულ თავზე ადგმევინებს.

დონ ეუანზე სიმღერაში კვლავ ქლერს მოტივი „ბროლის მთასა“ და „სასახლეში აღმოცენებულ“ ყვავილზე. დონ ეუანსა და დონა ანას საუბარში ირკვევა, თუ რა თავისუფლება სწადია ანას. თუ დონ ეუანს ანას ქორწინება, „მთის საპყრობილედ“ მიაჩნია, ანა სხვა აზრისაა ამაზე:

... უფლებამოყვარე, ამაყი სული

მხოლოდ და მხოლოდ იარსებებს მაღალ მწვერვალზე.

(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ის თავისუფლება, რისკენაც ანა მიისწრაფვის, ძალაუფლებასთან მჭიდრო კავშირშია. თავისუფლებას მას ძალაუფლება მისცემს. ქალიშვილობაში ანა ვერ იყო სავსებით თავისუფალი, რადგან თავისუფლებას ძალაუფლების გარეშე მისთვის აზრი არ ჰქონდა. დონ ეუანის შეკითხვაზე: „განგვიდიანთ კი თავისუფლების ბედნიერება თუნდაც წუთით?“ ანა პასუხობს: „განმიცდია სიზმარსა... და ოცნებაში“.

დონ ეუანის საუბრიდან ცხადი ხდება, რომ ანას იმედი აქვს აუხდეს სიზმარი და ოცნება.

მეოთხე აქტში მოქმედება მადრიდში წარმოებს. აქ ირკვევა, თუ რას წარმოადგენს დონა ანას „თავისუფლება“. აქ კარგი ქცევის აუცილებელი პირობა წესების დაცვაა. აქ საუბარში წამდაუწუმ ახსენებენ ქვიან მთას, სადაც ადამიანი ისეთ „პატარა ადგილზეა მიკრული, რომ ერთი ფეხის გადადგმა და შეიძლება უფსკრულში გადაიჩეხოს“. ასევე ლაპარაკობს

კომანდორი: — „ოდნაეი გადახრა — ნაბიჯი იქნება უფსკრულისაკენ“. კომანდორის ოცნებას — ტახტზე ავიდეს — ლოგიკურად ანაც უქერს მხარს. ის ხომ ოცნებობს „იმ მწვერვალების სუფთა ჰაერზე, სადაც ველების მაცდუნებელი სურნელი ვერ აღწევს“. ამგვარად, ანას ოცნება თავისუფლებაზე — ეს დესპოტური ოცნებაა ადამიანის პირად თავისუფლებაზე, რომელიც ხალხს ზევიდან ზიზლით დაუწყებს ცქერას. ეს მოანარქისტე ზეკაცის ოცნებაა.

დონა ანასა და დონ ეუანის შემდგომი საუბარი გვაუწყებს ანას სიყრმის ოცნების განხორციელებას:

დაე, ერთგულმა იმ რაინდმა იხსნას პრინცესა,
ქვის საპყრობილეს გამოსტაცოს, რომ ზღაპრის ნაცვლად
ამქვეყნად იშვას დიდი ჰიმნი თავისუფლების.
(თარგმანი ნ. ნადირაძისა)

ამავე დროს, კომანდორის სასახლის ქვის თაღებში უშიშრად შესული დონა ანა გრძნობს, რომ უკვე გვიანია პრინცესას გადარჩენა.

ანას გარდაქმნის მიზეზი ის არის, რომ გაქვავებული ადათები, მთა, ქვის ჰაერი „არა მარტო აწვება სულს, აქვავებს კიდეს“.

კომანდორის სიკვდილი როდი ათავისუფლებს ანას იმ ქვის ტანსაცმელისაგან, რაც თავისი ნებით ჩაიცვა ძალაუფლების მოპოვების გამო.

ანას ნებისყოფა, მისი მტკიცე ხასიათი, მისი ბრძოლა ნანინატრი ოცნების მიღწევისათვის უფრო ნათელი ხდება დონ ეუანის მიერ მოკლული კომანდორის ქელებზე. ანა აცხადებს: „ძალაუფლების გარეშე თავისუფლება არ არსებობს“. ის არ გაჩერებულა შუა გზაზე. „მწვერვალს“ რომ მიაღწია, ანამ თავისი რაინდის აყვანაც მოინდომა იქ. დონ ეუანი კომანდორი უნდა გახდეს.

ანა კონსერვატიულ, ქვა კანონებს დაემორჩილა და სულიერი ციხის ქვის თაღებში დონ ეუანიც შეიყვანა. ლესია უკრაინკა წერდა, რომ მას მიზნად არ ჰქონია „რაიმე დამატებია ლიტერატურაში უკვე ჩამოყალიბებული დონ ეუანის ტიპისთვის, მხოლოდ ხაზი უნდოდა გაესვა მისი ხასიათის

8. ლესია უკრაინკა

ანარქიულობისათვის. ის სინამდვილეში ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც წარმოდგინათ მეტ-ნაკლებად ყველას...^{*} მაგრამ ლესია უკრაინკას დონ ქუანი ისევე განუმეორებელია, როგორც დონა ანა.

ლესია უკრაინკას დრამაში დონ ქუანი უპირველეს ყოვლისა „თავისუფლების“ რაინდია“. და სწორედ მისი „რაინდობის“ ნამდვილი სახის გამოვლინება წარმოადგენს კიდეც იმ სიახლეს. რაც პოეტმა ქალმა შეიტანა დონ ქუანის სახეში.

დონ ქუანი ბევრს ლაპარაკობს თავისუფლებაზე. მაგრამ ამ თავისუფლების ნამდვილი ფასი მაშინვე როდი შიშვლდება. დოლორესის ნაამბობიდან თავდაპირველად ჩვენ ვიგებთ, რომ დონ ქუანი მეკობრეა, ის თავს კონტრაბანდით ირჩენს. ამ ლამაზი კაცის გულისთვის თავი დაილუპეს ბოშა ქალმა, მორესკამ, ინჟანტამ, რაბინის ქალმა, აბატისამ. ამგვარად, თავიდან ის გახლდათ „ლიტერატურაში ჩამოყალიბებული დონ ქუანის ტიპი“. ამ ახალ, განსხვავებულ თვისებებს, რაც მას პოეტმა ქალმა მისცა, დონ ქუანი მასკარადზე ანასთან საუბარში ავლენს. დონ ქუანის წარმოდგენა თავისუფლებაზე დიდად განსხვავდება ანას ოცნებისაგან. მისთვის თავისუფლება—ეს საკუთარი ნება-სურვილით ცხოვრება, სახელმწიფოს კანონების და კარისკაცთა წესების არად ჩაგდებაა. ერთი სიტყვით, დონ ქუანი მკითხველის წინაშე წარსდგება, როგორც ანარქისტი ადამიანი. მას თავი მიაჩნია არა მარტო თავისუფალ ადამიანად (ამიტომაცაა განდევნილი), არამედ „თავისუფლების რაინდად“.

დონ ქუანი ანასთან საუბარში სულ გაიძახის: „თავისუფლება“. „თავისუფალი სულიო“. ეს ის საკენკია, რომლითაც ატყუებდა ის ამდენ ქალებს. დონ ქუანის „თავისუფლებით“ მოტყუებული თავისუფლებისმოყვარე ბოშა ქალი თავს იხრჩობს, მორესკა „ძმას წამლავს“, მერე კი „მონაზვნად მიდის“, რაბინის ქალი მისი გულისთვის თავის „რჯულს გადაუდგება“. აბატისამ „სულის ცხოვნება შესწირა“ და მერე „სამიკიტნოს პატრონი ხდება“. ამგვარად დონ ქუანისაგან თავისუფლების მომლოდინე ქალების ხვედრი ტრა-

^{*} ლესია უკრაინკას წერილი *ო. კობილიანსკაიას*, 1913 წ., 21 III.

გიკულია. დონ ეუანი არ იყო თავისუფლების რაინდი, საკუთარი ჟინის დაოკებას შესწირა მან სხვა ადამიანების გრძნობები, თავისუფალი მისწრაფებები და ნათელი ოცნებები.

ლესია უკრაინკამ შექმნა მონარქისტ-ინდივიდუალისტის სახე, რომელიც პირადი თავისუფლებისაქენ სხვების სულისა და გრძნობების გადაქელვით მიისწრაფვის. ამით პოეტმა ქალმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ინტელიგენციის ერთი ნაწილის გატაცებას ნიცშეანელობის იდეებით, გვირგვინი მოხადა ნიცშეანელთა ბოდვას ზეკაცის თავისუფლების შესახებ.

მართალია, დონ ეუანს არ სწამს „ქვის ბედნიერება“, რასაც დონა ანა სთავაზობს, მაგრამ კომანდორად გახდომაზე კი უარს არ ამბობს. მაშასადამე, მონარქისტე ინდივიდუალისტი დონ ეუანი, ლოგიკის მიხედვით, ძალაუფლების მოყვარე დესპოტად იქცევა. ბანკეტზე დონა ანასა და დონ ეუანის უკან ქვის ალაყაფის კარი იკეტება. ისინი მარტონი რჩებიან—ერთმანეთის შესაფერისი წყვილი. დონ ეუანი „ადამიანების გულთა მპყრობელია“. ეს გულები კი „მხოლოდ იფერულებოდა და ინაცრებოდა“. ანას ადამიანებზე გაბატონება სურდა. ისინი ერთმანეთის ღირსნი არიან. ძალაუფლების გამო დონ ეუანმა უარი თქვა პირადი თავისუფლების იდეალზეც კი. მას თვითონვე უკვირს, რომ ის, „თავისუფლების რაინდი“, ანასგან იღებს „ქვის მძიმე ურნალს“. დონ ეუანი საბოლოოდ ისეთი ადამიანი ხდება, ვისაც არ „ეშინია სისხლითა და ცრემლით შეადუღოს ძალისა და უფლების ქვები“. სავსებით გაქრა ის დონ ეუანი, რომელიც მკითხველის წინაშე პირველ მოქმედებაში წარსდგა. დონ ეუანი კონსერვატიზმის იდეების, ქვა პრინციპების მატარებელი შეიქნა. ვისაც თავისუფლება სხვების დასამონებლად სურს, ის უთუოდ თავისუფლების მოღალატედ გადაიქცევა. ანაც და დონ ეუანიც იმიტომ დაიღუპნენ, რომ თავისუფლებაზე მაღლა ძალაუფლებას სურვილი დააყენეს. როგორც ლესია უკრაინკა სწერდა, ამაყი ანა სწორედ მაშინ დაემორჩილა „ცხოვრების ჩამოყალიბებულ ფორმებს“. „ქვა პრინციპებს, როცა ეგონა, ჩემს ბედს უკვე დავეუფლო“.

მკვლევარმა არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს ბრო-

ლის მთის ალევგორიულ სახეს, რაც წითელ ხაზად გასდევს მთელ ნაწარმოებს. არ შეიძლება, არ შეენიშნოთ, რომ მთელი ალევგორია, მეტაფორების მთელი სისტემა, მთასა და პრინციპსა რომ ეხება, მეტად გვაგონებს „შემოდგომის ზღაპრის“ ალევგორიას.

ცნობილია, რომ „შემოდგომის ზღაპარი“ დასაბეჭდად არ იყო განზრახული და პოეტ ქალს სიცოცხლეში არც გამოუქვეყნებია. მაგრამ „შემოდგომის ზღაპრის“ ალევგორიების სისტემა „ქვის მასპინძელშიც“ ცოცხლობს. ამ ნაწარმოებთა დაპირისპირება არ შეიძლება. პირველი ეხება რევოლუციის ძირითად პრობლემებს, გამანთავისუფლებელ ბრძოლაში მუშათა კლასის როლსა და ამოცანებს, მეორე—პირადი თავისუფლების პრობლემებს, მოანარქისტე ინდივიდუალისტების წინააღმდეგ ბრძოლას. მიუხედავად ამისა მაინც საინტერესოა დავაკვირდეთ ამ შემთხვევაში ზოგიერთი იდეების მემკვიდრეობას, განსაკუთრებით იმათ, რომლებიც განსახიერებულია „შემოდგომის ზღაპარში“ რაინდის სახით, ხოლო „ქვის მასპინძელში“ დონ ჟუანის სახით.

„შემოდგომის ზღაპრის“ დაწერიდან შვიდი წლის შემდეგ აუცილებელი შეიქნა ყოფილი „თავისუფლების რაინდების“ ახალი ბუნების გაშიშვლება, რეაქციის დღეებში რომ ნიცშეს ზეჟაცის სამოსელით იმოსებოდნენ. ესპანეთის შორეული წარსულიდან ნასესხები სახე ლესია უკრაინკას დაეხმარა გაეკიცხა მის თანამედროვე სინამდვილეში არსებული რეაქციული იდეები და ტენდენციები.

„ქვის მასპინძელი“ პოეტური ხელოვნების მაგალითია, საიდანაც ერთი სიტყვის ამოგდება არ შეიძლება. პოეტმა ქალმა მიაღწია სასურველ მიზნს. ის თავის დას სწერდა, თუ როგორი უნდა იყოს საერთოდ ღრამა და კერძოდ კი „ქვის მასპინძელი“.

„ქვის მასპინძელი“ მე. ნამდვილი ღრამა მეგონა, ჩემი კალმის ნაყოფი, ობიექტური, კონცენტრირებული, რომელიც ლირიკაში მთლიანად არ იყო ჩაფლული, სრულიად ახალი ჩვეულებრივ მანერასთან შედარებით“.

ღრამა „ქვის მასპინძელი“ ამტკიცებს, თუ რა სიმაღლეს მიაღწია ყველაზე გამოჩენილმა პოეტურმა ტალანტმა. ლე-

სია უკრაინკამ აირჩია მრავალი მწერლის მიერ გამოყენებული მსოფლიო თემა და შექმნა ისეთი ორიგინალური და გენიალური ნაწარმოები, რომელსაც ღირსეულად უჭირავს თავისი ადგილი ამ თემაზე დაწერილ საუკეთესო ნაწარმოებთა რიგში.

V

დასავლეთ საქართველოში ყოფნისას, დრამატიულ ნაწარმოებთა გარდა, ლესია უკრაინკამ დასწერა პოემა „ხელთეთრი იზოლდა“. ეს ნაწარმოები უმღერის სიყვარულის ერთგულებას, ადამიანურ გრძნობათა სიწმინდეს.

ლესია უკრაინკა ამბობდა, რომ პოემა „ხელთეთრი იზოლდა“ მაშინ სრულიად ახალგაზრდა პოეტ მაქსიმ რილსკის უნდა დაეწერათ, იმდენად ენათესავება ის საერთო ტონითა და მელოდიურობით რილსკის ადრინდელ ლექსებს. მიუხედავად იმისა, რომ მაქსიმ რილსკის ადრინდელი ლექსები პოეტურად მოუმწიფებელი იყო და ხშირად დეკადენტურ მიმდინარეობათა გავლენა ეტყობოდა, ლესია უკრაინკამ მაინც შენიშნა, თუ რა ცოცხალი და დიდი ნიჭის პატრონი იყო მომავალი საბჭოთა პოეტი.

ქუთაისსა და ეგვიპტეში ლესია უკრაინკა წერდა მოთხრობა „ექბალ-განემს“. ის მოგვითხრობს ინგლისელ იმპერიალისტთა მიერ დამონებულ ქვეყნებში არაბი ქალის მძიმე მდგომარეობას. მოთხრობა დაუმთავრებელი დარჩა.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ლოგინად ჩავარდნილი ლესია უკრაინკა მაინც ახალი დრამატიული პოემის გეგმაზე ფიქრობს. პოეტი ქალის სიკვდილის მერე ეს დაუწერელი ნაწარმოების კონსპექტი პოეტი ქალის დედამ გამოაქვეყნა. აი რას სწერდა ლესია უკრაინკას დედა:

„როცა მე ივლისის დასაწყისში ლესიასთან ქუთაისში ჩავედი, ის, ლოგინად ჩავარდნილი, ფიქრით მაინც თავისი ნაწარმოებებისაკენ მიისწრაფოდა. ერთხელ „არგოზე“* საუბ-

* ლიტერატურული კრებული, გამოვიდა კიევში 1914 წ. იქ დაბეჭდილია ამ დრამატიული პოემის კონსპექტი და ლესია უკრაინკას დედის შენიშვნები.

რისას, მან მოიგონა თავისი შეპირება, ის პოემა და მითხრა: „აბა შევეცდები მოგხაზო, როგორ განოვიდოდაო“. ის მეუბნებოდა, მე კი ვიწერდი მისი პოემის აქ მოყვანილ შინაარსს. კარნახისას ლესია უკრაინკა ზოგ რამეს ცვლიდა: მოკმედების ადგილს, უკანასკნელ სიტყვებს. პირველად უნდოდა წყევლით დაემთავრებინა, მერე მითხრა: „არა, დაე უკანასკნელი აკორდი ჰელიოსის ლოცვა იყოს“,—და მიკარნახა ის სიტყვები, რაც კონსპექტის ბოლოს წერია. „აი ასე იყოს,—დაუმატა ლესიამ დამთავრებისას,—როგორც კი წერას შევძლებ, მაშინვე დავწერ და გავგზავნიო“.

მაგრამ ამ ნატვრის შესრულება არ ეწერა!..“

პოემის შინაარსი შემდეგია: ალექსანდრიის გარეუბანში ბერძენი ოჯახი ცხოვრობს. ახალმა, ქრისტიანულმა რჯულმა უკვე გაიმარჯვა, მაგრამ სწავლული ელინი თეოკრიტი მაინც ძველი რელიგიის მიმდევარია. მისი შვილები, ჩვიდმეტი წლის ბიჭი და 15 წლის ქალი ძველ რელიგიაზე არიან აღზრდილნი. ერთხელ მათთან მოვიდა მეზობელი და უამბო, რომ მამათქვენი ტაძარში (ტაძრის საფეხურებზე) დაიჭირესო; ციხეში იმიტომ ჩააგდეს, რომ „ერესს ავრცელებდა“, ქადაგებდა ბერძენ ფილოსოფოსთა აზრებს, ქრისტიანული რჯულის დოგმატებს გამობდაო. ის ამბობდა, „უფლის მონანი არ არიან“,—არიან და უნდა იყვნენ მხოლოდ „სულითა და ხორციით“ თავისუფალი ადამიანებიო“.

ბავშვები ბჰობენ, როგორ მოიქცნენ, რათა ძველი პაპირუსები გადაარჩინონ. გადაწყვეტენ მათ დამალვას. მიდიან უდაბნოში, პირდაპირ ქვიშაში მალავენ. ღამე ილევა; ამოდის მზე. ორივე იჩოქებს, მიწაზე ემხობიან და ჰელიოსს ემუდარებიან, მათი განძი გადაარჩინოს. იქნებ, უკეთესი დრო დადგეს. იქნებ, ოდესმე ვინმემ იპოვოს მათი პაპირუსები და დიდი სიბრძნე შეიცნოს: „ჰელიოს! გადაგვირჩინე განძი! გაბარებთ მას შენ და ოქროს უდაბნოს!“

პოეტი ქალის უკანასკნელი ფიქრები მზისკენ, ბრწყინვალე მომავლისაკენ იყო მიმართული, სადაც აღარ იქნებოდნენ მონები, სადაც მხოლოდ თავისუფალი და სულითა და ხორციით მშვენიერი ადამიანები იცხოვრებდნენ. ამ მზიური

ქვეყნის მომავალ მცხოვრებლებს ის თითქო უძღვნიდა თავის ნაწარმოებს—თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისთვის ბრძოლაში ამ თავის ერთადერთ იარაღს.

ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ლექსში—ზღაპარი „დევეგმირზე“, ლესია უკრაინკამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, ახლოა ის დრო, როცა დევგმირი ხალხი აღსდგება, მონობის ბორკილს დაამსხვრევს და ახალ, თავისუფალ ცხოვრებას ააშენებსო.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის პროლეტარიატმა, ლენინის გენიით შექმნილი და გამობრძმედილი პარტიის ხელმძღვანელობით, ხორცი შეასხა კაცობრიობის საუკეთესო ადამიანების საუკუნო ოცნებას და სოციალისტური, გადატრიალება მოახდინა. თანაბარუფლებიანი ხალხების ბედნიერ ოჯახში თავისუფალი საბჭოთა ადამიანები მაღლობით იგონებენ იმ პოეტ ქალს, რომელმაც მთელი სიცოცხლე მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლას შესწირა.

საბჭოთა მთავრობის მიერ ლესია უკრაინკას საფლავზე დადგმულ ძეგლზე ამოკვეთილია ის სიტყვები, რომელიც ამტკიცებენ პოეტი ქალის მუშათა კლასისადმი ერთგულებას, რუს რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებთან მისი შემოქმედების მტკიცე კავშირს, პროლეტარიატის გამანთავისუფლებელ ბრძოლაში პოეტი ქალის მონაწილეობას: „იდგა რა ახლოს საერთოდ გამანთავისუფლებელ ბრძოლასთან, კერძოდ კი პროლეტარიატის ბრძოლასთან, ის მთელ ძალას სწირავდა მას, თესდა სიკეთეს, გონიერებას, უკვდავებას“—ეს სიტყვები გაზეთ „პრავდიდან“ არის.

საბჭოთა საქარტველოში

ლესია უკრაინკას შემოქმედება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა მშრომელთა ფართო მასებისათვის მისაწვდომი, გაიცნო მთელმა მსოფლიომ. მისი ნაწარმოებები მრავალჯერ გამოიცა მშობლიურ ენაზე. 20-30-იან წლებში პოეტი ქალის შემოქმედების სამი მრავალტომიანი გამოცემა გამოვიდა. ახლა მთავრდება ლესია უკრაინკას, თხზულებათა კრებულის მეცნიერულად შემოწმებული ხუთტომეული.

რუსმა საბჭოთა პოეტებმა გადმოთარგმნეს უკრაინელი პოეტი ქალის ნაწარმოებები. მოსკოვში, ლენინგრადში, ტულაში გამოცემულმა ერთტომეულმა საბჭოთა მკითხველს გააცნო ლესია უკრაინკას მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. 1950 წელს რუსულად გამოვიდა პოეტი ქალის თხზულებათა კრებულის პირველი სამტომიანი გამოცემა. ამგვარად, ლესია უკრაინკას შემოქმედება საბჭოთა კავშირის მოძმე ერებისათვის ხელმისაწვდომი შეიქნა.

დრამა „ტყის სიმღერა“, „ქვის მასპინძელი“, „ტევრში“ და სხვები უკრაინის დიდი თეატრების სცენაზე იდგმება. ლესია უკრაინკას სახელი მიენიჭა სკოლებსა და ინსტიტუტებს, კოლმეურნეებსა და ქარხნებს, ქუჩებს და მოედნებს, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებს. ლესია უკრაინკას შემოქმედების შესწავლაზე მუშაობენ მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და ლვოვის, თბილისისა და ხარკოვის, ოდესისა და დნეპროპეტროვსკის გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები.

ლესია უკრაინკას ბევრ ნაწარმოებზე დასწერეს მუსიკა უკრაინელმა, რუსმა, ქართველმა, სომეხმა კომპოზიტორებმა.

ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად დიდ პატივს სცემს დიდი უკრაინელი პოეტი ქალის ნათელ ხსოვნას, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს სახე იცვალა საქართველომ. აქ ვერსად შეხედებით უკვე უპატრონოდ მიგდებულ ბალებსა და კარ-მიდამოებს. ოქროსფრად ღაღანებს პურის ყანები, აყვავდა საკოლმეურნეო ბალები, სადაც წინათ მიწები გვალვას დაეხეთქა, სადაც ხალხს ოცნებად ჰქონდა გამხდარი წყალი. სარწყავი არხები გაიყვანეს და გამხმარ მიწას წყალი ეპყრა: უშენ ადგილებზე ახალი ქარხნები და ფაბრიკები აშენდა, ამწვანდა ვაზი. კოლმეურნეთა სახლები დოვლათით გაივსო. ბედნიერმა ქართველმა ხალხმა ახალი სიმღერები შექმნა. ამ სიმღერებში გამოხატულია ხალხის მხურვალე სიყვარული საბჭოთა ხელისუფლების, მშობლიური კომუნისტური პარტიის მიმართ. ქვეყნად დამკვიდრდა ის ბედნიერი, ნათელი, თავისუფალი ცხოვრება, რაზეც ასე ოცნებობდა ლესია უკრაინკა, რასაც შესწირა თავისი პოეტური ნიჭი.

ლესია უკრაინკას ქართული თარგმანები პირველად დიდი სამამულო ომის შემდეგ დაიბეჭდა. 1949 წელს კი კრებულიც გამოვიდა. აქ შევიდა მრავალი ლექსი, თარგმნილი ქართველი საბჭოთა პოეტების ი. აბაშიძის, დ. გაჩეჩილაძის, რ. გვეტაძის, ა. გომიაშვილის, ვ. გორგაძის, ა. ქუთათელის, მარიჯანის, ი. მოსაშვილის, მაყვალა მრეველიშვილის, გ. ცეცხლაძის მიერ. აქ შევიდა გ. ცეცხლაძის თარგმნილი პოემა „ძველი ზღაპარი“, რ. გვეტაძის თარგმნილი დრამა-ფეერია „ტყის ზღაპარი“ და ა. მირცხულავას თარგმნილი დრამატული პოემა „ტევრში“. პოეტი ქალის ლექსებმა და დრამებმა ქართველი მკითხველის დიდი სიყვარული დაიმსახურა.

ქართულ გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ლესია უკრაინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

1948 წელს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სურამში იმ სახლს, სადაც ლესია უკრაინკამ დაამთავრა ცხოვრების გზა, მემორიალური დაფა გაუკეთეს. სურამისაკენ დაიძრა მშრომელთა მრავალრიცხოვანი ექსკურსიები პოეტი ქალის ხსოვნის საპატივსაცემოდ.

1951 წელს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობამ აღნიშნა პოეტი ქალის დაბადებიდან 80 წელი. თბილისში გაიმართა ლესია უკრაინკას ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო

საღამოები. ლესია უკრაინკას სახელი ეწოდა ერთ-ერთ ქუჩას თბილისის ცენტრში, აგრეთვე სურამშიც. საქართველოს მთავრობისა და კპ ცკ-ის დადგენილებით გადაწყდა ლესია უკრაინკას ძეგლის აგება სურამში.

სურამში გაიმართა საზეიმო შეკრებები. ორი დღე მიმდინარეობდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამსვლელი პლენუმის სხდომები. პლენუმზე ჩამოვიდა საბჭოთა უკრაინის მწერლებიც. მიტინგს ესწრებოდა თბილისისა და სურამის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მშრომელები. მრავალრიცხოვანი გუნდები ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ, მეტად ლირიკულად ჟღერდა სიმღერა-ლეგენდა სურამის ციხეზე. ხაშურელმა პიონერებმა რუსული, უკრაინული და ქართული სიმღერები იმღერეს, ლესია უკრაინკას ლექსები წაიკითხეს. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ მუშები, კოლმეურნეები, მწერლები, მეცნიერები და საბჭოთა საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

ზეიმი გადაიქცა ქართველი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის, კომუნისტური პარტიის ერთგულების დემონსტრაციად.

გრიბოედოვის სახელობის თბილისის თეატრმა რუსულ ენაზე დადგა „ქვის მასპინძელი“. 1952 წლის 12 იანვარს ლესია უკრაინკას ეს გამოჩენილი ნაწარმოები პირველად ნახა თბილისის თეატრის მაყურებლებმა.

კიდევ უფრო გრანდიოზულად აღნიშნა ქართველმა ხალხმა პოეტი ქალის გარდაცვალების ოცდაცხრამეტი წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ქართულ ენაზე გამოვიდა ლესია უკრაინკას ნაწარმოებთა ახალი, შევსებული გამოცემა. ამ გამოცემაში 1949 წლის გამოქვეყნებული ლექსების გარდა შესულია ახალი თარგმანები შ. აფხაიძის, ვ. გაბესკირიას, დ. გაჩეჩილაძის, რ. გვეტაძის, იასამანის, ი. მოსაშვილის, გ. ცეცხლაძის, ს. შანშიაშვილის მიერ შესრულებული.

1952 წლის 3 აგვისტოს სურამში გაიმართა ლესია უკრაინკას ძეგლისა და მისივე სახელობის მუდმივი გამოფენა-ბიბლიოთეკის გახსნა. ზეიმზე ჩამოვიდნენ სტუმრები მოძმე რესპუბლიკიდან, მოსკოვსა და ლენინგრადიდან, კიევიდან, ერევნიდან და ბაქოდან.

ბორჯომის, ხაშურის და ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლების გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულა „სიმღერა ლესია უკრაინკაზე“—ტექსტი პოეტ სანდრო ეულისა, მუსიკა მ. დავითაშვილისა.

ზინდისის გორაზე ამართულია ლესია უკრაინკას ძეგლი,—გამოკვეთილი საქართველოს სსრ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თამარ აბაკელიას მიერ, იქიდან დაგვეყურებს გენიალური პოეტი ქალის შთაგონებული სახე. აქ გამოესაღმა ლესია უკრაინკა სიცოცხლეს და ბრინჯაოში უქვდავეყოფილმა აქ ჰპოვა სამუდამო ბინა.

პოეტმა კარლო კალაძემ ლესია უკრაინკასადმი მიძღვნილ ლექსში გამოხატა მიტინგზე დამსწრეთა განცდები და გრძნობები.

არ დაცხრი, ცეცხლი არ გაგინელდა,
და ჩასაქრობად ვინ გაგიმეტებს?!
შენი ზმა ახლავს უკრაინელთა
ახალ ცხოვრებას, ახალ იმედებს!

ცოცხალს გეძებდით, ცოცხალი გნახეთ,
თითქოს ცხოვრება ისევ სინჯაო;
კუნთებშეკრული ეგ შენი სახე
სულის სიმტკიცით იქცა ბრინჯაოდ!

ჩვენი დღეების ერთგულ მოზავრო,
ეს გამარჯვება ხალხმა გარგუნა.
თვალი ქვეყანას რომ შემოავლო,
ძმობა ზედ შუქით ამოქარგულა.

ამ დროს უკრაინაში, მირგოროდში, თავი მოიყარეს თათარობით მუშებმა, კოლმეურნეებმა. მშრომელთა ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რათა აღენიშნათ გამოჩენილი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ხსოვნა, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა უკრაინაში და იქვე გარდაიცვალა. სოციალიზმის ქვეყნის თავისუფალი ხალხის ერთიანი დიდი ოჯახის გრძნობითა და სიყვარულით იყო სავსე სურამში და მირგოროდში გამართული მიტინგების მონაწილეთა გულები.

უკრაინისა და რუსეთის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო დღეებში ქართველმა მეცნიერებმა უკრაინელ მეცნიერებს ძღვნად მიართვეს სსრკ სა-

ხალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის სურათი „ლესია უკრაინკა საქართველოში“. ლესია უკრაინკას სახელი უკრაინელი და ქართველი ხალხის შეურყეველი მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

ლესია უკრაინკა მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ადამიანების გულში. აუხდა პოეტ ქალს ოცნება, ოდესღაც რომ თელავში გამოთქვა: ადამიანებს ლეგენდად დავუბრუნდებო. მისი ლეგენდარული სახე უკვდავყოფილია ლესია უკრაინკას სურამში ამართულ შესანიშნავ ძეგლში. ის უკვდავი იქნება სოციალიზმის ქვეყნის ბედნიერსა და თავისუფალ ადამიანთა ვულებში.

სარჩევი

შესავალი	3
ლესია უკრაინკა თბილისში	15
ლესია უკრაინკა თელავში	53
ლესია უკრაინკა ქუთაისში და ხონში	78
საბჭოთა საქართველოში	120

ОЛЕГ БАВЫШКИН

Леся Украника в Грузин

(На грузинском языке)

Изд-во „Сабхота Мцрალი“

• •

„Типография изд-ва „Сабхота Мцрალი“

19 Тбилиси 57

Плехановский, 181

* *

•

რედაქტორი თ. კობლაძე

ტექნორედაქტორი შ. დემეტრაძე

მხატვარი ი. ჯანაშვილი

კორექტორი თ. იოსელიანი

* *

გადაეცა წარმოებას 8.VIII, 1957 წ., ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 30.X, 1957 წ.,
ანაწი. ზომა 5,5×9,25, საავტ. ფ. 5,86,
სამონაბეჭდო ფ. 6,23, სასტამბო ფ. 8,
ქაღალდის ზომა 54×84, ტირ. 2000,
შეკვეთის № 475

* *

გამ-ბა „საბკოთა მწერალის“ სტამბა
თბილისი, პლენანოვის, 181

ფასი 3 მან.